# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 11 ნოემბერი 2000 №219 (1241) | ფასი 50 თეთრი

## კიკნაძის ფრაიბურგული შანსი

ერმანიაში მეგობრებთან
სტუმრად ჩასულ გიორგის
ფინკე ვარჯიშზე
დააკვირდება

## მოსკოვს თბილისის სჯერა

ზაზა ჯანაშიას
„ლოკომოტივმა“
„რაიო ვალეკანოსთან“
თამაში თბილისში ისურვა

## იქაც სცოდნიათ!



„ჰამბურგი“ აგენტმა გაყიდა

## სუპროლიგის რეკორდსმენი ფაჩულია სტეფანიას შეუწყვილდა

ულქერის 16 წლის
ქართველის დებიუტმა რვა
წუთს გასტანა

## ქალებმა ყველაფერი იციან

საჭადრაკო ოლიმპიადის ფინიშთან ჩინელები
ჩემპიონობას, ქართველები
ვიცე-ჩემპიონობას
ელევნენ

# ოლირის სცოდნია

## ლიდსი ისევ „სიკვდილის“ ჯგუფშია

„ამ ეტაპზე იოლი ჯგუფები არ არსებობს. ურთულესი მატჩები გველის. ოდნავ მოვადუნებთ ყურადღებას და ის შეგვემთხვევა, რაც „ბარსელონასა“ და „იუვენტუსს“ — ეს წილისყრაზე „რეალის“ წარგზავნილი ხორხე ვალდანოს სიტყვებია და ყველა ბობოლა ეთანხმება.

„ჩვენ უკვე ძალიან ბევრს მივაღწიეთ და ყალბი ილუზიები არ გვაქვს“ — ეს „შტურმის“ კაპიტანმა ივიცა ვასტიჩმა თქვა და პატარები ეთანხმებიან.

და კიდევ არის ერთი გულთმისანი კაცი, დევიდ ოლირი. ოთხშაბათს, როცა მისი „ლიდსი“ მეორე ეტაპზე გავიდა, მან თქვა: „ჩვენი ბედი რომ ვიცი, მომდევნო მეტოქეებად „რეალი“ და „ლაციო“ გვეყოლებიან.“ ეგებ ოლირიმ მომავალი ჩემპიონის სახელიც იცის?

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი წილისყრის სრული შედეგები და მეორე ჯგუფური ეტაპის კალენდარი იხილეთ მეხუთე გვერდზე



REUTERS

დინო ძოფის „ლაციო“ და რობერ დე პოს „ანდერლეხტი“ უძლიერეს ჯგუფში მოხვდნენ

# დავიდი და გოლიათი

## იქნება ტუა ლუისის ბუა?





ლენოქს ლუისი და დავიდ ტუა ჩხუბის წინ ერთმანეთს დაეტოლნენ

დღეს ლას ვეგასის სასტუმრო და კაზინო „მენდალი ბეი“ საკრივო სამყაროს მთავარ კითხვაზე გასცემს პასუხს: ვინ არის მსოფლიოს უძლიერესი მძიმეწონოსანი, ლენოქს ლუისი თუ დავიდ ტუა? „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ქომაგი, ბრიტანელი ლუისი, რომელსაც ძალიან უყვარს შემწვარი წიწილა, სამი უმთავრესი ორგანიზაციიდან ორის ჩემპიონია, მესამემ კი თავისი ქამარი სასამართლოს ძალით ჩამოართვა, თორემ რინგზე არ დაუკარგავს. სამოელი დავიდ ტუა კი 20-სანტიმეტრიანი ყალყზე მდგარი თმის გარდა იმითაცაა ცნობილი, რომ ძალიან ღონიერი ცაცია აქვს და IBF-ის ვერსიით, ტიტულის უმთავრესი მაძიებელია. ისიც ცხადია, უწიგნურია.

თუმცა ამ და სხვა მრავალ საინტერესო ამბავს ლუის — ტუას ბრძოლისადმი მიძღვნილ მე-12 გვერდზე უფრო დაწვრილებით წაიკითხავთ.

# რუმინეთი რუმინეთამდე არ გამოვა

**საქართველოს** ეროვნულმა გუნდმა ძოძუაშვილ-ყიფიანის ტანდემის ხელმძღვანელობით პირველი გამოცდა კვიპროსის ტურნირზე გაიარა წლეულს თებერვალში. საქართველოს ნაკრებს გაისადაც უნდა ესპარეზა იქ, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველთა ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი რუმინეთის ნაკრები კვიპროსის კუნძულზე მონაწილეობას კვლავაც აპირებს, სფფ-მ შეწყვიტა მოლაპარაკება ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან.

ასე რომ, რუმინეთის ეროვნულ გუნდს ჩვენი ნაკრები 28 მარტამდე ნაღდად ვერ დაუპირისპირდება. სფფ-მ ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, დავით ყიფიანთან და რევაზ ძოძუაშვილთან კონსულტაციის შედეგად მიიღო. იმისათვის რომ 28 მარტამდე ნაკრებმა ამხანაგური მატჩი ჩაატაროს, დიდი მუშაობა მიმდინარეობს — გვითხრეს სფფ-ში.

შეგახსენებთ, რომ წლეულს ჩატარებულ კვიპროსის ტურნირზე ჩვენ ნაკრებს რუმინეთმა პენალტების სერიით სძლია.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი კიკნაძე (№7) ესტონელებთან თბილისური მატჩისას

# ფინკე კიკნაძეს გამოცდის

**ერთობ** დასანანია, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ გიორგი კიკნაძის კარიერა წინააღმდეგობებით აღსავსე გამოდგა და ამ უდავოდ ნიჭიერ ნახევარმცველს დაახლოებით ერთი წელი ფაქტობრივად გაუცდა. მისი და თურქული „სამსუნსპორის" სატრანსფერო საკითხზე არაერთხელ უცნობებია „სარბიელს", თუმც როგორც იქნა, ყინული დაიძრა — სულ ახლახან თურქულმა მხარემ გიორგი კიკნაძეს უსასყიდლოდ დართო ნება, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ეთამაშა, მაგრამ გიორგის ბოლო წამს უკეთესი ვარიანტიც გამოუჩნდა.

გიორგი კიკნაძე, რომელიც ბოლო დროს „დინამოს" ბაზაზე ვარჯიშობდა ფორმის შესანარჩუნებლად, დღეს დილით თბილისი-ფრანკფურტის რეისით გერმანიაში გაფრინდა. იგი ბუნდესლიგაში ჩვენი ლეგიონერებით გასულდგმულებულ „ფრაიბურგს" ესტუმრება. გუნდის თავკაცი ფოლკერ ფინკე ვარჯიშზე დააკვირდება კიდევ ერთ ჩვენებურს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება გიორგი კიკნაძის „ფრაიბურგში" დარჩენა-არდარჩენაც. ღმერთმა ინებოს, ტრანსფერი შედგეს, ასეთ შემთხვევაში გერმანულ კლუბს ნაღდად მოუწევს 90000 დოლარის გადახდა თურქებისთვის.

**დავით თავართქილაძე**



„ლოკომოტივის" ავსტრიული შეკრება
ზაზა ჯანაშიას (მარცხნივ) პრობლემად იქცა

# რუსებმა თბილისი გაიხსენეს

**ცივი** და მკაცრი ზამთარი იცის რუსეთში და ალბათ ახლაც ვერ გააგორებენ ბურთს ყინვაში ისე, როგორც უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში მოპაექრეებს ეკადრებათ.

ადრე ასე იყო — გვიან შემოდგომაზე თუ ადრეულ გაზაფხულზე ევროტურნირებში მონაწილე საბჭოთა გუნდები საშინაო მატჩისთვის თბილისში გვეწვეოდნენ-ხოლმე და ჩვენი გულშემატკივარიც ხარბად შეავლებდა თვალს ევროპის წამყვან კლუბებს. მერე ბევრი რამ შეიცვალა, ამ ტრადიციასაც ბოლო მოეღო, თუმცა...

როგორც კი მოსკოვის „ლოკომოტივმა" უეფას თასის მიმდინარე გათამაშების მეთექვსმეტედფინალში გააღწია და გუშინდელი წილისყრის შედეგად მეტოქედ ესპანეთის „რაიო ვალეკანო" ერგო, მის ხელმძღვანელობას მყისვე თბილისში თამაში მოუვიდა აზრად. კლუბის წარმომადგენლებმა საქართველოს ხელისუფლებას თხოვნით მიმართეს, ესპანელებს მასპინძლობას თბილისის ეროვნულ სტადიონზე გავუწევთო.

ამასთან დაკავშირებით დავუკავშირდით სახელმწიფო კანცელარიას. როგორც სოციალურ საკითხთა სამსახურის (რომელიც სპორტსაც კურირებს) უფროსმა დაზმირ ჯოჯუამ გვითხრა, მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთ წარმომადგენელს მისთვის არაოფიციალურად, სატელეფონო საუბრისას გადაუცია კლუბის აზრი და სფფ-სთან შუამდგომლობაც უთხოვია. კანცელარიამ, რა თქმა უნდა, მყისვე აცნობა ეს ამბავი სფფ-ს და დადებითი პასუხიც მიიღო.

ერთი სიტყვით, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივს" დიდი სურვილი აქვს, თავისი ჭირვეული ფორვარდის სამშობლოში დაუხვდეს „რაიო ვალეკანოს" და ამ საკითხზე მოლაპარაკებებიც დაწყებულია. ყოველივე მალე გაირკვევა — მოსკოველებმა ხომ ესპანელებს 23 ნოემბერს უნდა უმასპინძლონ.

**დავით თავართქილაძე**

# პასპორტი

## ჯანაშიას უცნაური თავგადასავალი ავსტრია — სლოვაკეთის საზღვარზე

**ხშირად** ვხვდები უხერხულ, კურიოზულ სიტუაციაში, გვითხრა ერთხელ საქართველოს ნაკრებისა და „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა ზაზა ჯანაშიამ და ეს რომ ასეა, მკითხველიც დარწმუნდება. ქართველ ფეხბურთელს ბედმა დიდი სიურპრიზი მოუწყო ავსტრია — სლოვაკეთის საზღვარზე. მოდით, მოვლენებს დაწვრილებით მივყვეთ.

მოსკოვის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, უეფას თასის მეორე ეტაპის საპასუხო მატჩის წინ გუნდისთვის უცხოური შეკრება მოეწყო და ბრატისლავის „ინტერთან" შეხვედრამდე რკინიგზელებმა ავსტრიას მიაშურეს. საუცხოო პირობებმა გუნდზე დადებითად იმოქმედა, თანამემამულეები ავსტრიაში მოთამაშე სერგეი იურანმა და ანდრეი ჩერნიშოვმაც გაამხნევეს და ამაღლებული გუნება-განწყობილებით გაემგზავრნენ იური სიომინის შეგირდები სლოვაკეთისკენ.

გაუგებრობაც იქ მოხდა. ავსტრია — სლოვაკეთის საზღვარზე მავანმა მებაჟემ გულდასმით დაათვალიერა ზაზა ჯანაშიას პასპორტი და გაოცებულმა უთხრა ქართველ ფეხბურთელს: „კი მაგრამ, ეს ხომ თქვენ არ ხართ." ახლა ჯანაშიამ დახედა თავის პასპორტს და ასევე გაოცებულმა მხრები აიჩეჩა, რას ბრძანებთ, სწორედ რომ მე გახლავართო. თუმც მებაჟე ქართველის სიტყვებმა სიმართლეში ვერ დაარწმუნა, სასწრაფოდ ჩააყენა უფროსობა საქმის კურსში და მათაც ერთხმად თქვეს, რომ პასპორტში ჩაკრული სურათი ჯანაშიას არ ჰგავდა. მოკლედ, ზაზას სლოვაკეთში გადასასვლელად პრობლემა შეექმნა. ამის შემდეგ მებაჟეებმა სასწრაფოდ გამოიძახეს ტაქსი, ფეხბურთელი შიგ ჩასვეს და სთხოვეს, უკან, ავსტრიაში გადასულიყო, ახალი ფოტოსურათი გადაეღო და საზღვარზე სურათით დაბრუნებულიყო. ჯანაშიაც ასე მოიქცა და საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. საინტერესოა, თუ როგორ ახსნა გუნდის უფროსმა ვლადიმერ კოროტკოვმა ეს გაუგებრობა — ცოტა ხნის წინ ჯანაშიამ ცხვირი მოიტეხა და ამიტომაც ვერ შეიცნეს მებაჟეებმაო.

ასე იყო თუ ისე, საზღვარზე მომხდარი შემთხვევა ქართველ ფეხბურთელს სასიკეთოდ წაადგა. „ინტერი" — „ლოკომოტივის" მატჩის 69-ე წუთზე მასპინძელთა კარში სტუმრებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს, გოლის ავტორი კი ზაზა ჯანაშია გახლდათ.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ვის სცალია ფეხბურთისთვის?

**არცთუ** ისე დიდი დრო გასულა მას შემდეგ, რაც დიდი შეხლა-შემოხლით და აურზაურით მიმდინარეობდა „დინამოსა" და „ეროვნული" სტადიონის გადასარჩენად შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომები.

ავად თუ კარგად, კომისიამ მუშაობა დაამთავრა, საკმაოდ ვრცელი მოკვლევაც გააკეთა, მაგრამ წევრები საერთო დასკვნაზე ვერ შეთანხმდნენ და ყოველივეს გარჩევა უფრო ზემდგომ ინსტანციას მიანდეს. შემდეგ კი უკვე თვალნათლივ გამოჩნდა, თუ როგორ არიან ჩვენში დაინტერესებული ფეხბურთის ბედით. ამ საკითხების საბოლოო გარჩევა უშიშროების კომიტეტმა ითავა, „დინამოსა" და „ეროვნული" სტადიონის პრობლემები სწორედ ამ კომიტეტის სხდომაზე უნდა მოგვარებულიყო, თუმც ამაოდ — ქართული ფეხბურთის ჭირვარამზე უშიშროების სხდომაზე არ უმსჯელიათ. ამ საქმიდან რომ არაფერი გამოვიდა, კომისიის წევრებმა სამთავრობო სხდომაზე სცადეს თავიანთი მოკვლევის გატანა, მაგრამ აქაც ნაცარში ჩაუვარდათ კოვზი. პასუხი მოკლე იყო — ფეხბურთისთვის სად გვცალია, ისედაც იმდენი საქმე გვაქვს გასარჩევიო. მოკლედ, დარჩა ყველაფერი ღვთის ანაბარად.

საკითხავი კი ის არის, რისთვის იყო საჭირო ამგვარი კომისიის შექმნა, თვეობით გაწელილი სხდომები, თუკი მათი მცდელობა უშედეგოდ ჩაივლიდა. არადა, თავად მოკვლევა იმ დონეზეა შესრულებული, რომ მართებული დასკვნისთვის კარგ საშუალებას იძლევა, მხოლოდ და მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო. ამ პასუხისმგებლობას კი ყველა გვერდს უვლის და ძალაუნებურად ჩნდება კითხვა — სცალიათ კი ჩვენში ფეხბურთისთვის?

**ბაატა ძგანტალიანი**

## საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — პირველი წრე — 14 ტური

10 ნოემბერი, პარასკევი

**თორი 0:1 სამგურალი**
**თბილისი 1:2 შუქურა**
**მეტალურგი 7:2 ზუგდიდი**
**გურია 3:2 ოკეანე**
**იბერია 1:0 ხობი**
**მილანი 3:0 ცხინვალი**

XIII ტურის გადადებული მატჩი

**ოკეანე — იბერია**

14 ნოემბერს ჩატარდება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 14 | 9 | 1 | 4 | 38:16 | 28 |
| გურია | 14 | 8 | 4 | 2 | 21:18 | 28 |
| მილანი | 14 | 8 | 3 | 3 | 21:10 | 27 |
| სამგურალი | 14 | 7 | 3 | 4 | 23:11 | 24 |
| შუქურა | 14 | 7 | 3 | 4 | 19:12 | 24 |
| მეტალურგი | 14 | 6 | 5 | 3 | 21:14 | 23 |
| ზუგდიდი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:21 | 21 |
| თორი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:13 | 20 |
| ხობი | 14 | 3 | 5 | 6 | 9:16 | 14 |
| იბერია | 13 | 2 | 3 | 8 | 6:23 | 9 |
| თბილისი | 14 | 2 | 1 | 11 | 5:26 | 7 |
| ოკეანე | 13 | 1 | 3 | 9 | 10:28 | 6 |

### გერმანია

XII ტური

**დორტმუნდი 2:0 ჰერტა**

1:0 რიკენი (3), 2:0 რეინა (72)

II ბუნდესლიგა

XII ტური

**დუისბურგი 2:1 არმინია**
**ვალდჰოფი 0:0 ძემნიცი**

### საფრანგეთი

XIX ტური

**სენტ ეტიენი 1:0 მონაკო**

1:0 ალექსი (9)

II დივიზიონი

XIX ტური

**ლე ავრი 1:1 კრეტეი**

### ჩეხეთი

XIV ტური

**ბანიკი 1:1 სიგმა**

### ავსტრია

XIX ტური

**ლინცერი 1:1 ზალცბურგი**

### თურქეთი

X ტური

**გაზიანთეფი 2:1 ფენერბაჰჩე**

### იტალია

სერია B

XI ტური

**სალერნიტანა 0:1 ვენეცია**

### ჰოლანდია

XIII ტური

**როზენდალი 2:1 ტილბურგი**

### ინგლისი

I დივიზიონი

XVIII ტური

**ბრაიტონი 2:1 ძრიუ**

III დივიზიონი

XVIII ტური

**შრიუსბერი — კარდიფი** გადაიდო

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 12 — 13 ტური — ანონსი

# მეცამეტე: გამორჩეული და ინტრიგული

არა, დღეს თითქმის არაფერი გა-რკვევა, მაგრამ ზოგიერთის საჩემპიონო ამბიცია აშკარად გამოჩნდება. ასეც გვეგონებოდა, საპრიზოებისთვის ბრძოლის უნარი ვის შესწევს.

თარსი რიცხვი ცამეტი, ეროვნულ ჩემპიონატში კი მეცამეტე ტურია. ვისთვის იქნება ის უკუღმართი? დღეს ბევრი ჩაიჭრეს ხელს, თავს დაანებებს ქვესეულისთვის ბრძოლას. მერე გამოაშკარავდება ლიდერების ბრძოლა, რათა მეორე წრის წინ ქულათა ისეთი მარაგი შექმნან, საქმე თავში საცემად არ გაუხდეთ.

მოკლედ, მეთორმეტე ეროვნულის მეცამეტე ტური ჩემპიონატში გარდატეხად ვილაპარაკოთ და გუნდების დღევანდელი მდგომარეობისა ვთქვათ. ქუთები ყველას სჭირდება, შესაძლებლობა ბევრს არა აქვს. მეცამეტე ტურში პირველი ჩხუბი ქუთაისში ენახვთ და დიდის და პატარის დაპირისპირებასაც. სად მოხდება სასწაული, აი, ყველაზე მთავარი საშიშათი კითხვა.

ორი ათეული ლიდერი, ერთმანეთზე ორი რონდის მატჩი, მარკის ორ ტოლფასოვან მეგობარზე მიუხედავად ყველაფრისა, „ტორპედო“ ქუთაისის კვარტალში ერთ-ერთი ტოპ-მატჩი, ვერ მოხვედრილი ლიდერის ბედი გადაწყდება. მიუხედავად ამისა, ორივე გუნდი ქულის შენარჩუნებას ეცდება.

„ტორპედო“ — „დინამოს“ მუდამ იყო ბრძოლა და ინტრიგა. ამ ორი გუნდის თამაში არ არის ამ დღეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დაპირისპირება, მაგრამ მაინც ორივე ფაქტი მნიშვნელოვანი ენიჭება. კი მაგრამ, მაინც რომელი, „ტორპედო“ თუ „დინამო“? ამ კითხვას მეცამეტე ტური უპასუხებს.

მასპინძელთა ბანაკში სიმშვიდე კია. რაიონისპირები ჩვეულებრივ, ყოველდღიური ცხოვრებით ელიან მეტოქეს. სეზონის ბაზაზე თითქმის არაფერი ახალი და განსაკუთრებული, მხოლოდ „ტორპედო“ მოწინააღმდეგე დასახვედრად, მაგრამ ერთი რამ მაინც არის გამორჩეული. ქუთაისში ჯგუფის ამეზის ჩემპიონი ჩადის სიონზე, რომელსაც ამჟამინდელი ჩემპიონის ტიტული და ძველი დიდების დარჩენა სწადია. ამაზე დიდ სტიმულს ვერაფერი მოიფიქრებს რაიონისპირელი სპორტსმენები.

ყოფილი არავინ ჰყავს დისკვალიფიცირებული, დავით ჯანაშიას არყოფნას კი მწვრთნელი უკვე შეეგუა. ვერ შეეწყო ტრავმირებულ ფეხბურთელი მოთამაშე საკუთარ გუნდს. დანარჩენები კი ჯანზე არიან.

ბოლო ტურებში „ტორპედო“ ვერ იმარჯვებს ჩემპიონურად, მაგრამ დღეს ქუთაისელთა ლიდერი სტუმარზე ძლიერია. ეს ქუთაისელების პირველი წრის ბოლო მატჩია დაიწყებს, მაგრამ „დინამოს“ მოგონებები და მწვავე ტურის თამაშიც იქნება. მეცხრე ტურიდან მოყოლებული, თავისუფლად უწვრთნელი მეტოქეებს. ახლა, პირველი წრის ნაწილში სირცხვილის ჩამოცხება სწადია „დინამოს“.

არცერთი ძირითადი ყველა მოთამაშე შეუძლია ჰყავს. თორმეტი მაინც დისკვალიფიკაცია მარცხისდინ ბერი სადირექციოს ვერ გაუწევს სასტიკ დემეტრეს თავგადას. ის კი არა, „სიონთან“ სათასო მატჩში შეტევის ლიდერი ზირაქიშვილიც დაასვენა მწვრთნელმა.

საქმე პროგნოზზე მიგვიდგა. ძალიან რთული საქმეა ამ თამაშის შედეგის გამოცნობა, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და მოგახსენებთ, რომ „ტორპედო“ არ უნდა წააგოს. ეს იგი ფრე ხომ. უპირატესობა მასპინძელთა მხარესაა, ენახოთ, როგორ და რანაირად გამოიყენებენ ამას რაიონისპირელები.

ჩემპიონმა ქალის მეტი ვერაფერი წამოიღო ბოლნისიდან. დღეს „სიონს“ ვიცე-ჩემპიონი ესტუმრება. პირველ წრეში ბევრისთვის მოულოდნელად სამი ქულა თავლიან საქალაქის მეგობარი რონდელებმა ვეტერანზე და თუ დღევანდელი მასპინძლის ბანაკიდან გამოსულ ხმებს ვერწმუნებით, მეტოქეს იგივეს უპირებენ.

სპარტაკ არჩვაძემ სწორედ ამ თამაში შესწირა სათასო მატჩი — 7 ნოემბერს „დინამოს“ წინააღმდეგ არც ერთი ორგაფრთხილებული ფეხბურთელი არ ათამაშა. მურმან გოგოლაძეს, კახა გოგიძეს, წაუყვანებსა და ბარნოვს დღეს ვიხილავთ მოედანზე. „სიონს“ ესპანეთში, მინი-ფეხბურთის ტურნირზე მიელტნიდა სილოდაშვილიც დაუბრუნდა, ასე რომ, არჩვაძის ტურფალი ტრავმირებულია მესამე ორისლის და მასიურაძის გარდა „სიონის“ ყველა უძლიერესი ფეხბურთელია.

„ვიტ ჯორჯიასაც“ არ ჰყავს ტრავმირებულები და დისკვალიფიცირებულები. იგი წელევანდელი მიდის ბოლნისში და თანაც მოსაგებად. სტუმრები უფრო მებრძოლები და გამძლენი არიან. მასპინძლებს კი „თემურ სტეფანიაზე“ ყველასთვის ანგარიშგასაწევი და მრისხანენი.

ჩვენი პროგნოზი ასეთია — ფრე, დანარჩენი სტუმარ-მასპინძლის მარაფათზე იყოს.

სანტერესო მატჩია რუსთავშიც. ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „ლოკომოტივი“ თავისი შანსის გამოყენებას ეცდება. შეუშლის ხელს „გორდა“ სტუმრებს გამარჯვებაში? ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ცუდი მოდგენი და კიდევ „გორდას“ მოთამაშეთა დამოკიდებულება მეტოქესადმი. ძალიან გაბრაზეა რუსთაველები პირველი წრის 0:6-მა. სწორედ ამიტომ ემზადებიან ალადაშვილის ბიჭები გარკვეული ეინითა და ენერგიით. მიუხედავად ამისა, ძალიან გაუჭირდებათ რუსთაველებს. სტუმართა მეკარე, დაცვა და ნახევარდაცვა მეტოქისაზე გაცილებით ძლიერია, თავდასხმაში კი ორივეს პრობლემები აქვს.

კიდევ ერთხელ (ეს ბოლო არ იქნება წლეულს) შეიფარებს ზესტაფონური სარბიელი სამტრედიულ „იბერიას“. იქ უმასპინძლებს ფრუიძის გუნდი ფოთის „კოლხეთს“. მართალია, გულით გვინდა, როგორმე დავეხმაროთ „იბერიას“, ვანუგეშოთ მისი მწვრთნელი და ახალგაზრდა ფეხბურთელები, მაგრამ არაფერი გამოდის.

ვერ გაუმკლავდება „იბერია“ „კოლხეთს“. ამისთვის არა მგონია, ვინმე გაკიცხოს და დაძრახოს შინიდან გაძევებული ახალგაზრდული გუნდი. ფოთელები კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწევენ წინ და ალბათ ასეც გაგრძელდებიან, რადგანაც დარჩენილი ტურებში ყველა კონკურენტს „ფაზისზე“ დაუხვდებიან და ეს მათთვის დიდი შეღავათია.

ტრავმებმოძალებული „მერანი“ გორის „დილას“ მიიღებს. ალბათ, მიიღებენ კიდეც ავჭალელებს. ამის თქმის საბაბს ორი გარემოება იძლევა. პირველი — გორელებს „სინათლეზე“ თამაში ტრადიციულად უჭირთ. მეორე — მასპინძელთა კარში დევაძე დგას, რომლისთვისაც „დილას“ ჩემპიონატში გოლის გატანა ბოლო დროს გმირობის ტოლფასია.

ჩაჩირაშვილმა, რაც მთავარი მწვრთნელია, ერთხელაც ვერ ითამაშა ძირითად შემადგენლობით. მწვრთნელ ლევან გოჩაშვილი, აკოფიანი და საგურამიძე დაუბრუნდნენ, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო რევაზიშვილი ვერ ითამაშებს.

გაბულაის ვერაფერით შეეწევის ფოცხვერია და პოლოკიძე, თუმც „მერანს“ გამარჯვება უმათითოდაც არ უნდა გაუჭირდეს.

ახალგაზრდა თსუ და ერთობ გაახალგაზრდავებული „ბათუმი“. პირველი, ალბათ, ექსპლუზში ვერაფერი შეალწევს, თუმც უბრძოლველად რაიმეს დათმობას ჩვეული არაა. მეორეს გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროება, რათა მეტი ექსპლუზში გამაგრდეს.

სტუდენტებს აშკარად ჩავარდნა აქვთ. ბოლნისიდან წამოღებული სამი ქულის შემდეგ მათ ზედიზედ ორი მატჩი დათმეს — ხელმძღვანელთა და სათასო. „ბათუმი“ პრიქით, ალმაცობას განიცდის. ზედიზედ ოთხ ტურში არ დამარცხებულა ასლან ბალაძის გუნდი.

თსუ-ს ჰყავს ტრავმირებული ფეხბურთელები, „ბათუმი“ სრულიად ჯანმრთელია და ყველაფრის გათვალისწინებით, გამარჯვების მეტი შანსი სტუმრებს აქვთ.

გაემგზავრეთ ქუთაისში. გეზარებათ? მიბრძანდით ბოლნისში. არა? მაშინ, რუსთავში, ანაც მცხეთაში. მეცამეტე ტური გამორჩეული და ინტრიგულია. მოვესწარით იმ დღესაც, როცა საქმე ასარჩევად გვაქვს.

**გაგუკა ძგანტალიანი**

ქუთაისი. „ტორპედო“. 11 ნოემბერი. 15 საათი

## ტორპედო — დინამო

მსაჯები: გ. მალაღურაძე; გ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ბრეგაძე (ქობულეთი); გ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებული: მაისურაძე (დინამო)

ზესტაფონი. „მეტალურგი“. 11 ნოემბერი. 15 საათი

## იბერია — კოლხეთი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გურჯაანი); ჯ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მცხეთა. „არმაზი“. 11 ნოემბერი. 15 საათი

## თსუ — ბათუმი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

თბილისი. „სინათლე“. 11 ნოემბერი. 15 საათი

## მერანი — დილა

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილორავა
დისკვალიფიცირებული: რევაზიშვილი (დილა)

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 11 ნოემბერი. 15 საათი

## სიონი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; ა. კოჭაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. კობიაშვილი

რუსთავი. „ფოლადი“. 11 ნოემბერი. 15 საათი

## გორდა — ლოკომოტივი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

„ტორპედო“ — „დინამოს“ ბოლო ქუთაისური დაპირისპირება ფრედ 0:0 დასრულდა

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 8 | დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 7 | იოსანიძე | ტორპედო |
| 6 | გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| | რუსია | ლოკომოტივი |
| | ზირაქიშვილი | დინამო |
| 5 | აფხაზავა | ბათუმი |
| | ტუტუნავა | თსუ |
| 4 | მოსეშვილი | სიონი |
| | ა. მუჯირი | ბათუმი |
| | ფანჩულიძე | კოლხეთი |
| | იმედაძე | ტორპედო |
| | მელქაძე | ვიტ ჯორჯია |

### უმაღლესი ლიგა

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 12 | 10 | 2 | 0 | 20:4 | 16 | 32 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 16 | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 9 | 16 |
| 2 | ლოკომოტივი | 12 | 10 | 0 | 2 | 27:7 | 20 | 30 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 13 | 15 | 6 | 5 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 15 |
| 3 | დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 25:13 | 12 | 25 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:6 | 9 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 10 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 3 | 2 | 19:6 | 13 | 24 | 6 | 4 | 0 | 2 | 6:2 | 4 | 12 | 6 | 3 | 3 | 0 | 13:4 | 9 | 12 |
| 5 | კოლხეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:13 | -1 | 16 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 13 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:9 | -4 | 3 |
| 6 | ბათუმი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:14 | 1 | 16 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 9 | 15 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:10 | -8 | 1 |
| 7 | სიონი | 12 | 4 | 2 | 6 | 10:11 | -1 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 0 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 7 |
| 8 | მერანი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | -4 | 14 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -8 | 2 |
| 9 | თსუ | 12 | 4 | 1 | 7 | 14:23 | -9 | 13 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | -6 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 7 |
| 10 | გორდა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:19 | -9 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 2 |
| 11 | დილა | 12 | 2 | 2 | 8 | 8:22 | -14 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 6 | 1 | 0 | 5 | 2:12 | -10 | 3 |
| 12 | იბერია | 12 | 0 | 1 | 11 | 2:26 | -24 | 1 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:13 | -13 | 1 | 6 | 0 | 0 | 6 | 2:13 | -11 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

## უეფას თასი. II ეტაპი.
## საპასუხო მატჩები. 7 და 9 ნოემბერი

*სლავია (ჩეხეთი)* 4:1 ოფი (საბერძნეთი) (2:2)
0:1 მუნიოსი (60), 1:1 კუჩარი (62), 2:1, 3:1, 4:1 ზელენკა (70, 78, 89)

მტკ (უნგრეთი) 0:1 *ნანტი (საფრანგეთი)* (1:2)
0:1 მონტერუბიო (84)

*რომა (იტალია)* 1:1 ბოავიშტა (პორტუგალია) (1:0)
1:0 ნაკატა (9), 1:1 ელპიდიუ სილვა (53)

*შტუტგარტი (გერმანია)* 3:1 ტიროლი (ავსტრია) (0:1)
1:0 შნაიდერი (7), 2:0, 3:0 განია (18, 45), 3:1 ბრუეჩკო (62)

ინტერი (სლოვაკეთი) 1:2 *ლოკომოტივი (რუსეთი)* (0:1)
0:1 ჩუგაინოვი (31), 1:1 ჩისოვსკი (47), 1:2 ჯანაშია (69)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, დროზდოვი, ევსეევი, ჩერევჩენკო (ხარლაჩევი 77), ჩუგაინოვი, სარქისიანი, სენნიკოვი, ჯანაშია, ლოსკოვი (მამინოვი 52), ბულიკინი (ლავრიკი 65)
მწვრთნელი: იური სიომინი
3 280 მაყურებელი

გენკი (ბელგია) 2:5 *ვერდერი (გერმანია)* (1:4)
0:1 პიზარო (24), 1:1 ტისი (26), 1:2, 1:3 პიზარო (27პ, 44), 2:3 ზოკორა (57), 2:4 შტალტერი (73), 2:5 მაქსიმოვი (80)

*პაოკ (საბერძნეთი)* 3:0დ.დ. (1:0) უდინეზე (იტალია) (0:1)
1:0, 2:0 კამპსი (72, 102), 3:0 ფრუსოსი (108)

დინამო (ხორვატია) 1:0 *პარმა (იტალია)* (0:2)
1:0 შოკოტა (32)
გაძევება: სარტორი (90, პარმა)

ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:3 *ლივერპული (ინგლისი)* (0:1)
1:0 შტაინერი (9), 1:1 ბარმბი (32), 1:2 ჰესკი (76), 1:3 ოუენი (82), 2:3 ბრედა (85)

*ფეიენოორდი (ჰოლანდია)* 1:0 ბაზელი (შვეიცარია) (2:1)
1:0 კალუ (3)

სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1 *ბრიუგე (ბელგია)* (1:2)
1:0 ამოა (20), 1:1 მენდოსა (90)

ვიბორგი (დანია) 2:1 *რაიო ვალეკანო (ესპანეთი)* (0:1)
1:0 ფერნანდესი (29), 1:1 მიჩელი (77), 2:1 ფერნანდესი (85)
გაძევება: პედერსენი (75, ვიბორგი)

*ალავესი (ესპანეთი)* 2:2 ლილესტრიომი (ნორვეგია) (3:1)
1:0 მაგნო (1), 1:1 პ. სტრანდი (4), 1:2 სოგარდი (50), 2:2 ეპიტი (70)

აიაქსი (ჰოლანდია) 2:2 *ლოზანა (შვეიცარია)* (0:1)
1:0 არველაძე (17), 1:1 მაცონი (38), 1:2 კუცბა (77პ), 2:2 ვან დერ გუნი (78)
აიაქსი: გრიმი, ბერგდოლმო, პასანენი (ვან დერ გუნი 69), კოვუ, დე კლერი, ვინტერი, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, იკედია (ვან დერ მეიდე 69), მახლასი, შ. არველაძე
მწვრთნელი: კო ადრიანსე
40 000 მაყურებელი

სელტიკი (შოტლანდია) 1:2დ.დ. (1:1) *ბორდო (საფრანგეთი)* (1:1)
1:0 მორავჩიკი (55), 1:1, 1:2 ლასლანდი (79, 114)

ვიტესი (ჰოლანდია) 1:1 *ინტერი (იტალია)* (0:0)
1:0 პეეტერსი (14), 1:1 სიმიჩი (80)

გრაცერი (ავსტრია) 1:0 *ესპანიოლი (ესპანეთი)* (0:4)
1:0 ემანი (65)

*კაიზერსლაუტერნი (გერმანია)* 2:3 ირაკლისი (საბერძნეთი) (3:1)
1:0 ჰ. კოხი (25პ), 2:0 ჯორკაეფი (29), 2:1, 2:2 კონსტანტინუ (54, 90), 2:3 ფოფონკა (90)

*სელტა (ესპანეთი)* 5:3 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) (0:1)
0:1 დრულიჩი (14), 1:1 მაკკარტი (22), 1:2 დრულიჩი (38), 2:2 გუსტავო ლოპესი (49პ), 3:2 მაკკარტი (55), 4:2 გუსტავო ლოპესი (65პ), 5:2 კატანია (69), 5:3 დრულიჩი (90)

*პორტუ (პორტუგალია)* 3:0 ვისლა (პოლონეთი) (0:0)
1:0, 2:0 ხესუს პენა (4, 61), 3:0 ალენიჩევი (90)

ამიცა (პოლონეთი) 1:1 *ჰერტა (გერმანია)* (1:3)
1:0 კროლი (54), 1:1 ვაიტი (63)

*მიუნხენ 1860 (გერმანია)* 3:1 ჰალმსტადი (შვედეთი) (2:3)
1:0 მაქსი (6), 1:1 რ. ანდერსონი (25), 2:1 აგოსტინო (45), 3:1 მაქსი (84)

ჰერფიოლგე (დანია) 2:1 *აეკ (საბერძნეთი)* (0:5)
1:0 იაკობსენი (1), 1:1 პეტკოვი (34), 2:1 ჰერმანსენი (46პ)

რაპიდი (ავსტრია) 0:2 *ოსიეკი (ხორვატია)* (1:2)
0:1 ბიელიკა (14), 0:2 სტეპან ჯუკიჩი (90)


REUTERS შტუტგარტიდან



შტუტგარტელი წესრიგის დამცველის დასისხლიანება ავსტრიული „ტიროლის“ ქომაგს ძვირი დაუჯდება

**ხუთშაბათს** გამართული უეფას თასის მეორე ეტაპის საპასუხო მატჩების შემდეგ ამ ევროპულ თასს ერთი ქართველის გუნდი შემორჩა — მესამე ეტაპზე ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივმა“ გააღწია, შოთა არველაძის „აიაქსი“ კი შვეიცარიულ „ლოზანასთან“ დამარცხდა.

ხუთშაბათს ამსტერდამელებმა შვეიცარიული კლუბი თავად იწვიეს და სტუმრად წაგებული 0:1-ის გაქვითვა სცადეს. ჰოლანდიელთა თავკაცმა კო ადრიანსემ თავდასხმა გააძლიერა და ერთბაშად სამი ფორვარდი გამოიყვანა. ასე მოხვდა შოთა არველაძე ძირითად შემადგენლობაში მახლასთან და იკედიასთან ერთად. ქართველმა მწვრთნელს მალე დაუმტკიცა, რომ სათადარიგოთა შორის ყოფნა მისი საქმე არ არის: მე-17 წუთზე იკედიას ფლანგურ გარღვევას და ჩაწოდებას არველაძის ზუსტი თავური მოჰყვა — 1:0. შოთას მალე სხვაობის გაორებაც შეეძლო, მაგრამ თავითვე ოდნავ ააცილა მიზანს. მერე კი ძირითადად ერთი გუნდი ქმნიდა მომენტებს და ეს გუნდი „ლოზანა“ გახლდათ. არაერთი შანსიდან სტუმრებმა ორი გამოიყენეს: პირველ ტაიმში მაცონიმ იმარჯვა, მეორეში კი კუცბამ, რომელმაც პენალტი გაიტანა. თამაშის მიწურულს მასპინძლები კი გამოცოცხლდნენ, მაგრამ ფრესლა გამორჩნენ. მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ მსაჯის მიერ წამატებულ დროში რუმინელმა კრისტიან კივუმ თერთმეტმეტრიანი გააცუდა, მეკარემ აუღო.

„სამწუხაროა, რომ ისეთი სახელოვანი გუნდი, როგორიც „აიაქსია“, უეფას თასიდან გამოვარდა. დღეს ჩვენ ფიერკლაუ, კნოპერი, ობრინი, ტობიასენი, ვიჩზე, ჰოსი და გრონკიაერი გვაკლდა, ამიტომაც ვერ მოვიგეთ“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა მატჩს კო ადრიანსემ.

„ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა კი 31-ე წუთზე ამოისუნთქა, როცა ჩუგაინოვმა თავით შეაგდო. ამის მერე სლოვაკურ „ინტერს“ სამი ბურთი უნდა გაეტანა, რათა შემდეგ ეტაპზე გასულიყო, მაგრამ სამი გოლი კი არა, სამი მომენტიც არ შექმნილა ნიგმატულინის კართან. ვგონებთ, მარტო 47-ე წუთზე გადახტა რკინიგზელთა მეკარე და მაშინაც ვერ იხსნა თავისიანები — ჩიშოვსკის თავურით ანგარიში გათანაბრდა. მერე კი ჯანაშიას ჯერი დადგა, როცა მან 69-ე წუთზე სლოვაკები მეორედ დაამწუხრა.

წინა ეტაპზე ინგლისური „ჩელსის“ გამგდებმა „სენტ გალენმა“ ბელგიურ „ბრიუგეს“ უმასპინძლა და ისიც კინაღამ ლონდონელთა გზას გაუყენა. ბელგიელები გავარდნას მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე გადაურჩნენ, როცა პერუელმა მენდოსამ თავით გაიტანა და „ბრიუგემაც“ სასურველ 1:1-ს გამოჰკრა ხელი. ისე, სტუმრებს გატანა უფრო ადრე მართებდათ, მაგრამ კარგი მომენტები გააცუდეს. ერთი-ორჯერ „სენტ გალენმაც“ ბრწყინვალე შანსი დაკარგა. ერთხელ კი გაიტანა, მაგრამ ლემბი-განე-ამოს კომბინაცია და ამ უკანასკნელის ლამაზი გოლი მომდევნო ეტაპზე გასასვლელად არ ეყო.

უეფას თასს კიდევ ერთი შვეიცარიული კლუბი — „ბაზელი“ გამოეთიშა. მას ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა“ მეორე მატჩიც მოუგო, ამჯერადაც მინიმალური სხვაობით, ოღონდ 1:0. ისე, შვეიცარიელები ღირსნი იყვნენ, უფრო დიდი ანგარიშით წაეგოთ.

„შტუტგარტი“ — „ტიროლის“ მატჩს კი კინაღამ სტადიონის ერთი თანამშრომელი შეეწირა. ავსტრიელი ქომაგების მიერ ნასროლი ბლაგვი საგანი წესრიგის დამცველს თავში მოხვდა. შედეგი კინაღამ სავალალო გამოდგა — დაზარალებულს თავი გაუტყდა, ტვინი შეერყა და ენაც მოეკვნიტა, თავიდან გონიც კი დაუკარგავს. ამის გამო „ტიროლს“ უეფა ალბათ მკაცრად დასჯის, იქნებ სტადიონის დისკვალიფიკაციაც კი გამოუწეროს, ოღონდ ამ შემთხვევაში ავსტრიელები სასჯელს გაისად მოიხდიან (ევროტურნირებზე თუ გააღწიეს), რადგან ინსბრუკში პირველ მატჩში მოგებული 1:0 „შტუტგარტთან“ საკმარისი არ აღმოჩნდა. გერმანელებმა პირველივე ნახევარში მოუთავეს ხელი სტუმრებს, როცა სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს. „ტიროლმა“ მხოლოდ ერთი გაქვითა.

სამშაბათს უეფას თასის მესამე ეტაპის საგზური ორმა გერმანულმა კლუბმა მოიპოვა — „მიუნხენ 1860“-მა და „ჰერტამ“. ხუთშაბათს „შტუტგარტის“ გარდა ეს „ვერდერმა“ და „კაიზერსლაუტერნმაც“ მოახერხეს.

ანდრეას ბრემემ თავის სამწვრთნელო კარიერაში მეორე მარცხი იწვნია. ბერძნული „ირაკლისის“ სტუმრად 3:1 მძლეველი „კაიზერსლაუტერნი“ მეტოქეს შინ გულარხეინად დაუხვდა. მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და პირველი ტაიმის შუაგულში ორი ბურთითაც დაწინაურდნენ: ჯერ ჰარი კოხმა გამოიყენა პენალტი, მერე ჯორკაეფმა შორიდან ივარგა. მეორე ნახევარში კი „კაიზერსლაუტერნი“ საშინელი სანახავი იყო და აი, შედეგიც — 2:3. ასე მიულოცეს მასპინძლებმა 40 წლის იუბილე ანდრეას ბრემეს.

„ძნელია, სტუმრად 3:1 მოგების შემდეგ შინ მობილიზება და ყურადღებით თამაში მოსთხოვო ფეხბურთელებს“ — გაამართლა შეგირდები ნამატჩევს ბრემემ.

მაშ საინტერესოა, როგორ მოახერხა მობილიზება და ყურადღებით თამაში ბრემენის „ვერდერმა“. ბრემენელები ბელგიურ „გენკს“ სამბურთიანი უპირატესობით ესტუმრნენ და ექვსბურთიანით წამოვიდნენ — „ვერდერმა“ 5:2 შეარცხვინა იოჰან ბოსკამპის „გენკი“. მატჩის გმირი კი ჰეთ-თრიქის ავტორი პიზარო გახდა.

„ბორდოს“ საფრანგეთში ბოლო წუთზე გოლის გამტანად იცნობენ. მიმდინარე სეზონში მან უკვე სამჯერ მოიგო წამატებულ დროში გატანილი გოლების წყალობით. ახლაც, წამატებულზე არა, მაგრამ მეორე დამატებით ტაიმში კი გაიტანა.

„დანებება არ გვჩვევია“ — თქვა ფრანგთა მწვრთნელმა ელი ბაუპმა — მებრძოლი გუნდი ვართ და დამსახურებულადაც მოვიგეთ, თუმც „სელტიკიც“ შემეცოდა. ყველაფერი უხეირო წილისყრის ბრალია, ასე ადრე არ უნდა გადავყროდით ერთმანეთს. ჩვენებიდან განსაკუთრებით ულრიხ რამეს და ლილიან ლასლანდს გამოვარჩევდი. რამემ ურთულესი ბურთები მოიგერია, ხოლო ლასლანდს სულ ორი კარგი მომენტი ჰქონდა და ორივე გამოიყენა. ასეთი შედეგიანობა მის პროფესიონალიზმზ მიგვანიშნებს“.

ერთი ბორდოელი ფეხბურთელი გლ ზგოელთა მწვრთნელმა მარტინ ონილ მაც გამოარჩია, ოღონდ სულ სხვა ნიშ ნით. დევიდ სომეილმა პირველ ტაიმ ში ჯეკი მაკნარამა დაამტვრია და სელ ტიკელი ნახევარმცველი მოედნიდან გა საყვანი შეიქნა, მერე კი ჰენრიკ ლარ სონს უკნიდან ორივე ფეხი ჩასცხ ონილი ამბობს: „ლარსონი მინდორზ რომ გაგორდა, ვიფიქრე, რომ ფეხი მო ტყდა, თანაც ზუსტად იმ ადგილა გასულ წელს რომ მოტეხეს. რა ხანი ასეთი უხეში თამაშის მომსწრე ა ვყოფილვარ. მსაჯის საქციელმაც გა მაოცა. ფიფას ინსტრუქციაში გარკვ ვით წერია, რომ მსგავს შემთხვევაშ დამნაშავე უნდა გააძევო, მსაჯი კი გა ფრთხილებით დაკმაყოფილდა. კიდე კარგი, ლარსონი გადარჩა“. ონილს ბა უპიც ეთანხმება: „მატჩის წინ ფეხბურ თელებს ვუთხარი, აგრესიულად ით მაშეთ-მეთქი, ოღონდ ასეთი აგრესიუ ლობა არ მიგულისხმია“.

ათი წუთი აშორებდა მილანის „ინ ტერს“ მორიგ შერცხვენამდე. არად იტალიელებს მომენტები ჰქონდათ: თუ რქმა ჰაქან შუქურმა ძელს გაარტყ არნემელმა მეკარე ედვინ ზუტბიერმ კი ბრწყინვალე ნახტომში აუღო ალვ რო რეკობას. მარკო ტარდელიმ კრის ტიან ვიერიც გაიყვანა მინდორზე, მაგ რამ ეს არ იყო „ინტერის“ ისეთი თამა ში, როგორსაც მისგან, რა ხანია, ელია თავისი ჰქნა რონალდ კუმანის გუნდი აქამდე რომ არასდროს გაუღწევია ევ როტურნირის მეთექვსმეტედფინალამდე თავგანწირულმა თამაშმაც.

მატჩის ბედი „ინტერის“ მცველი დარიო სიმიჩის გოლმა გადაწყვიტ საგოლე პასი ხორვატს, ჰოლანდიელთ სავალალოდ, მათმა თანამემამულე კლ რენს ზეედორფმა გაუკეთა.

...„დერბი ქაუნთისთან“ მატჩში მაიკ ოუენი კრის რიგოტს შეეჯახა და თავზ 13 ნაკერი დაადეს. იმ ამბიდან 24 დღ თავზე ოუენი მინდორს დაუბრუნდა. და ბრუნება ისეთი გამოდგა, რომ აღნ რას იმსახურებს.

ჟერარ ულიეს 20 წლის ფორვარდ სათადარიგოდ ჰყავდა და 82-ე წუთ შეუშვა. ოუენმა მაშინვე მიიღო ნ ბარმბის პასი, ორი ლიბერეცელი მ ველი ჩამოიტოვა და კარის ზედა კუ ხეში დაარტყა — შეცვლიდან გოლ მდე ერთი წუთიც არ გასულა. „შეც ლაზე შესულს ბევრჯერ გამიტანია — თქვა ოუენმა — მაგრამ ასე სწრაფა არასდროს. ძალიან კმაყოფილი ვარ“.

შეცვლაზე შესულმა პაოკელებმა და მარცხეს სერია A-ს ლიდერი „უდინ ზე“ და „იუვენტუსის“ გზას გაუყენ მაინც რა გადაულახავ ზღუდედ იქც ათენური გუნდები იტალიელთათვის

შედეგის სამართლიანობაში ეჭვის შ ტანა შეუძლებელია — ბერძნები მთე ლი 120 წუთი უტევდნენ და მხოლ უდინელი მეკარე ლუიჯი ტურჩის თ ვგანწირულმა თამაშმა არ მისცათ სა ალება, საქმე 90 წუთში მოემთავრებ ნათ. გაინტერესებთ, რას აკეთებდა იტ ლიელთა ლიდერი სტეფანო ფიორ არაფერს — ვიდაკ ბრატიჩისგან ი იყო შებოჭილი, მინდორზე მის ყოფნ ფასი არ ჰქონდა.

**ვანო ოქროპირი**
**გიორგი დარჯანი**



REUTERS რომიდან

რომა — ბოავიშტა 1:1. პორტუგალიელი ჟორჟე სილვა და რომაელთა არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

CHAMPIONS LEAGUE

რა გაგახსენდათ, როცა წილისყრამ „მილანი“ და „გალათასარაი“ ერთ ჯგუფში მოახვედრა? ალბათ, ყველას ერთი და იგივე — შარშანდელი სტამბოლური 3:2. გასახსენებელი სხვაც ბევრია: „ლიდსმა“ 1975 წელს ჩემპიონთა თასის ორივე მეოთხედფინალური მატჩი მოუგო „ანდერლეხტს“. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შარშანდელი ლიგის პირველ ეტაპზე ორივე შეხვედრა მოუგო „შტურმს“, "ვალენსია“ კი 3:0 დაამარცხა, ოღონდ უკვე მეორე ჯგუფურ ეტაპზე. 1982 წელს უეფას თასზე „სპარტაკმა“ გაანადგურა „არსენალი“, შინაც მოუგო და ლონდონშიც. „ჰაიბერიზე“ ასეთი ანგარიშით — 2:5 „არსენალს“ არც იქამდე და არც მერე არასდროს წაუგია ევროტურნირებზე. ძველი შუღლი აქვთ ერთმანეთთან „დეპორტივოს“ და „პარი სენ ჟერმენს“. 1995-96 წლების სეზონში ეს გუნდები თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში გადაეყარნენ და ფრანგებმა გაიმარჯვეს. პარიზელები „მილანსაც“ რამდენჯერმე გადაჰყრიან — ბოლოს 1994-95 წლების ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და იტალიელებმა ორივე თამაში მოიგეს. „პარი სენ ჟერმენი“ „გალათასარაისაც“ შეჭიდებია 1997 წელს, თასების მფლობელთა თასზე. სტამბოლში მასპინძლებმა 4:2 მოიგეს, პარიზში კი ფრანგებმა— 4:0.

დაპირისპირებები გაგრძელდება.

UEFA CUP

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი.

პირველი მატჩები — 23 ნოემბერს, საპასუხო — 7 დეკემბერს

გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია)
ოსიეკი (ხორვატია) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი)
აეკ (ათენი, საბერძნეთი) — ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია)
ბრიუგე (ბელგია) — ბარსელონა (ესპანეთი)
ჰერტა (ბერლინი, გერმანია) — ინტერი (მილანი, იტალია)
ალავესი (ვიტორია, ესპანეთი) — რუსენბორგი (ტრონჰეიმი, ნორვეგია)
ნანტი (საფრანგეთი) — ლოზანა (შვეიცარია)
ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — შტუტგარტი (გერმანია)
პარმა (იტალია) — მიუნხენ 1860 (გერმანია)
ბორდო (საფრანგეთი) — ვერდერი (ბრემენი, გერმანია)
შახტარი (დონეცკი, უკრაინა) — სელტა (ვიგო, ესპანეთი)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი)
რომა (რომი, იტალია) — ჰამბურგი (გერმანია)
ლივერპული (ინგლისი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი)
ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) — რაიო ვალეკანო (მადრიდი, ესპანეთი)
ესპანიოლი (ბარსელონა, ესპანეთი) — პორტუ (პორტუგალია)

## A ჯგუფი

**პანათინაიკოსი** ათენი. საბერძნეთი

**ვალენსია** ესპანეთი

**შტურმი** გრაცი. ავსტრია

**მანჩესტერი** ინგლისი

I ტური. 22 ნოემბერი, 2000
ვალენსია — შტურმი
მანჩესტერი — პანათინაიკოსი

II ტური. 6 დეკემბერი, 2000
პანათინაიკოსი — ვალენსია
შტურმი — მანჩესტერი

III ტური. 14 თებერვალი, 2001
შტურმი — პანათინაიკოსი
ვალენსია — მანჩესტერი

IV ტური. 20 თებერვალი, 2001
პანათინაიკოსი — შტურმი
მანჩესტერი — ვალენსია

V ტური. 7 მარტი, 2001
შტურმი — ვალენსია
პანათინაიკოსი — მანჩესტერი

VI ტური. 13 მარტი, 2001
ვალენსია — პანათინაიკოსი
მანჩესტერი — შტურმი



შარშანდელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ვალენსია“ 3:0. ბექემი ჩვეულ ამპლუაში

## B ჯგუფი

**დეპორტივო** ლა კორუნია. ესპანეთი

**მილანი** იტალია

**გალათასარაი** სტამბოლი. თურქეთი

**პარი სენ ჟერმენი** პარიზი. საფრანგეთი

I ტური. 22 ნოემბერი, 2000
მილანი — გალათასარაი
პარი სენ ჟერმენი — დეპორტივო

II ტური. 6 დეკემბერი, 2000
დეპორტივო — მილანი
გალათასარაი — პარი სენ ჟერმენი

III ტური. 14 თებერვალი, 2001
გალათასარაი — დეპორტივო
მილანი — პარი სენ ჟერმენი

IV ტური. 20 თებერვალი, 2001
დეპორტივო — გალათასარაი
პარი სენ ჟერმენი — მილანი

V ტური. 7 მარტი, 2001
გალათასარაი — მილანი
დეპორტივო — პარი სენ ჟერმენი

VI ტური. 13 მარტი, 2001
მილანი — დეპორტივო
პარი სენ ჟერმენი — გალათასარაი



გასულ გათამაშებას „მილანი“ სწორედ „გალათასარაისთან“ 2:3 წაგების გამო გამოეთიშა

## C ჯგუფი

**არსენალი** ლონდონი. ინგლისი

**ბაიერნი** მიუნხენი. გერმანია

**ლიონი** საფრანგეთი

**სპარტაკი** მოსკოვი. რუსეთი

I ტური. 23 ნოემბერი, 2000
ბაიერნი — ლიონი
სპარტაკი — არსენალი

II ტური. 5 დეკემბერი, 2000
არსენალი — ბაიერნი
ლიონი — სპარტაკი

III ტური. 13 თებერვალი, 2001
ლიონი — არსენალი
ბაიერნი — სპარტაკი

IV ტური. 21 თებერვალი, 2001
არსენალი — ლიონი
სპარტაკი — ბაიერნი

V ტური. 6 მარტი, 2001
ლიონი — ბაიერნი
არსენალი — სპარტაკი

VI ტური. 14 მარტი, 2001
ბაიერნი — არსენალი
სპარტაკი — ლიონი

## D ჯგუფი

**ლაციო** რომი. იტალია

**ლიდს იუნაიტედი** ინგლისი

**რეალი** მადრიდი. ესპანეთი

**ანდერლეხტი** ბრიუსელი. ბელგია

I ტური. 23 ნოემბერი, 2000
ლიდსი — რეალი
ანდერლეხტი — ლაციო

II ტური. 5 დეკემბერი, 2000
ლაციო — ლიდსი
რეალი — ანდერლეხტი

III ტური. 13 თებერვალი, 2001
რეალი — ლაციო
ლიდსი — ანდერლეხტი

IV ტური. 21 თებერვალი, 2001
ლაციო — რეალი
ანდერლეხტი — ლიდსი

V ტური. 6 მარტი, 2001
რეალი — ლიდსი
ლაციო — ანდერლეხტი

IV ტური. 14 მარტი, 2001
ლიდსი — ლაციო
ანდერლეხტი — რეალი

# ფიოგემ ზეელერი გაყიდა



იურგენ ჰუნკე, „ჰამბურგის“ პრეზიდენტი 1990-1993



რონალდ ვულფი, „ჰამბურგის“ პრეზიდენტი 1993-1995



უვე ზეელერი, „ჰამბურგის“ პრეზიდენტი 1995-1998

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ფეხბურთში კრისტოფ დაუმის სკანდალი არ ჩამქრალა და უკვე ახალი მწიფდება, რომელიც გადასახადების დამალვასთანაა დაკავშირებული.

1998 წლის 2 აპრილს ცნობილი შვეიცარიელი საფეხბურთო აგენტი ვოლფგანგ ფიოგე დაიჭირეს. ეს კაცი თავის დროზე ევროპული საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელთა შორის ერთობ პოპულარული პიროვნება ყოფილა. ფიოგეს ზოგიერთ მათგანთან ახლო ურთიერთობაც ჰქონია და იმ კლუბის საქმიანობაშიც ჩაუხედავს. ნეტავ, არ ჩაეხედაო, მგონი, ნანობენ ის პრეზიდენტები ახლა. რატომ? რატომ და პასუხისგებაში მიცემულ აგენტს პოლიციისთვის ერთი საინტერესო ამბავი მოუყოლია და ეს ჩვენებაშიც დაუწერია.

1992-1997 წლებში გერმანულმა „ჰამბურგმა“ სამი პრეზიდენტი გამოიცვალა: იურგენ ჰუნკე, რონალდ ვულფი და წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი უვე ზეელერი. ჰოდა, სულ მისხალ-მისხალ მოგიყვებით, ვინ რამდენი ფული დაუმალა საგადასახადოს და საკუთრივ მიითვისაო, უთქვამს ფიოგეს. ჯამში დაახლოებით 5 მილიონ გერმანულ მარკაზე მეტიაო, დაუმატებია თან.

იურგენ ჰუნკე „ჰამბურგის“ პრეზიდენტი 1990 წლის 19 ნოემბერს გახდა და ზუსტად სამი წელი ასრულებდა თავის მოვალეობას. მან ფიოგეს დახმარებით 1992 წელს ერთი ტრანსფერი განახორციელა. კერძოდ, სოფიის ცსკადან ცნობილი ბულგარელი ფეხბურთელი იორდან ლეჩკოვი გადაიბირა. ჰოდა, ამ ტრანსფერიდან რაღაც მაქინაციით 600 ათასი მარკა დაუმალია და ჯიბეში ჩაუდვია. მასთან გაფორმებული კონტრაქტი ჰუნკეს მემკვიდრე რონალდ ვულფმა 1994 წელს გააგრძელა. ახალი ხელშეკრულების გაფორმებით მან 400 ათასი მარკა მიითვისა. ასევე სოლიდური თანხა „მოუტეხა“ მთავრობას იურგენ ჰუნკემ ლეჩკოვის თანამემამულე პაველ დონჩევის შეძენით.

უვე ზეელერი „ჰამბურგში“ 1995-1998 წლებში მეფობდა და თავისი ჯიბისთვის საკმაოდ სარფიანადაც. 1997 წლის იანვარში შვეიცარიელ მცველ სტეფან ენჩოსს „ჰამბურგმა“ ხელშეკრულება გაუგრძელა, ოღონდ ეს ამბავი კლუბის გარეთ არ გახმაურებულა. სამაგიეროდ, გუნდის საბანკო ანგარიშიდან უეცრად 800 ათასი მარკა გაქრა. ის ფული რამდენიმე კაცს შორის უნდა განაწილებულიყო, მაგრამ მთლიანად ზეელერმა ჩაიდო ჯიბეშიო, აღიარებს ფიოგე.

„ამის შესახებ არაფერი ვიცი. ფინანსურ საქმიანობას და ბუღალტერიას მე კი არა, ჩემი თანამშრომლები აწარმოებდნენ. ენჩოსთან კონტრაქტიც მათ გააგრძელეს. მე ჩემს ქვეშევრდომებს ყველაფერში ვენდობოდი, არ ვიცი, მათ თუ რამე დააშავეს“ — ასე მამა აბრამის ბატკანი გამოიყვანა თავისი თავი წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, თუმცა, როგორც ამბობენ, ზეელერი დიდ წუმპეში დგას და ამას თავადაც კარგად ხვდება.

ამ ფეხბურთელთა გარდა გერმანელ სამართალდამცავებს კიდევ ოთხი მოთამაშის ტრანსფერების სისწორეში ეპარებათ ეჭვი. კერძოდ, ენტონი იებოას, ნიკლას კინდვალის, პაველ ვოიტალას და მარტინ ზაფიროვის ხელშეკრულებებს თაღლითობის სუნი ასდისო, იუწყებიან გერმანელი პოლიციელები.

თუ ყველაფერი ისე იქნა, როგორც კანონდამცავები ვარაუდობენ, საგადასახადოს მახეში შესაძლოა „ჰამბურგის“ ახლანდელი ხელმძღვანელობაც გაებას. ამ შემთხვევაში კლუბს გვარიანი ჯარიმა არ ასცდება და იქნებ მეორე ბუნდესლიგაშიც დააქვეითონ.

გასულ კვირაში ჰუნკეს, ვულფისა და ზეელერის გარდა „ჰამბურგის“ კიდევ რამდენიმე თანამშრომლის, მათ შორის გუნდის ამჟამინდელი შეფის, ვერნერ ჰაკმანის სახლი გაჩხრიკეს. ამოიღეს თუ არა რაიმე სამხილებელი საბუთი, ჯერჯერობით უცნობია.

„სულაც არ ვბრაზობ პოლიციაზერა მაქვს საწინააღმდეგო, სიმართლე ხომ უნდა გაირკვეს. მზად ვარ, ამაში მეც დავეხმარო სამართალდამცავებს“ — თქვა ამასთან დაკავშირებით ჰაკმანმა.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

## ფეხბურთელები ტოტალიზატორებს შეესევიანო

ᲞᲝᲚ ᲛᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ სკანდალური განცხადების შემდეგ, რომელიც ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს აზარტული თამაშებისადმი გადამეტებულ სიყვარულს აბრალებს და ამას ევრო 2000-ზე ნაკრების ჩავარდნის მთავარ მიზეზად მიიჩნევს, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამაც გამოთქვა თავისი პოზცია.

მოსალოდნელია, რომ ფეხბურთელებს და მწვრთნელებს ოფიციალურად დართონ ტოტალიზატორში თამაშის ნება. საუბარია შეზღუდვაზეც: დაუშვებელია საკუთარი კლუბის და იმავე დივიზიონის გუნდებზე ფულის დადება.

გადაწყვეტილების მოწინააღმდეგენიც უმალ გამოჩნდნენ. ამბობენ, ესღა გვაკლდა, აქამდე ჩუმად თამაშობდნენ, ახლა კი გაილაღებენო.

ამაზე ასოციაციის პრეს-მდივანმა განაცხადა, ფსონების ჩასვლა თავისთავად უპატიოსნო საქციელი არაა და ფეხბურთელები ბოროტად თუ არ ისარგებლებენ, საშიშიც არაფერიაო.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## აველანჟეც დაკითხეს



ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ პარლამენტში შექმნილი საგანგებო კომისია ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური საქმიანობის შესწავლას განაგრძობს. გავიხსენოთ, რომ ფედერაციისადმი წაყენებულ ბრალდებათა შორის ერთი ასეთიცაა: ფედერაციასა და სპორტული ნაწარმის მწარმოებელ კომპანია „ნაიკს“ შორის დადებული სპონსორული შეთანხმება ბრაზილიური მხარისთვის წამგებიანი პირობებით არის შედგენილი. არის ეჭვი, რომ ფედერაცია შეგნებულად წავიდა ამაზე და დათმობების სანაცვლოდ კომპანიისგან ფული მიიღო.

გუშინ კომისიის წინაშე ფიფას ყოფილი პრეზიდენტი, 84 წლის ჟოაო აველანჟი წარსდგა. თითქოს რა შუაშია აქ აველანჟი? მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა აველანჟის ყოფილი სიძეა და მისი წყალობით დაინიშნა ბრაზილიის ფეხბურთის მთავარ ჩინოსნად, ხოლო აველანჟი აქტიურად ერეოდა ფედერაციის საქმიანობაში, გასაკვირი არაფერია.

დაკითხვა ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა და, ცხადია, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. მოგვიანებით თავად აველანჟმა უთხრა ჟურნალისტებს, „ნაიკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზე მეკითხებოდნენო და ასეთი კომენტარი გააკეთა: „ხელშეკრულება ათწლიანია და ფედერაცია 400 მილიონ დოლარს მიიღებს. „ნაიკს“ ძალიან ბევრ ფედერაციასთან აქვს კონტრაქტი, მაგრამ ამხელა თანხას არავის უხდის. აქედან გამომდინარე, არ მესმის, რატომ არის შეთანხმება ჩვენთვის წამგებიანი?“

### ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐ

ᲤᲠᲐᲘᲑᲣᲠᲒᲘ — ᲚᲔᲕᲔᲠᲙᲣᲖᲔᲜᲘ
ᲨᲐᲚᲙᲔ — ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ
ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜ 1860 — ᲑᲝᲮᲣᲛᲘ
ᲨᲢᲣᲢᲒᲐᲠᲢᲘ — ᲰᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘ
ᲕᲝᲚᲤᲡᲑᲣᲠᲒᲘ — ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲛᲘᲝᲜᲮᲔᲜᲒᲚᲐᲓᲑᲐᲮᲘ — ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ
ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ — ᲣᲚᲛᲘ
ᲛᲐᲒᲓᲔᲑᲣᲠᲒᲘ — ᲙᲐᲠᲚᲡᲠᲣᲔ

*მატჩები გაიმართება ერთ წრედ, პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე 28 და 29 ნოემბერს.*




ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ დორტმუნდის „ბორუსიას“ ავსტრალიური „პერს გლორის“ ორი ფეხბურთელის ყიდვა სურს. მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და მოსალოდნელია, მცველმა ლიუბო მილიჩევიჩმა და ბრედ მანოლიმ კარიერა ბუნდესლიგაში გააძელონ. მილიჩევიჩი 19 წლისაა და ავსტრალიაში წასვლამდე იგი სპლიტის „ჰაიდუკის“ ღირსებას იცავდა. მისივე ხნისაა მანოლიც, რომელმაც „პერსში“ თამაში ახლახან დაიწყო.

**ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲘᲡ „ბენფიკას“ 50 მილიონ გირვანქამდე ვალი დაუგრო- ვდა. კლუბის ახალარჩეული პრეზიდენტი ჟოზე ვილარინიუ აცხადებს, რომ კრიზისი ადრინდელი ხელმძღვანელების უსუსურობამ და მართვაში დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა. ლისაბონური გუნდი აპირებს, ბანკიდან კრედიტი გამოიტანოს, რათა ფეხბურთელებისა და სხვა მომსახურე პე- რსონალის ხელფასები გადაიხადოს. არც იმას გამორიცხავენ, „ბენფიკამ“ ზაფხულში შეძენილი ჰოლანდიელი ფორვარდი პიერ ვან ჰოიდონკი გა- ყიდოს.**

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ ჯალმინია უახლოეს მომავალში „დეპორტივოსთან“ კო- ნტრაქტს გაახანგრძლივებს. მიმდინარე შეთანხმების ვადა 2002 წელს იწურ- ბა, თუმცა ვარაუდობენ, რომ ნახევარმცველი გალისიაში 2005 წლამდე დარ- ჩება. ჯალმინიამ, რომელიც მალე 30 წლისა გახდება, ადრე განაცხადა, კარი- ერის დასრულება ჩემს ყოფილ კლუბ „ფლამენგოში“ მსურსო.

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ფორვარდი სანტიაგო ესკერო ტრავმის გამო სეზონის ბო- ლომდე ვერ ითამაშებს. მას სულ ახლახან ფინეთში ოპერაცია გაუკეთეს. ესკერო ბილბაოს „ატლეტიკში“ ირიცხება, ბასკეთში კი 1998 წელს მად- რიდის „ატლეტიკოდან“ გადავიდა.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ვესტ ჰემის“ მცველმა ჰეიდენ ფოქსმა ვარჯიშის დრო ფეხი მოიტეხა. ექიმების განცხადებით, ავსტრალიელი დაახლოებით ორ თვე ვერ გავა მინდორზე. „ნაკრებში მიმიწვიეს, შოტლანდიელების წინააღმდე ამხანაგურ შეხვედრაში უნდა მეთამაშა, მაგრამ არ გამიმართლა. იმასაც ვდა- რდობ, ვაითუ ეროვნულ გუნდში უთამაშებლობის გამო ინგლისის სამუშა- ვიზა ვერ მივიღო“ — განაცხადა ფოქსმა.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ „მილანს“ „ბრანის“ ცენტრალური მცველის რაგნვალდ სო- მას შეძენა სურს. ამბობენ, რომ ფეხბურთელი მომავალ კვირაში იტალი- აში მოსალაპარაკებლად ჩავა. 21 წლის სომას ცოტა ხნის წინ „ვესტ ჰემი“ ყიდულობდა, თუმცა ტრანსფერი ჩაიშალა. „შევიტყვეთ, რომ სომას თა- მაშის სანახავად ნორვეგიაში ზოგიერთი კლუბის წარმომადგენლები იმ- ყოფებოდნენ, მათ შორის „მილანიდანაც“ — განაცხადა „ბრანის“ დირე- ქტორმა კიელ მედლანდმა.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ნიუკასლის“ თავდამსხმელი კარლ კორტი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. ბობი რობსონის გუნდში 7 მილიონ გირვანქად ჩარიცხულ- ფეხბურთელმა ვარჯიშის დროს მუხლი იტკინა და არ გამორიცხავენ, რომ ოპერაციაც დასჭირდეს. „მინდორზე დაბრუნებას ძალიან არ ვჩქარობ. ადრე ტრავმამოუშუშებელმა ვითამაშე და ტკივილები განმიახლდა“ — განაცხადა ფორვარდმა.

**ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ ნახევარმცველი იონუტ ლუპესკუ „ბურსასფორიდან“ თავი- ყოფილ კლუბში, ბუქარესტის „დინამოში“ დაბრუნდა. „ვიმედოვნებ, რომ რუმინეთის ჩემპიონატში უკვე ამ კვირიდან ვითამაშებ, ჩვენ ჩემპიონობი- სთვის უნდა ვიბრძოლოთ“ — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც თურქეთში სათამაშოდ წინა სეზონში მას შემდეგ გადავიდა, რაც „დინამოსთან“ ერთად რუმინეთის ჩემპიონატი და ქვეყნის თასი მოიგო, თანაც იგი გუნდ- კაპიტნობდა. წლევანდელი სეზონი კი ბუქარესტულმა კლუბმა სუსტად დაიწყო. ცხრილში მეხუთეა და ლიდერს, თანაქალაქელ „სტიაუას“ ქულით ჩამორჩება.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ „მანჩესტერ სიტიმ“, შესაძლოა სებასტიან როზენტალ- შეიძინოს. ჩილელი ფეხბურთელი „გლაზგო რეინჯერსში“ ირიცხება, თუმ- ამჟამად განათხოვრებით არგენტინულ „ინდეპენდიენტეში“ თამაშობს. შოტლა- ნდიელებმა იგი 1997 წელს „უნივერსიდად კატოლიკადან“ 4 მილიონ გირვან- ქად გადაიბირეს. „სიტის“ თავკაცმა ჯო როილმა განაცხადა: „როზენტალ- კარგი ფეხბურთელია და ალბათ, ვიყიდით კიდეც. მალე იგი მანჩესტერში ჩამოვა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის“.

**ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ფორვარდი ტედი შერინგემი პრემიერლიგის სპონსორმა „ქარლინგმა“ თვის საუკეთესო მოთამაშედ აღიარა. ოქტომბერში მა- ოთხ თამაშში ხუთი გოლი გაიტანა, ამასთან „საუთჰემპტონთან“ ჰეთ- თრიქი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ 34 წლის შერინგემი ახლა „მანჩე- სტერ იუნაიტედის“ საუკეთესო ბომბარდირია. თვის მწვრთნელად „არსენალის“ ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი დასახელდა.**

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲔᲚᲛᲐ ფორვარდმა მატია კეჟმანმა განაცხადა, რომ სურს მომავალი ორი წლის განმავლობაში კარიერა იტალიაში ან ესპანეთში გააგრ- ძელოს. შეგახსენებთ, რომ იგი „პსვ ეინდჰოვენში“ ზაფხულში ჩაირიცხა. „ამჟამა- კმაყოფილი ვარ, მაგრამ სერია A-ში ან პრიმერადივიზიონში სიამოვნებით ვითამაშებდი. მჯერა, ასეც მოხდება“ — გაამხილა ფეხბურთელმა, რომლის შეძენის სურვილსაც ადრე „მილანი“ გამოთქვამდა.

## მომავალი რეალელი ბარსაზე ოცნებობ

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ მადრიდის „რეალი“ „ლევერკუზენის“ ნახევარმცველ მიხაელ ბალაკით სერიოზულად დაინტერესდა და ამ ზამთარს, სატრანსფერო სეზონის გახსნის შემდეგ, მის ყიდვას აპირებს.

300 მილიონ დოლარამდე ვალის მქონე „რეალის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს ამ საქმისთვის უკვე სოლიდური თანხაც გამოუყვია. როგორც ხორხე ვალდანომ ესპანურ გაზეთ „AS“-ს გაუმხილა, „ლევერკუზენი“ ბალაკის სანა- ცვლოდ 37 მილიონ გერმანულ მარკას მიიღებს.

მადრიდელთა მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ 24 წლის ნახევა- რმცველს, გასულ ორ თვეში გერმანელთა მთავარ იმედად რომ იქცა, სეზონის დასაწყისშივე დაადგა თვალი, ჩემპიონთა ლიგაში „რეალის“ წინააღმდეგ მა- თამაშის ხილვის შემდეგ კი აღფრთოვანებული დარჩა. სტუმრად „რეალის“ მიერ 3:2 მოგებულ მატჩში ბალაკმა მადრიდელებს ულამაზესი გოლი გაუტანა.

„მას შეუძლია რედონდო შეცვალოს“ — უთქვამს დელ ბოსკეს პერესისთვის და პრეზიდენტმაც უმალ ქისა გახსნა. რედონდოს შემცვლელად დელ ბოსკე ადრე კლოდ მაკელელე, ალბერტ სელადესი და ფლავიო კონსეისაო ჰყავდა შეგულებული, თუმცა მათ მწვრთნელს იმედები გაუცრუეს. ის კი არა, ფლავიო კონსეისაოს თურმე გაყიდვასაც უპირებენ — მას ტურინის „იუვენტუსი“ ეპატი- ჟება.

„ლევერკუზენი“ თუ ბალაკის გაყიდვას დათანხმდა და ალბათ ასეც იქნება, კლუბი ამ ფეხბურთელში მოკლე დროში დიდ მოგებას ნახავს: გასულ წელს კრისტოფ დაუმის დაჟინებული მოთხოვნით „ლევერკუზენმა“ „კაიზერსლაუტერნს“ მხოლოდ 5 მილიონი მარკა გადაუხადა.

ასე რომ, მადრიდის „რეალს“ მიხაელ ბალაკი სურს, ფეხბურთელი, რომლის ბავშვობის ოცნებაც თურმე „ბარსელონაში“ თამაში ყოფილა.

# გასახდელში გამოთქმული აზრები

## ჟერარ ულიე „ლივერპულზე“, ინგლისის ნაკრებზე, ფრანგებსა და რაულზე

ერთი თვის წინანდელი ამბავია. მეორე დღეს, კვირას, „ლივერპული“ გასვლაზე „დერბი ქაუნთის“ ეთამაშებოდა, ჟერარ ულიე კი ტელევიზორთან იჯდა და „რეალი“ — „დეპორტივოს“ უყურებდა. ტელევიზორის ამბავი მოგეხსენებათ — ეკრანზე მოედნის მხოლოდ ერთი მონაკვეთი ჩანს, რაც თამაშის სრულყოფილად აღქმას ხელს უშლის, მაგრამ ულიემ რაც დაინახა, ასე შეაფასა: „ეს წმინდა ფრანგული სტილია“. მკითხველი გაიკვირვებს, „რეალია“ ფრანგული ყაიდის გუნდი თუ „დეპორივო“? არც ერთი და არც მეორე — ულიე რაულზე ლაპარაკობს: „აბა, დააკვირდით ამ ბიჭს, როგორ ათრევს ბურთს და როგორი უზუსტესი დარტყმით ამთავრებს შეტევებს — ფრანგული ფეხბურთის სტილიც ესაა. „ლივერპულშიც“ მყავს ასეთი შემსრულებლები: მაიკლ ოუენი, გარი მაკალისტერი, პატრიკ ბერგერი...“

ეს კი ახლანდელი ამბავია. პრემიერლიგის წინა ტურში „ლიდსთან“ დამარცხების შემდეგ „დეილი ტელეგრაფის“ რეპორტიორი ულიეს გაესაუბრა და ასეთი რამეები მოისმინა:

„ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ვარ, მაგრამ ჩემი მშვიდობიანი ხასიათით ბოროტად სარგებლობას არავის ვურჩევ. თუ გუნდში სამუშაო განწყობა არაა, ვცოფდები. როგორია — მივდივარ სამსახურში, თავში ათასი იდეა მიტრიალებს, ამ დროს კი ირკვევა, რომ ვიღაც მუშაობის გუნებაზე არაა. ამიტომ ვინმე საძაგლად თუ იქცევა, მე ათჯერ უფრო საძაგელი ვხდები.

ჩემპიონატში ურიგოდ არ მივდივართ, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ — მეტის გაკეთება შეგვიძლია. დასამალი რაა, თავადაც შენიშნავდით, რომ რამდენჯერმე ოუენმა გადაგვარჩინა. ძალიან მაგარი ბიჭია. როცა თამაში არ გამოგვდის, სწორედ მაშინ გააქვს გოლები. საერთოდ, ასეთი ჩვევა მაქვს — შევკრებ ბიჭებს გასახდელში და ვეკითხები: ხვალინდელ თამაშზე რას ფიქრობთ, რისი გაკეთება გვჭირდება მოსაგებად? ყველა თავის აზრს გამოთქვამს და ეს თამაშის აწყობაში გვეხმარება.

„ლიდსთან“ საზიზღრად ვითამაშეთ, თუმცა, ერთი მხრივ, ეს კარგიცაა — გამოვფხიზლდით. რაც შეეხება ცუდ თამაშს, ამას თავისი მიზეზები აქვს.

თითქოს დიდი ხანი გავიდა ევროპის ჩემპიონატის დასრულებიდან, მაგრამ სანდერ ვესტერფელდს ჯერაც უაზროდ წაგებული ნახევარფინალი უტრიალებს თავში. რა ვუყოთ, ადამიანია, რობოტი ხომ არა. ცოტა დრო კიდევ სჭირდება და იმ წაგებას დაივიწყებს.

მარკუს ბაბელი პრემიერლიგაში ახალი კაცია. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ აქაურ სიტუაციასთან შესაჩვევად ორი თვე საკმარისია. აი, რობერ პირესი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ თქვა, „ბორდოდან“ „არსენალში“ რომ გადავედი, რაღაც პერიოდი მინდორზე გასვლისას მუხლები მიკანკალებდაო. არადა, კაცი მსოფლიოს ჩემპიონია. დარწმუნებული ვარ, ხუთი-ექვსი თამაშიც და მარკუსი საბოლოოდ მოერგება გუნდს.

პატრიკ ბერგერს რომ პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და შრომისმოყვარეა, მეორე ასეთი კაცი არ მეგულება. მას თავისუფლად შეუძლია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ ტრავმებმა გააწამა.

კრისტიან ციგეს ამბავი ძალიან მაწუხებს — ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის წინაამდეგ შესანიშნავად ითამაშა, ახლა კი აშკარად ეტყობა, რომ უჭირს.

ყველაფერს გარი მაკალისტერის ცოლის ავადმყოფობაც დაერთო. კაცი ღამეებს ათენებს ცოლის საწოლთან და თამაში როგორ მოვთხოვო? არადა, გარი, პედი (ბერგერი) და დიდი (ჰამანი) ერთად რომ არიან მინდორზე, „ლივერპულს“ ვეღარ იცნობთ, სულ სხვა გუნდია. კიდევ კარგი, სტივ ჯერარდი მომჯობინდა, თორემ გარის არყოფნა უფრო მძიმედ დაგვაწვებოდა. ისე, ყველას ვურჩევ, გარის მიბაძონ, ის ბრწყინვალე პიროვნებაა.

ხანდახან ისეთ რამეს გავიგებ, რომ შეიძლება გავგიჟდე. აი, მაგალითად, დღანან ვიღაც დილეტანტები და ამბობენ, ულიემ ემილ ჰესკი ძალიან ძვირად იყიდაო. ჰესკიში 10,5 მილიონი გადავიხადეთ. ახლა გეკითხებით, შეიძლება თუ არა უფრო ნაკლებ ფასად უმაღლესი კლასის თავდამსხმელის ყიდვა? და თუ ვინმეს მისი კლასი აეჭვებს, მაგაზეც ვუპასუხებ — კაცი „ლესტერიდან“ „ლივერპულში“ გადმოვიდა. ეს იგივეა, პატარა პროვინციული გაზეთის ჟურნალისტი უცბად სოლიდურ გამოცემაში რომ გადაიყვანონ. მისი პირველივე სტატია ძალიან კარგი იქნება?

ჰესკის თავი დავანებოთ, ოუენსაც ათასი ხინჯი ალმოუჩინეს, მარცხენა ფეხს ვერ ხმარობს და თავით თამაშიც არ გამოსდისო. დავითვალო, რამდენი გოლი აქვს გატანილი ცაციათი? ვარჯიშებზე მოვიდნენ და ნახონ, როგორ ამუშავებს მაიკლი მარცხენათი და თავით ბურთს. ჩემთვის ისიც გაუგებარია, რატომ არ ათამაშა უილკინსონმა მაიკლი ჰელსინკში (მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში).

ვინმეს იქნებ ჰგონია, რომ რაკი ფრანგი ვარ, ინგლისის ნაკრების წარმატება არ მახარებს და წარუმატებლობა არ მწყინს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაკრებში ლივერპულელებიც თამაშობენ და სანაკრებო შედეგი მათ კლუბში თამაშსაც ეტყობა. საერთოდ, ინგლისში უამრავი უნიჭიერესი ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციის მუშაობა არ მომწონს — არაეფექტურია. ჩვენი, ფრანგული მოდელი ძალიან კარგია — კლერეფონტენში ეროვნული საფეხბურთო ცენტრია, სადაც ყველა ფრანგული ნაკრები ერთად იკრიბება. ეს ფეხბურთელთა დაახლოებას უწყობს ხელს.

ისიც ვერ გამიგია, რა პრინციპით ნიშნავენ ინგლისურ კლუბებში მწვრთნელებს. კლუბის თავმჯდომარე დაადგამს თვალს რომელიმე ვარსკვლავს და ეუბნება, ხვალიდან გუნდს გაწვრთნიო. უამრავ კლუბშია ასე. არადა, კარგი ფეხბურთელობა კარგ მწვრთნელობას არ ნიშნავს. არანაირი კურსები, მომზადება, არაფერი...

იცით, რამდენს სწავლობდნენ ლუის ფერნანდესი, ჟან ტიგანა და ალან ჟირესი, სანამ მწვრთნელები გახდებოდნენ? რა, ცუდი ფეხბურთელები იყვნენ? როცა „ლიონის“ ტექნიკური დირექტორი ვიყავი, იქ ტიგანა თამაშობდა. მახსოვს, „მეცს“ ვხვდებოდით გასვლაზე. მატჩის დასრულებისთანავე ტიჯანა მანქანაში ჩაჯდა და წავიდა, რათა დილის 6 საათზე კლერეფონტენში სამწვრთნელო კურსებისთვის ჩაესწრო. ზოგს კი მწვრთნელობის სწავლა იოლი ჰგონია...

**გიორგი დარჯანია**



„ლივერპულისა“ და „არსენალის“ მატჩებს პრემიერლიგაში „ფრანგული დუელი“ შეარქვეს

*არც ერთი ჰგავს კლასიკურ საფეხბურთო მწვრთნელს და არც მეორე: „ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი ვარ“ — ამბობს ერთი; „წყნარია, ვარჯიშებსა თუ გასახდელში არასოდეს ყვირის“ — ამბობენ მეორეზე.*

*ორი ფრანგი, ორივე ინგლისში, რომელიც ორივეს ძალიან უყვარს.*

*და ცხადია, ორივეს ძალიან უყვარს ფეხბურთი.*

*თუმცა სათქმელს თავადაც კარგად იტყვიან: „ლივერპულის“ მწვრთნელი ჟერარ ულიე და „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი.*





# არსენ-ალი

## კაცი, რომელსაც ფეხბურთელები უცხოპლანეტელები ეგონა

ვინც ახლოს იცნობს, ამბობს — უბრალო და პატიოსანი, მოწესრიგებული და ინტელიგენტურია, მეგობრებიც უყვარს და ხუმრობაც, რეალობას ისე აღიქვამს, როგორც თვითონ წარმოუდგენიაო.

ლუიზა და ალფონსო დღესაც დუტლენჰაიმში, ელზასის პატარა ქალაქში ცხოვრობენ. ესენი არსენის მშობლები არიან და ვაჟისთვის სამაგალითო ოჯახური აღზრდა მიუციათ. არსენმა სტრასბურის უნივერსიტეტიც დაამთავრა ეკონომისტის სპეციალობით, მაგრამ უფრო ფასეული მისთვის მწვრთნელის დიპლომია, რომელიც 1981 წელს დაიცვა.

ლონდონის გარეუბანში ცხოვრობს. ცოლს ანი ჰქვია, პატარას — ლეა. წყნარად და მყუდროდ ცხოვრობენ. ამბობენ, ოთხი წლის მანძილზე არსენი ქალაქის ცენტრში არ ყოფილაო.

სიკეთეს კი ისე გააკეთებს, არავის დაანახვებს. მიდლსბროდან დედაქალაქში ჩასული ერთი მოხუცი გულშემატკივარი გაკვირვებით ყვებოდა, თუ როგორ მიეხმარა „არსენალის“ მწვრთნელი „ჰაიბერის“ კიბეზე ასვლაში და ამაზე საკმაო დრო დახარჯა...

ასეთია არსენ ვენგერი, მეთოფეთა ფრანგი დამრიგებელი. 1988-ში „მონაკო“ საფრანგეთის ჩემპიონი გახადა და ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს. მერე იაპონიაში, „ნაგოია გრამპუს ეითში“ მუშაობდა და 1995-ში იმპერატორის თასი მოაგებინა. 1996-დან „არსენალშია“, რომელიც ორი წლის წინათ ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახადა. წლეულსაც, ცხადია, პრემიერლიგაში პირველობისთვის ისევ „მანჩესტერი“ და „არსენალი“ იბრძოლებენ. ჩემპიონთა ლიგაში კი მისმა ბიჭებმა ისეთი თავბრუდამხვევი თამაში აჩვენეს, ბევრი მეთოფეებს ლამის ტურნირის მთავარ ფავორიტად მიიჩნევს.

„დიდებული — ეს ეპითეტი წლევანდელი „არსენალისთვის“ ალალი და ზედგამოჭრილია. არსენ ვენგერის გუნდი ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს. თუ ერთი კვირის წინათ დონეცკის „შახტართან“ მოგებას ერთგვარად მოწინააღმდეგის სისუსტის ჩრდილიც დაჰყვებოდა, რომის „ლაციოს“ გუშინწინდელისამებრ დაჩოქებას მხოლოდ უმაღლესი კლასის და დიდი გაქანების გუნდი თუ შეძლებდა. ვენგერსა და მის გუნდს, ალბათ ფეხბურთის ყველა ჭეშმარიტმა ქომაგმა მადლობა უნდა გადაუხადოს იმ შრომისთვის, რომლის ნაყოფითაც დღეს მთელ ევროპა ტკბება. დღეს მეთოფეებს აქვთ ყველაფერი, რისთვისაც კაცს შეიძლება ფეხბურთი უყვარდეს“ — ვწერდით სექტემბრის ბოლოს „არსენალის“ „ლაციოსთან“ გამარჯვების შემდეგ და მას მერე ეს აზრი კიდევ უფრო გაძლიერდა.

„როცა ბავშვობაში ფეხბურთელებს ვხედავდი, მეგონა მათზე უკეთესი ქვეყნად არაფერი და არავინ იყო. ჩემი კერპები რაიმონ კოპა და პელე გახლდნენ, ხოლო ოცნების გუნდი „სტრასბური“. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ფეხბურთს ვითამაშებდი. მაშინ პროფესიონალი ფეხბურთელები უცხოპლანეტელები მეგონა — იხსენებს ვენგერი — 80-იანი წლების დასაწყისში მწვრთნელობა დავიწყე და პირველად მაშინ დავესწარი ინგლისის ჩემპიონატის მატჩს. მახსოვს, „ენფილდ როუდზე“ „ლივერპული“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობდა. გაოცებული დავრჩი თანამედროვე ფეხბურთის იმ სიახლეებით, რომელსაც მაშინ ინგლისში იყენებდნენ. კიდევ უფრო გამაკვირვა ფეხბურთისადმი იმ ალალმა სიყვარულმა, რომელიც მხოლოდ ინგლისელებს შეუძლიათ. დამიჯერეთ, ეს ყოველ ინგლისელში დევს. ამიტომაც მეამაყება, რომ დღეს ამ ქვეყანაში ვმუშაობ. ეს ახდენილ ოცნებას ჰგავს.“

ვენგერი თანამედროვე მწვრთნელების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. ის არა მარტო მწვრთნელი, პედაგოგიცაა. წყნარია, ვარჯიშებსა თუ გასახდელში არასოდეს ყვირის და იგინება (ურიგო არ იქნებოდა მისთვის ზოგიერთ ქართველ მწვრთნელსაც მიებაძა): „ვცდილობ ფეხბურთელებთან უბრალო ვიყო. თამაშის წინ ხანდახან იმდენი გაქვს სათქმელი, ყველაფერი გერევა. ამიტომ აზრის მოკლედ და ზუსტად გადმოცემაა საჭირო.“

სულ რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ტრეზეგესა და ანრის გაზრდა რამდენს ნიშნავს. ამიტომაც, ჩინებული იქნება, თუ „არსენალი“ ჩვენს ზურაბ ხიზანიშვილს წაიყვანს. ვენგერის ხელში ის ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდება.

ვენგერის აზრით, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე გუნდი, ვთქვათ, 15 ფეხბურთელით წარმატებას ვერ მიაღწევს. საჭიროა ორი სრულფასოვანი შემადგენლობა, მინიმუმ 20 მაღალი კლასის ფეხბურთელი. მათ ხომ სეზონში დაახლოებით 70 მატჩის გამართვა უწევთ და გადაღლისაგან ხშირად ფსიქოლოგიური სტრესებიც ემართებათ. ამიტომ პრობლემაა როგორც ფეხბურთელის შემადგენლობაში მოხვედრის, ასევე მისი დასვენების საკითხზე მუშაობაც: „მოთამაშეების სურვილს ყოველთვის ვერ ვასრულებ, მაგრამ ყოველთვის ვუსმენ და მესმის მათი — თავის დროზე ხომ მეც ფეხბურთელი ვიყავი“ — ამბობს ვენგერი.

ჩემპიონთა ლიგას ღორმუცელა მონსტრს უწოდებს და მიაჩნია, რომ ლიგისა და შინაური ჩემპიონატის ერთდროულად მოგება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა: „სანამ ლიგაში თამაშობ, მთელ ყურადღებას მასზე ამახვილებ, მაგრამ თუ გამოვარდი, დიდ ხანს და მტკივნეულად აღდგენა მოგიწევს. ჩემი დაკვირვებით, ლიგიდან გავარდნილ გუნდს სეზონის შუაში აუცილებლად ჩავარდნა დაეწყება“.

და კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც ვენგერის პროგრესულობას მიანიშნებს. მისთვის ფეხბურთი ჯერ თამაშია და მერე სხვა ყველაფერი. ამიტომ ფეხბურთელებს თავისუფლად აზროვნებისა და მოქმედების საშუალებას არასოდეს შეუზღუდავს, თორემ ისინი რობოტებად გადაიქცევიან: „თუ ფეხბურთელი მინდორზე თავს ბედნიერად გრძნობს, გამოდის, რომ სწორად ვმუშაობთ.“

ხშირად გსმენიათ მწვრთნელებისგან ასეთი სიტყვები?

**სოლომონ გულისაშვილი**

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

## გერმანია. ბუნდესლიგა. მე-12 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 18.30 | 002 | მიუნხენ 1860-ვოლფსბურგი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.30 | 003 | ჰანზა-უნტერჰახინგი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 18.30 | 004 | კიოლნი-ჰამბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 005 | შალკე-ბაიერნი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 18.30 | 006 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.15 | 007 | ვერდერი-ბოხუმი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.30 | 008 | აინტრახტი-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 009 | კოტბუსი-შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-12 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 012 | მაინცი-ჰანოვერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 013 | ზანქტ პაული-ულმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 014 | ალემანია-ობერჰაუზენი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 015 | კიკერსი-მიონხენგლადბახი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ფიურტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 017 | ალენი-ზაარბრიუკენი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | 13 ნოემბერი | | | |
| 23.15 | 018 | ნიურნბერგი-ოსნაბრუკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 019 | ნიურნბერგი-ოსნაბრუკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. მე-13 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 020 | არსენალი-დერბი ქაუნთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 021 | არსენალი-დერბი ქაუნთი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 022 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 023 | ბრედფორდი-ევერტონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 024 | იფსვიჩი-ჩარლტონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 025 | ლესტერი-ნიუკასლი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 026 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 027 | მანჩესტერი-მიდლსბრო 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 028 | სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 029 | ვესტ ჰემი-სიტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 030 | ლივერპული-ქოვენთრი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 031 | ლივერპული-ქოვენთრი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 032 | ჩელსი-ლიდსი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

## ინგლისი. I დივიზიონი. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 034 | ბოლტონი-ბარნსლი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 035 | ბარნლი-შეფილდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 036 | გრიმსბი-ბირმინგემი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 037 | ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 038 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 039 | უენსდი-ნორვიჩი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 040 | სტოკპორტი-ქუინზ პარკი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 041 | ტრანმერი-უოტფორდი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 19.00 | 042 | უიმბლდონი-ფულემი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 19.00 | 043 | ვულვერჰემპტონი-კრისტალ პალასი | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 17.00 | 044 | ჯილინგემი-ნოტინგემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

## ინგლისი. II დივიზიონი. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19.00 | 045 | ბრენტფორდი-როტერჰემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 046 | როვერსი-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ლუტონი-ბრისტოლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 048 | მილუოლი-რექსჰემი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 049 | ნორთჰემპტონი-ბორნმუთი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 050 | ნოტსი-პორტ ვეილი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 051 | პიტერბრო-სუინდონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 052 | რედინგი-კოლჩესტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 053 | რედინგი-კოლჩესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 054 | სტოკი-ოლდემი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 055 | სუონსი-ოქსფორდი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 056 | უიგანი-კემბრიჯი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 057 | უიკომბი-ბერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

## ინგლისი. III დივიზიონი. მე-18 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 19:00 | 059 | ბარნეტი-ბლეკპული | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 060 | კარლაისლი-საუთენდი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 061 | ჩელტენემი-ლეიტონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 062 | ჩესტერფილდი-ჰალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 063 | დარლინგტონი-ჰალიფაქსი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 064 | ექსეტერი-სკანთორპი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 065 | ჰარტლპული-კიდერმინსტერი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 066 | მაკლსფილდი-ბრაიტონი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 067 | მენსფილდი-როჩდეილი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 068 | პლიმუთი-ლინკოლნი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 069 | იორკი-ტორკი | 1,8 | 3,0 | 4,2 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-15 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 20.15 | 071 | პსჟ-ლიონი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 072 | ლილი-ოსერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 073 | მეცი-გინგამი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 23.00 | 074 | რენი-ტულუზი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 075 | სედანი-მარსელი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 076 | ტრუა-ლანსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 077 | სტრასბური-ბორდო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| | | 13 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 078 | ბასტია-ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-19 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 080 | ანჟე-კაენი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 081 | კანი-ნიმი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 082 | შატორუ-ნიორი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 083 | გენიონი-ვასკეალი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 084 | ლე მანი-ნანსი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 085 | მარტიგი-აიაჩო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 086 | მონპელიე-ნიცა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 087 | მონპელიე-ნიცა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 088 | სოშო-ბოვუა | 1,3 | 4,0 | 9,0 |
| | 089 | სოშო-ბოვუა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 090 | ლორიანი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

## იტალია. სერია A. მე-6 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 091 | ატალანტა-ბრეშა | 1,75 | 2,9 | 5,0 |
| 23:30 | 092 | იუვენტუსი-ლაციო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 093 | ბარი-მილანი | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 18.00 | 094 | ბოლონია-ფიორენტინა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.00 | 095 | ინტერი-ლეჩე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 096 | ინტერი-ლეჩე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.00 | 097 | პერუჯა-ნაპოლი | 1,75 | 2,9 | 4,2 |
| 18.00 | 098 | რომა-რეჯინა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 099 | რომა-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 100 | ვიჩენცა-ვერონა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.30 | 101 | პარმა-უდინეზე | 1,75 | 2,9 | 4,7 |

## იტალია. სერია B. მე-11 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 18.00 | 103 | კიევო-ტორინო | 1,9 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 104 | ჩიტადელა-ემპოლი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 105 | კროტონე-ანკონა | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 18.00 | 106 | ჯენოა-მონცა | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| 18.00 | 107 | პესკარა-პიაჩენცა | 2,8 | 2,7 | 2,5 |
| 18.00 | 108 | სიენა-რავენა | 1,75 | 2,7 | 4,7 |
| 18.00 | 109 | ტერნანა-პისტოიეზე | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 110 | ტრევიზო-სამპდორია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| | | 13 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 111 | კალიარი-კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,6 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. მე-10 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 24.00 | 112 | დეპორტივო-სარაგოსა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 113 | ოვიედო-სოსიედადი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 114 | ვალიადოლიდი-ალავესი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 115 | ვალენსია-რაიო ვალეკანო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 116 | მალაგა-ესპანიოლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 117 | ბილბაო-სელტა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 118 | რასინგი-ოსასუნა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.00 | 119 | რეალი-ლას პალმასი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 120 | რეალი-ლას პალმასი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 121 | მალიორკა-ნუმანსია | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 122 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 123 | ბარსელონა-ვილიარეალი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

## ესპანეთი. II დივიზიონი. მე-12 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 124 | ესტრემადურა-ატლეტიკო | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 125 | უნივერსიდადი-ელჩე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 15.00 | 126 | ლეგანესი-უელვა | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 15.00 | 127 | ალბასეტე-ლევანტე | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 20.00 | 128 | ეიბარი-ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 20.00 | 129 | მურსია-ფეროლი | 1,55 | 3,2 | 6,0 |
| 20.00 | 130 | სალამანკა-ბეტისი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 131 | სევილია-კომპოსტელა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 132 | ლეიდა-ხაენი | 2,8 | 3,0 | 2,3 |
| 20.00 | 133 | სპორტინგი-ხეტაფე | 1,65 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 134 | ტენერიფე-კორდობა | 2,0 | 2,8 | 3,5 |

## პორტუგალია. I ლიგა. მე-11 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 135 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 136 | ამადორა-სპორტინგი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| | | 12 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 137 | ბრაგა-ავეში | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 138 | ბრაგა-ავეში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 139 | ფერეირა-კამპომაიორენსე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 140 | ბენფიკა-ფარენსე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 141 | ბენფიკა-ფარენსე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 142 | ლეირია-ალვერკა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 143 | ბეირა მარი-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | | 13 ნოემბერი | | | |
| 00.30 | 144 | პორტუ-სალგეირუში | 1,3 | 4,0 | 7,5 |

პორტუგალია. II ლიგა. მე-11 ტური

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 145 | ნავალი-ფრეამუნდე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 146 | ესპინიუ-აკადემიკა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.30 | 147 | რიუ ავე-ლეცა | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 19.30 | 148 | პენაფიელი-ლამაში | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 149 | ნასიონალი-ფელგეირაში | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 150 | შავეში-იმორტალი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 151 | მაია-ვარზიმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 152 | სეტუბალი-მარკუ | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 153 | სანტა კლარა-ოვარენსე | 1,5 | 3,3 | 7,0 |

ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-13 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 155 | სიტარდი-ვალვაიკი | 3,0 | 3,1 | 2,1 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 156 | პსვ-ფეიენოორდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 157 | სპარტა-ნაიმეგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 158 | აიაქსი-გრააფსხაპი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 159 | აიაქსი-გრააფსხაპი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 17.30 | 160 | ვიტესი-გრონინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 161 | ვიტესი-გრონინგენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.30 | 162 | როდა-ჰერენვენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 163 | ტვენტე-ბრედა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 17.30 | 164 | ალკმაარი-უტრეხტი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-12 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 165 | ვეენდამი-ტელსტარი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 166 | ჰაარლემი-იგლსი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 167 | დორდრეხტი-ვეენდამი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 168 | ჰელმონდი-ექსელსიორი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 169 | ჰერაკლესი-დენ ბოსხი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 170 | ეინდჰოვენი-დენ ჰააგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.00 | 171 | ოსი-ვენლო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.00 | 172 | ცვოლე-მაასტრიხტი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 173 | კამბური-ემენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

ბელგია. I დივიზიონი. მე-12 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 174 | ბეერსხოტი-შარლერუა | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 175 | მეხელენი-ვესტერლო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 176 | გენტი-ჰარელბეკე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 177 | გენტი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 178 | ლოკერენი-ლიერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 179 | სტანდარდი-ანდერლეხტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 180 | ლუვიე-ანტვერპენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 181 | მუსკრონი-გენკი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 182 | ბრიუგე-ბევერენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 183 | ბრიუგე-ბევერენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.00 | 184 | აალსტი-სენტ ტრუიდენი | 2,0 | 3,1 | 3,2 |

ბელგია. II დივიზიონი. მე-12 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 185 | დესელი-მონსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 186 | გეელი-ჰეუსდენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 187 | ჰეკელგემი-რუზელარე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 188 | მაასლანდი-დაინცე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 189 | ოსტენდე-სტრომბეკი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 190 | ტინენი-სერკლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 191 | ტურნჰაუტი-ლიეჟი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 192 | ტურნჰაუტი-ლიეჟი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 193 | მოლენბეკი-ლომელი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 194 | დენდერლეუ-ინგელმუნსტერი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

საბერძნეთი. მე-6 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 195 | ათინაიკოსი-პანიონიოსი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 196 | აეკ-პანაჰაიკი | 1,2 | 5, | 9,0 |
| | 197 | აეკ-პანაჰაიკი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 198 | პანილიაკოსი-პაოკ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 199 | იონიკოსი-კალამატა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 200 | ეთნიკოსი-იანინა | 1,6 | 3,1 | 5,6 |
| 19.00 | 201 | არისი-ირაკლისი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 21.00 | 202 | პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

13 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 203 | ოფი-ქსანთი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

ჩეხეთი. მე-14 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 205 | ბლშანი-სლავია | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 17.00 | 206 | სინოტი-იაბლონეცი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 207 | დრნოვიცე-ბუდეიოვიცე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 208 | პლზენი-ჟიჟკოვი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 209 | სპარტა-ტეპლიცე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 210 | სპარტა-ტეპლიცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 211 | ბოჰემიანსი-ბრნო | 1,65 | 3,2 | 5,0 |

13 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 212 | ლიბერეცი-პრჟიბრამი | 1,65 | 3,1 | 5,3 |

პოლონეთი. მე-14 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 213 | შლიონსკი-გროცლინი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 16.00 | 214 | პოლონია-პოგონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 17.00 | 215 | სტომილი-გურნიკი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 216 | რუხი-რაძიონკოვი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 217 | კატოვიცე-ვიძევი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 20.30 | 218 | პლოცკი-ზაგლებე | 2,5 | 2,9 | 2,6 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 219 | ვისლა-ლეგია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.30 | 220 | ამიცა-ოდრა | 1,5 | 3,5 | 6,0 |

თურქეთი. მე-12 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 222 | ერზურუმი-ანთალია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 16.00 | 223 | ბურსა-იოზგათი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 224 | ისთანბული-გენჩლერბირლიგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 225 | გალათასარაი-რიზე | 1,2 | 5,0 | 9,0 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 226 | ტრაბზონი-ადანა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 227 | ტრაბზონი-ადანა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 15.30 | 228 | ანკარაგიუჯიუ-დენიზლი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 16.00 | 229 | ქოჯაელი-იეთფა | 1,65 | 3,1 | 5,0 |
| 21.00 | 230 | სამსუნი-ბეშიქთაში | 4,4 | 3,0 | 1,75 |

შოტლანდია. მე-15 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 231 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 3,2 | 3,1 | 2,0 |
| 19.00 | 232 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 233 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 234 | სენტ მირენი-ჰართსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 235 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 236 | სელტიკი-სენტ ჯონსტონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.05 | 237 | აბერდინი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |

ავსტრია. მე-19 ტური

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 239 | ბრეგენცი-რიდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 240 | გრაცერი-რაპიდი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.30 | 241 | ტიროლი-ადმირა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 242 | ტიროლი-ადმირა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.30 | 243 | აუსტრია-შტურმი | 1,9 | 3,1 | 3,4 |

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-19 ტური

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 244 | ლუგანო-ბაზელი | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| 17.30 | 245 | სენტ გალენი-ქსამაქსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 246 | სენტ გალენი-ქსამაქსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.30 | 247 | ციურიხი-ლოზანა | 2,0 | 3,0 | 3,3 |

დანია. მე-16 ტური

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 248 | ოლბორგი-ჰადერსლევი | 1,1 | 4,4 | 8,0 |
| 18.00 | 249 | ორჰუსი-ჰერფიოლგე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 250 | ლიუნგბიუ-ვიბორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 251 | ოდენსე-აკადემისკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 252 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.05 | 253 | მიდტიულანდი-ბრიონდბიუ | 2,9 | 3,0 | 2,3 |

რუსეთი. 30-ე ტური

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 254 | ტორპედო-ანჟი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 255 | სატურნი-დინამო | 2,5 | 3,0 | 1,7 |
| 16.00 | 256 | ცსკა-ლოკომოტივი | 1,9 | 3,0 | 2,5 |
| 16.00 | 257 | ურალანი-კრილია | 2,5 | 3,0 | 1,8 |
| 16.00 | 258 | ალანია-სპარტაკი | 2,5 | 3,0 | 2,0 |
| 16.00 | 259 | როსტსელმაში-ფაკელი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 16.00 | 260 | ზენიტი-როტორი | 1,3 | 3,2 | 6,5 |
| 16.00 | 261 | ჩერნომორეცი-ნოვგოროდი | 1,1 | 3,5 | 7,0 |

შვედეთი. პლეი-ოფი. II მატჩი

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 262 | ჰეკენი-მიოლბიუ | 1,7 | 3,2 | 4,0 |
| | | I მატჩი: 2:3 | | | |

შვეიცარია. თასის 1/16 ფინალი

11 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 263 | იანგ ბოისი-სიონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

12 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 264 | ბელინცონა-გრასჰოპერი | 4,7 | 3,1 | 1,6 |
| 17.30 | 265 | დელემონი-თუნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 266 | სოლოთურნი-ივერდონი | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# ქუთაისში

**ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე**

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

# ბათუმში

**კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:**

მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

**საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური**

| | |
|---|---|
| 11 ნოემბერი. ვერის ბაღი. 12.00 | შევარდენი — ვითა |
| 11 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.45 | აზოტი — სსუ |
| 11 ნოემბერი. ვერის ბაღი. 15.30 | სტუ — დინამო |
| 11 ნოემბერი. ვერის ბაღი. 17.15 | თსუ — მაკაბი |

**საქართველოს ჩემპიონატი 8 ტური ანონსი**

| | |
|---|---|
| 12 ნოემბერი. ვერის ბაღი. 12.00 | სსუ — დინამო |
| 12 ნოემბერი. ვერის ბაღი. 13.45 | აზოტი — თსუ |
| 12 ნოემბერი. ვერის ბაღი. 15.30 | მაკაბი — სტუ |

# თსუ და ზაზა ზამთარაძე: გაზაფხულიდან ზამთრამდე



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

დუელი არ იქნება: ხვალ „მაკაბი" და სტუ დაშავებული ცენტრების, ალექსანდრე ფერიაშვილის (მარცხნივ) და გოდერძი კორძაძის (მარჯვნივ) გარეშე ითამაშებენ

**ქვეყნის** ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ" ნაადრევად და ასპროცენტიანი შედეგით დაასრულა მეათე ეროვნულის პირველი წრე. დღეს-ხვალ და 18 ნოემბერს გასამართ მეცხრე ტურში დანარჩენი რვა გუნდი გაარკვევს ერთმანეთში ურთიერთობას. ერთის თქმა კი ახლავე შეგვიძლია — პირველი რაუნდის გამარჯვებული ზღვისპირული გუნდია, რადგან სხვათაგან განსხვავებით ზურაბ ტომარაძის შეგირდებმა უდანაკარგოდ განვლეს გზა.

სატურნირო ცხრილში „ბასკოს" შემდეგ ცხრა-ცხრა ქულით „აზოტი", თსუ და „ვითა"-სტუ2 არიან განლაგებულნი, მაგრამ ამ უქმეებზე, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს. როცა უშუალო მეტოქეთა ჭიდილი ციფრებში აისახება, მოსალოდნელია, რომ სულ სხვა სურათი მივიღოთ. ასეა თუ ისე, ამ შაბათ-კვირას გამართული შეხვედრები სიცხადეს შემატებს მოვლენებს და იმ კლუბებს გამოკვეთს, რომლებიც პირველი წრის შემდეგ „ბასკოს" კვალში ჩაუდგებიან.

კვირას ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის მეორე და მესამეადგილოსნები, შესაბამისად, „აზოტი" და თსუ წარდგებიან. ამ უქმეების უმთავრესი ჯახიც სწორედ ეს გახლავთ. საინტერესოა, თუ რას გამორჩება წლეულს საგრძნობლად მოძლიერებული და ამბიციაშემატებული თსუ ვიცე-ჩემპიონ რუსთავის „აზოტს", რომელიც კვლავაც საჩემპიონოდ არის დაგეშილი.

უგოგობერიშვილოდ, ამასთანავე, ულიდეროდ დარჩენილი „აზოტი" ვეღარაა ისეთი მრისხანე. ამას წინათ „ბასკოსთან" შეხვედრაში ოთარ ხმელიძის გუნდს დირიჟორი აკლდა, რაც აშკარად იგრძნობოდა. ძნელი სათქმელია, გოგობერიშვილის პორტუგალიაში წასვლის შემდეგ ვინ ითავებს ამ ფუნქციების შესრულებას, მაგრამ ვინც უნდა იყოს იგი, საეჭვოა, რომ რამაზსავით შეძლოს. მწვრთნელს ძალაუნებურად გუნდის ტაქტიკური გადაწყობაც მოუწევს. ამას, მოგეხსენებათ, დრო სჭირდება და, აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა, „ბასკოსთან" შეხვედრის მსგავსად ახლაც ბევრი ხარვეზი წარმოჩნდეს რუსთაველი გუნდის თამაშში.

თსუ შეეცდება, რომ ყოველივე ეს სათავისოდ გამოიყენოს. ზაზა ზამთარაძემ თავისი საქმე რომ იცის, ეს ამ ჩემპიონატში არაერთხელ დამტკიცდა და ახლა ვნახოთ, „აზოტის" წინააღმდეგ როგორ დამთავრდება შეხვედრები. ვიცე-ჩემპიონი მეტოქეზე ერთი-ორად ნაცადია და სტუდენტთა წარმატების წინაპირობად მათი მწვრთნელის სწორად შერჩეული ტაქტიკა უნდა იქცეს.

ცალკეული რგოლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „აზოტი" და თსუ მეტნაკლებად თანაბარი ძალისანი არიან. მცირე უპირატესობას მაინც ხმელიძის გუნდს მივანიჭებდით, რადგან აქ ბევრად გამოცდილ მოთამაშეებს მოუყრიათ თავი. ნაცადი კალათბურთელები თსუ-საც უხვად ჰყავს, თუმცა ამ გუნდის ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ძირითადი ბირთვი ამ ზაფხულს შეკრიბა ზამთარაძემ და ბიჭებს ერთად თამაშის პრაქტიკა აკლიათ.

ორივე გუნდის უკანა ხაზი სოლიდურად არის დაკომპლექტებული. რუსთაველთა გამთამაშებელ არჩილ ღლენტს ზაზა გაბისონია და „ვეთადან" გადმოსული მამუკა ტურაშვილი უმაგრებენ მხარს. ამ სამეულს კვირას სერიოზული მეტოქეები ეყოლება ირაკლი ბერიშვილისა და მისი სეხნია მასიურაძის სახით. მეორე ტყუპისცალი, დავით ბერიშვილი ამჟამად ტრავმირებულია და სავარაუდოდ, გამოტოვებს ხვალინდელ მატჩს.

ცუდად არც წინა ხაზში აქვთ საქმე მეტოქეებს. თსუ-ს ორი სრულფასოვანი და თანაბარძალოვანი ცენტრი ჰყავს — შოთა მაჭარაძე და გულვერ ახალკაცი. ამათგან ზამთარაძე იმას დააყენებს, რომელსაც უკეთ წაუვა თამაში. გამორიცხული არაა, მწვრთნელმა ერთდროულადაც დაასაჭიროს ორივე. მაჭარაძე-ახალკაცის წინააღმდეგ თამაშისას მაქსიმალურად მობილიზება მართებს „აზოტელთა" ცენტრ მიხეილ ბერუაშვილს. ფარქვეშ მას ზვიად ბაბიაშვილი და ლევან წიკლაური უნდა შეუშველონ ხელი, თორემ ეულად გაუჭირდება ბერუაშვილს.

ბევრი იქნება დამოკიდებული ფრთის მოთამაშეებზეც. თსუ-სთვის ამ ამპლუაში გიორგი მარკოიშვილი და გოჩა არსიაშვილი იღვწიან. ამ უკანასკნელის თამაშში პროგრესი აშკარაა, ზამთარაძემ მას ფუნქცია შეუცვალა და არსიაშვილი ახლა გარედანაც ისეთივე სახიფათოა, როგორიც ფარქვეშ. რუსთაველებთან ნუგზარ კოკოლაშვილს დაევალება ფრთაზე თამაში, მისი სამქულიანების ამბავი, ვფიქრობ, კარგად მოეხსენებათ სტუდენტებს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, წარმატების შანსი ორივე გუნდს აქვს, თუმცა ჩვენ მაინც „აზოტისკენ" ვიხრებით. ქვეყნის ზედიზედ სამგზის ვიცე-ჩემპიონს ახალგაზრდულ თსუ-სთან მატჩი, ვფიქრობ, თავისთავის სასურველი შედეგით უნდა დაასრულოს. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და რეალურად რაც იქნება, ამასაც მალე შევიტყობთ.

მეტად რთული შაბათ-კვირა ელის პირველი სამი მარცხის შემდეგ ორი გამარჯვებით ხასიათგამოკეთებულ „მაკაბის". კამერტონულად გამორჩეულ გუნდი დღეს თსუ-ს ხვდება, ხვალ კი საქმე ნუგზარ ჭიჭინაძის სტუდენტთან ექნება, რომელიც თავის მხრივ ნიჭიერ და საწინააღმდეგო(?) ...ფრთას(?) დაჭრილი ...

„მაკაბის" ძალიან გაუჭირდება. ტუჯან-დაჩრდილის იმედად მყოფ მწვრთნელებს ... მთელი ... დიდი ...

„მაკაბი" ... ალექსანდრე ფერიაშვილს, რომელსაც ... გუნდის ცენტრი, ... ფერიაშვილის არ იყოს, მასაც ... თამაშის ... „მაკაბი" ... „მაკაბის" ძლევა. სტუ-ს მწვრთნელი უფრო დიდი არჩევანი აქვს და, შესაბამისად, ტაქტიკური ვარიანტებიც მეტი. „მაკაბი" კი ვცადო ფრთის ერთად ხკამის სიმრავლით „გამოირჩევა", უფრო სწორად — სრულფასოვანი შემცვლელების სიმცირით.

**გიორგი გიგაური**

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გაუხარელი ქორები

9 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 94:108 დეტროიტი**
ნიუ ჯერსი: მარბერი (32 ქულა, 11 პასი)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (29), ატკინსი (26)

**შარლოტი 94:102 სიეტლი**
შარლოტი: მაშბურნი (25), კოულმენი (18 ქულა, 11 მოხსნა)
სიეტლი: ბეიკერი (22), ლუისი (19), პეიტონი (17)

**პორტლენდი 107:91 დენვერი**
პორტლენდი: დევისი (17), სმიტი (17), ველსი (17)
დენვერი: ვან ექსელი (23)

**მინესოტა 82:84 ფილადელფია**
მინესოტა: გარნეტი (24), ბილაფსი (20)
ფილადელფია: სნოუ (22), აივერსონი (18)

**ჩიკაგო 95:90 ორლანდო**
ჩიკაგო: მერსერი (23 ქულა, 10 მოხსნა), გაიტონი (18)
ორლანდო: მაკგრეიდი (21)

**ჰიუსტონი 85:78 ვანკუვერი**
ჰიუსტონი: ტეილორი (21), ფრენსისი (19)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (17)

**ფინიქსი 88:79 ატლანტა**
ფინიქსი: მარიონი (24 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), კიდი (19 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი)
ატლანტა: ჯექსონი (17), მუტომბო (15 ქულა, 17 მოხსნა)

„ფილადელფია სიქსერზს" ახლა უკვე თამამად შეგვიძლია გუნდი ვუწოდოთ. როგორც ჩანს, ის დრო წარსულს ჩაბარდა, როდესაც აქ ერთი კაცი, ალენ აივერსონი თამაშობდა, დანარჩენები კი მას ეხმარებოდნენ, როგორმე 30-35 ქულა ჩაეგდო მეტოქისთვის. წინა სეზონებში აივერსონი ამას ლამის ყოველ მეორე თამაშში ახერხებდა, წლეულს კი „ფილადელფიამ" ხუთი შეხვედრა ჩაატარა, ალენმა კი ერთხელაც ვერ გადააბიჯა ოცდაათქულიან ზღვარს. სამაგიეროდ, მისი გუნდი თამაშს თამაშზე იგებს.

აი „სიქსერზმა" მინეაპოლისში იქაური „მინესოტა ტიმბერვულვზი" დასცა, თუმცა ცოტა გაუჭირდა. ამ შეხვედრაში სტუმართა უკანახაზელებმა, გამთამაშებელმა ერიკ სნოუმ და მსროლელმა აივერსონმა როლები გაცვალეს და აივერსონი თავისიანთა შეტევის ორგანიზატორად მოგვევლინა, შედეგად სნოუმ თავის გუნდს ყველაზე მეტი, 22 ქულა შეაწია.

ფილადელფიელთა ზემოაღნიშნულმა ცვლილებამ მასპინძლების ტაქტიკაში დიდი არეულობა შეიტანა. „მგლები" აივერსონის შესაბოჭად იყვნენ მომართულნი, ხელში კი სნოუ შერჩათ. თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და მიილია. ძირითადად „მინესოტა" ფლობდა რამდენიმექულიან უპირატესობას, მაგრამ ბოლო მეოთხედში ჩამორჩა სტუმრებს. როცა ანგარიში 82:84 იყო და შეხვედრის ბოლო წამები იწურებოდა, მასპინძლებმა ორი შანსი ვერ გამოიყენეს და საკუთარი ჯაფა წყალში გადაყარეს.

რამდენიმე წლის წინ, როცა ლიგაში „ჩიკაგო" ბატონობდა, „ფილადელფია" ცხრილის ფსკერის ხშირი სტუმარი გახლდათ. დროთასვლამ კი ახლა მათ ადგილები შეუცვალა. „სიქსერზს" ჯერ მარცხის სიმწარე არ უგემია, „ჩიკაგომ" კი საწყისი ოთხი თამაში წააგო და მერეღა მოახერხა მოგება. ამ უხეირო გუნდთან წაგების ხვედრი წილ[...] ხვდა „ორლანდო მეჯიქს", რომელს[...] აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდის პრ[...] ტენზია აქვს. ფლორიდელებს ისევ ყ[...] ფილმა თავისიანმა, რონ მერსერმა ჩ[...] სცა ლახვარი. ამ სეზონთაშორის პერი[...] ოდში „მეჯიქმა" ბევრი ცვლილება გა[...] ნიცადა და გუნდში ახალი მოთამაშე[...] ბი მოვიდნენ, რის შედეგადაც მერსერ[...] ზედმეტი აღმოჩნდა და მანაც „ბულზს" მიაშურა. ახლა მერსერმა ამ გუნდი[ს] საშუალებით „ორლანდოს" სამაგიერ[ო] გადაუხადა. თუმცა როცა ჟურნალისტე[...] ბმა ჰკითხეს, „მეჯიქს" რომ შემოწ[...] რალი ხართ, ამიტომ ითამაშეთ კარგ[ა]დო, იგი სტანდარტული პასუხით შ[...] მოიფარგლა: ვფიქრობ, ცუდად არ მ[...] თამაშია, მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვ[...] რადგან გუნდმა მოიგო.

„ჩიკაგოს" გამარჯვების შემდეგ 29 გუნდიან ლიგას ერთადერთი გაუხარ[...] ლიღა შემორჩა — „ატლანტა ჰოქს". აქამდე „ქორები" უფრო იმიტომ აგ[...] ბნენ, რომ მათი ლიდერი დიკემბე მუ[...] ტომბო მალარიით იყო დაავადებულ[ი] და აი, იგი გამოჯანმრთელდა და [...] ნოემბერს „ფინიქსში" მისი დებიუტ[ი] შედგა. გამოცდილ დიკემბეს ავადმყ[ო]ფობამ კვალი არ დაატყო, იგი ჩვე[ უ]ლად გაბატონდა ფარქვეშეთში და თ[ა]ვისიანებს 17 მოხსნა და ოთხი დაფ[ა]რება მოუტანა, თან შეტევაშიც სოლ[ი]დურად ითამაშა, მაგრამ მისმა გუნდ[მა] კვლავ წააგო.

„ფინიქსს" ორი წამყვანი კალათბ[ურ]თელი — პენი ჰარდევეი და ტ[ომ] გულიოტა აკლია, მაგრამ გუნდის თ[ა]მაშის ხარისხზე ეს თითქმის არ მო[...] მედებს. გულიოტას არყოფნამ სასტ[ა]რტო ხუთეულს კარი გაუღო შარშ[ა]ნდელ ახალბედას, შონ მარიონს. მარი[...] ონი ჩაჯდა ხუთეულში და ლამის გუ[...] ნდის ლიდერიც გახდა. იგი მშვენ[ი]ვრად შეეგუა ჯეისონ კიდს და ახლ[ა] ეს დუეტი მეტოქეებს რისხვად ევლ[ი]ნება. კიდმა, როგორც ყოველთვის, ჩვ[ე]ული აქტიურობით ჩაატარა მთელი შ[ე]ხვედრა და სეზონში მეორე, კარიერ[ა]ში კი 33-ე სამმაგი დუბლი შეასრუ[...] ლა. ეს შედეგი საუკეთესოა მოქმ[...] კალათბურთელებში და მეექვსე ლ[ი]გის ისტორიაში. „ჯეისონი სტატ[ის]ტიკის მოყვარული სულაც არ გახლა[...] უბრალოდ, იგი უნივერსალია და თ[ა]ვისი გუნდისთვის დიდი სარგებელი მო[...] აქვს, რაც თავისთავად სტატისტიკ[ა]შიც აისახება. რამდენიმე დღის წ[ინ] მას მხოლოდ ერთი მოხსნა აკლდა ს[ა]მმაგ დუბლამდე. იმ თამაშში ბევრ[ს] ვიგებდით და ვკითხე, ხომ არ შე[...] დოდა, რათა მოხსნა გაეკეთებინა, მ[ა]გრამ მას ამის არავითარი სურვილ[ი] არ გამოუმჟღავნებია" — თქვა თავი[ს] შეგირდზე მწვრთნელმა სკოტ სკა[...] ლზმა, რომელიც არცთუ შორეულ წ[ა]რსულში გამთამაშებელი გახლდათ.

როგორც იქნა, სტუმრად იმარჯვ[ა] „სიეტლ სუპერსონიქსმა", რაც ძირ[ი]თადად ვინ ბეიკერის და ახალგაზრდ[ა] რაშარდ ლუისის დამსახურებაა. მა[...] პინძელ „შარლოტს" დაუბრუნდა ტრ[ავ]მამოშუშებული დერიკ კოულმენი, მ[ა]გრამ აკლდა ფი ჯეი ბრაუნი და ბა[...] რონ დევისი.

**ირაკლი ფირცხალავა**

## ევროლიგა

Euroleague

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 8-9 ნოემბერი

### A ჯგუფი

ლუგანო 95:87 ჟალგირისი
ზადარი 79:92 პერისტერი
ფორტიტუდო 81:72 ესტუდიანტესი

*სატურნირო მდგომარეობა: ფორტიტუდო 8 ქულა, პერისტერი 7, ლუგანო 6, ესტუდიანტესი 6, ჟალგირისი 5, ზადარი 4*

### B ჯგუფი

შარლერუა 58:80 კინდერი
პეტერბურგი 79:81 ტაუ
აეკ 83:75 ციბონა

*სატურნირო მდგომარეობა: აეკ 8 ქულ[ა], კინდერი 7, ტაუ 6, ციბონა 6, შარლე[...] რუა 5, პეტერბურგი 4*

### C ჯგუფი

ოვარენში 53:100 ოლიმპიაკოსი
პაოკი 76:88 ოლიმპია
რეალი 64:75 ბენეტონი

*სატურნირო მდგომარეობა: ოლიმპიაკოსი 7 ქულა, ოლიმპია 7, ბენეტონი 6, რეალი 5 (სამი თამაშიდან), პაოლი 4 (სამი თამაშიდან), ოვარენში 4*

### D ჯგუფი

ლონდონ თაუერზი 82:97 ბარსელონ[ა]
სკაილაინერზი 80:97 მიულუზი
ბუდუჩნოსტი 83:71 პაოკ

*სატურნირო მდგომარეობა: მიულუზი [...] ქულა, პაოკ 7, ბუდუჩნოსტი 7, ბარსე[...] ლონა 6, ლონდონ თაუერზი 5, სკაი[...] ლაინერზი 4*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 8-9 ნოემბერი

## A ჯგუფი

### ალბა 77:68 რაანანა

ალბა: ალექსისი (27), კოტუროვიჩი (10), ოზთურქი (10), პაპიჩი, პეშიჩი (4), ფელპსი (11), როდლი (7), შულცე (3), ტომიჩი (5)

რაანანა: არდიტი (4), კოენი, გრინი (4), იცხაკი (9), კანტორი (9), მაკარტი (9), სელტერსი (21), საიმონი (3), სტანოევიჩი (9)

### ულქერი 78:65 ვილერბანი

ულქერი: ერდენაი (15), ერდოგანი (6), გოლიოვიჩი (20), გონლუმი (2), გიულერი (5), ჰენდლოგტენი (10), ლოლისი (2), ფაჩულია, პერსევო (2), სარიჯა, ილდირიმი (16)

ვილერბანი: ბილბა (5), ბლომი (5), ფრიგუ (2), ლონგი (16), პაშუტინი (11), პლუვი (8), სკიარა (5), სტივენსი (13), სი

### ლიეტუვოს რიტასი 84:88 ცსკა

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (28), გედრაიტისი (28), გრანტი (11), იარუტისი (1), რ. იავტოკასი (5), კაზლაუსკასი (9), მასიაუსკასი, შიშკაუსკასი (2), სლეზასი

ცსკა: ალანოვიჩი (11), დომანი (6), ეინიკისი (15), ფეტისოვი (19), კარიმოვი, კირილენკო (12), კუდელინი (18), ლარუ (2), პეტრენკო (5)

### სიენა 65:97 პანათინაიკოსი

სიენა: ალბერტი (5), ბუსკა (2), კიაჩიგი (17), ევანსი (4), გორენცი (16), გრეი, მეისი (5), პესინა (1), როსეტი, როუენი (15), სავიო

პანათინაიკოსი: ალვერტისი (12), ბოდიროგა (15), ბერკი (5), ფოცისი (8), ჯენტილე (5), კალაიძისი (11), კოხი (5), დ. მიდლტონი (15), რებრაჩა (15), როჯერსი (6)

### სპლიტი 83:88 ცეპტერი

(ძირითადი დრო 74:74)

სპლიტი: ბადჟიმი (11), გრეგოვი, გრგურევიჩი (8), ლენდი (21), პოლიაკი (6), რეშჩერი (6), სუბოტიჩი (7), ვუიჩიჩი (16), ჟოჟიჩი (8)

ცეპტერი: ადომაიტისი (9), ავლიაში (6), ციელებაკი (4), კოსციუკი (11), მარქსი (2), მაკნაული (10), მიგლინიეკსი (11), ტომჩიკი (7), ვოიციკი (18), ზიელინსკი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 4 | 0 | 326:288 | 8 |
| ულქერი | 4 | 3 | 1 | 324:295 | 7 |
| ვილერბანი | 4 | 3 | 1 | 296:284 | 7 |
| ალბა | 4 | 2 | 2 | 329:305 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 2 | 298:281 | 6 |
| სპლიტი | 4 | 2 | 2 | 297:300 | 6 |
| რაანანა | 4 | 2 | 2 | 300:315 | 6 |
| ცეპტერი | 4 | 1 | 3 | 306:326 | 5 |
| ლიეტუვოს რიტასი | 4 | 1 | 3 | 314:339 | 5 |
| სიენა | 4 | 0 | 4 | 281:338 | 4 |

## B ჯგუფი

### ირაკლისი 89:74 პლანია

ირაკლისი: ხაძივრეტასი (31), ხრიზანტოპულოსი, დიამანტიდისი, ფარმერი (14), კამარიოტისი, კარაგუტისი (12), კარასიოვი (7), მარკოპულოსი, ნაკიჩი (17), პაპადოპულოსი (6), პაპაიოაკეიმი, სანტანჯელო (2)

პლანია: აულანდერი (16), დირდენი (6), ფრედრიკსონი (9), ლუნდალი (5), ნიკოლასი (2), პანაიოტოპულოსი, პარნი (18), პატიეიუნასი (6), პეტერსონი (6), რონდალი (6)

### პარტიზანი 76:73 სკავოლინი

პარტიზანი: ბერიჩი (24), ბოგოევიჩი (3), ბულატოვიჩი (9), ჩანაკი (2), გლინტიჩი (7), ილიევსკი (4), მარკოვიჩი, პეტროვიჩი (25), ვარდა (2)

სკავოლინი: ბუკერი (7), გიგენა (10), ჯონსონი (18), მაჯოლი (8), ლ. მიდლტონი (8), პეჩილე, ტუშეკი (12), ძანელი (10)

### პო ორტეზი 92:95 ოსტენდე

პო ორტეზი: კარი (18), დიავი (5), დიუბო (6), ესტელერი (19), ფოტუ (10), ლოუსონი (10), მაზინგი, ფ. პიეტრუსი (6), მ. პიეტრუსი (18)

ოსტენდე: ბეგინი (4), ბიგსი (19), დე ბელი (2), დოილი (16), ჰოლდენი (13), კულამი (13), მაიორი, პრაშკევიჩუსი (21), ვან დენ შპიგელი (7)

### მაკაბი 69:59 ეფესი

მაკაბი: ბრისკერი (8), ბურშტეინი (2), ჩურჩიჩი (1), ჰენფელდი (5), ჰაფმანი (29), მაკდონალდი (11), პარკერი (13), შარფი

ეფესი: ბეშოქი (11), ბიბო, პ. დრობნიაკი (15), მულაომეროვიჩი (10), ოქური (2), შჩეპანოვიჩი, თუნჩერი (2), თურქჯანი (19), ილმაზი

### კრკა 92:73 ბაიერი

კრკა: ანზულოვიჩი (6), არაპოვიჩი, ჩაპინი (2), დევისონი (22), დონჩიჩი (9), დ. დრობნიაკი (21), გრუმი (29), მიჰაილოვიჩი, შჩეკიჩი (3)

ბაიერი: ბესტი (29), ევანსი (6), გაიბი (2), გისეკი (2), გნადი (9), ჰანსენი (8), ჰაჩისონი (10), კოვაჩევი (2), ლარკიო, ლობმანჩუკი (5), ვებერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 4 | 4 | 0 | 343:289 | 8 |
| ოსტენდე | 4 | 3 | 1 | 344:333 | 7 |
| პარტიზანი | 4 | 3 | 1 | 304:300 | 7 |
| პო ორტეზი | 4 | 2 | 2 | 320:308 | 6 |
| კრკა | 4 | 2 | 2 | 303:295 | 6 |
| ირაკლისი | 4 | 2 | 2 | 323:320 | 6 |
| ეფესი | 4 | 2 | 2 | 293:300 | 6 |
| სკავოლინი | 4 | 1 | 3 | 320:315 | 5 |
| ბაიერი | 4 | 1 | 3 | 327:355 | 5 |
| პლანია | 4 | 0 | 4 | 281:343 | 4 |



REUTERS ბელგრადიდან

პარტიზანი — სკავოლინი. პარტიზანმა ვლადიმირ ბოგოევიჩმა (№4) მელვინ ბუკერს თვალი გააყოლა

# რეკორდსმენი ფაჩულია სტეფანიას შეუწყვილდა

**ვლადიმერ სტეფანია** მარტო აღარ არის. ხუთშაბათს მეორე ქართველმა კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა ევროპის უმთავრეს საკლუბო ტურნირში. საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ სუპროლიგის მეოთხე ტურში თავის სადებიუტო მატჩი ითამაშა სტამბოლის „ულქერის" შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ სტეფანიას „ოლიმპიამ" 1997 წელს ევროლიგის (ასე ერქვა მაშინ სუპროლიგას) „ოთხთა ფინალში" შეაღწია და მესამე ადგილი დაიკავა. ფაჩულია კი რეკორდსმენია: სუპროლიგაში მისებრ ნორჩს ჯერ არ უასპარეზია.

ზაზამ რვა წუთი ითამაშა ფრანგული „ვილერბანის" წინააღმდეგ. მწვრთნელ მურატ დიდინის დავალებით, იგი მხოლოდ და მხოლოდ დაცვაზე იყო ორიენტირებული და, ალბათ ამის გამო, კალათში ბურთი ერთხელაც არ უსვრია. ფაჩულიამ ერთი მოხსნა გააკეთა და მეტ-ნაკლებად რიგიანად გაართვა თავი დავალებას: ჯერ „ვილერბანის" ბომბარდირ ჯიმ ბილბას იჭერდა და ქულა არ აალებინა, შემდეგ კი ამერიკელი არტ ლონგის მეურვეობაზე გადავიდა, რომელმაც ორი ბურთი ჩაუგდო ქართველს. დიდინი კმაყოფილი დარჩენილა ფაჩულიას თამაშით, ნამატჩევს დებიუტი მიულოცნია და შეუქია.

დასაწყისში „ულქერმა" ვერაფერი მოუხერხა „ვილერბანის" რუს ზახარ პაშუტინს, რომელმაც ხუთ წუთში ცხრა ქულა გააკეთა. კაცმა არ იცის, რას იზამდა რუსი, რომ არა ტრავმა. მეორე მეოთხედში ულქერელთა ფრანგმა ცენტრმა ჟან გაელ პერსევომ პაშუტინს დაუფარა, მერე ზემოდან უხერხულად დაეცა. რუსს თავი გაუტყდა და ჰოსპიტალში წაიყვანეს. სხვათა შორის, პერსევო შარშან „ვილერბანში" თამაშობდა და სტამბოლელებს იმედი ჰქონდათ, ყოფილი გუნდის საიდუმლოებები ეცოდინებაო. მათთვის სამწუხაროდ, ფრანგმა კარგად ვერ ითამაშა. რვა წუთში მხოლოდ ორ ქულას (ოთხი სროლიდან ერთი ჩააგდო), ერთ მოხსნას და ერთ პერსონალურს მოუყარა თავი.

„ულქერმა" მეორე მეოთხედში ოთხწუთიანი მონაკვეთი 12:0 მოიგო და ტაიმის ბოლოს 39:30 დაწინაურდა. ფაჩულია მოედანზე მესამე მეოთხედის დასაწყისისთანავე გამოჩნდა. ულქერელებმა ამ დროს დაცვა გაამკაცრეს, ხოლო ჰალუკ ილდირიმმა და მილან გოლიოვიჩმა შეტევაში იყოჩაღეს და თავისიანები 14 ქულით გაიყვანეს წინ — 46:32. დასკვნით მეოთხედში „ვილერბანი" ორჯერ მიუახლოვდა მეტოქეს რვა ქულით (65:57, 73:65), მაგრამ, აგერ უკვე მერამდენედ, „ულქერის" კაპიტანმა ჰარუნ ერდენაიმ კრიტიკულ მომენტში გადამწყვეტი ბურთები ჩააგდო.

დიდი მატჩი გაიმართა თელ ავივში, სადაც შარშანდელი ევროლიგის ფინალისტმა „მაკაბიმ" მესამე პრიზიორ სტამბოლის „ეფესს" უმასპინძლა. მაკაბელთა ამერიკელი ცენტრის ნათანიელ ჰაფმანის შეჩერება გადაუჭრელ პრობლემად ექცათ სტუმრებს. მის წინააღმდეგ ვერც ბეშოქმა გააწყო რამე, ვერც დრობნიაკმა და ვერც შჩეპანოვიჩმა. ეფესელები ხშირად ჯარიმდებოდნენ ჰაფმანზე, ეს კი არა მხოლოდ საჯარიმოებს, არამედ სამქულიანებსაც აგებდა და ეფექტურად ტენიდა. „მაკაბიმ" ყველაზე დიდ უპირატესობას 26-ე წუთზე მიაღწია (44:33).

ამის შემდეგ სტამბოლელმა მირსად თურქჯანმა თავი გამოიდო, კარგად ათამაშდა და სამქულიანით ანგარიში სამ ქულამდეც შეამცირა (57:54). „მაკაბი" უმალ გამოერკვა და ჯერ მარკ ბრისკერმა და მერე არიელ მაკდონალდმა სამქულიანები ჩააგდეს. „ეფესს" მატჩის გადასარჩენად აღარც დრო იყო და აღარც არაქათი. ბოლო რვა მატჩში „მაკაბიმ" მეორედ მოუგო „ეფესს", ხოლო ამ შეხვედრამდე ებრაელები ზედიზედ ხუთჯერ იყვნენ



REUTERS თელ ავივიდან

მაკაბი — ეფესი. მატჩის გმირი ნათანიელ ჰაფმანი (მარცხნივ) ეფესელი ჰუსეინ ბეშოქის წინააღმდეგ

დამარცხებულნი.

„ბაიერი" და „კრკა" ფარმაცევტული ფირმებია. პირველი გერმანული, მძლავრი და ძალიან მდიდარი, მეორე — სლოვენიური, საშუალო სიძლიერის და ისე რა მდიდარი. თუკი საქმე ფარმაცევტიკაზე მიდგება, „ბაიერი" იოლად გადაყლაპავს „კრკას", კალათბურთში კი პირიქით მოხდა. სად ფარმაცევტიკა და სად კალათბურთიო, იკითხავთ, მაგრამ ამ ორივე ფირმას საკალათბურთო გუნდი ჰყავს, რომლებიც ერთმანეთს სლოვენიის ქალაქ ნოვო მესტოში დაუპირისპირდნენ. „კრკას" არ ჰყავდა საუკეთესო ბომბარდირი სიმონ პეტროვი, მაგრამ მისი ფუნქცია სამო გრუმმა იტვირთა და მეტოქეს 29 ქულა ჩაუგდო. მესამე მეოთხედის დასაწყისში „კრკას" ამერიკელმა ბენეტ დევისონმა ზედიზედ ცხრა ქულა მიითვალა და თავისიანები 53:45 დააწინაურა. „ბაიერმა" გაიბრძოლა და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. „კრკა" მესამე მეოთხედის მერე 60:55 იგებდა, ხოლო დასკვნითი ათწუთეული 12:0 გაქცევით დაიწყო. თამაში ისე მორჩა, გერმანელებს სიტუაციის გამოსწორება არც კი უცდიათ.

ისე გამოვიდა, რომ ლიტვური „ლიეტუვოს რიტასის" მოსკოვის ცსკა-სთან დამარცხება მნიშვნელოვნად განაპირობა ორმა ლიტველმა კალათბურთელმა. ცსკა-ს ცენტრმა გინტარას ეინიკისმა ბოლო წუთზე სამქულიანი ჩააგდო და თავის გუნდი 83:79 დააწინაურა. „ლიეტუვოს რიტასის" ფორვარდმა რაიმუნას შიშკაუსკასმა კი დარჩენილ დროში ორჯერ დაკარგა ბურთი და თავისიანთა შეტევები ჩაშალა. მატჩის გმირი კი ცსკა-ს ფორვარდი ანდრეი ფეტისოვი იყო. სწორედ მან ულიდერა არმიელებს მესამე მეოთხედის ბოლოს. ორ წუთში მოსკოველებმა ზედიზედ ოთხი სამქულიანი ჩააგდეს (ორი ფეტისოვმა, ორი — კუდელინმა) და 62:51 დაწინაურდნენ.

იტალიის ქალაქ სიენაში მაყურებელმა ისეთი „პანათინაიკოსი" იხილა, რომელმაც შარშან ევროლიგა მოიგო. ათენელებმა პირველივე წამებიდან მოიპოვეს ინიციატივა და მასპინძლები პირწმინდად გაანადგურეს. მატჩმა მესამე მეოთხედში დაკარგა ინტრიგა, როცა „პანათინაიკოსმა" თამამ-თამამ მიაღწია ოცქულიან უპირატესობას.

სათადარიგო უკანახაზელი ვესელინ პეტროვიჩი რომ არ ჰყოლოდათ, იქნებ ცუდად წასულიყო ბელგრადის „პარტიზანის" საქმე. პირველ მეოთხედში იუგოსლავიელებმა მხოლოდ რვა ქულა ჩაუგდეს პეზაროს „სკავოლინის", ვერც მეორე ათწუთეულში გააკეთეს რამე რიგიანი, სანამ მოედანზე პეტროვიჩი არ შემოვიდა. „პარტიზანი" ნელ-ნელა გამოფხიზლდა. პეტროვიჩმა ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო (სულ მატჩში — ხუთი), მიროსლავ ბერიჩმა გარღვევებს მოუხშირა და მესამე მეოთხედის მიწურულს ბელგრადელები პირველად დაწინაურდნენ.

დასკვნით მეოთხედში ბერიჩმა რამდენჯერმე ააცილა, პეზაროელებმა ლარი ჯონსონმა და დემარკო ჯონსონმა ზედიზედ რვა ქულა მიითვალეს და დამთავრებამდე ორი წუთით ადრე „პარტიზანი" 71:69 იგებდა. ბელგრადელებს ისევ პეტროვიჩმა უშველა: ყოფილმა მოჭიდავემ ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე — ორი საჯარიმო. ტუშეკისა და ბუკერის გარღვევებით „სკავოლინიმ" მხოლოდ გული თუ მოიფხანა.

**მერაბ რატიშვილი**

## ოცი ამბავი

1. ამ საქმეში ლენოქსი ფეხბურთელებს ჰგავს. როგორც ბევრ ინგლისელ ფეხბურთელს მასაც ჰყავს ცხენი, რომელიც რბოლებში მონაწილეობს. ცხენს ფრენდლი ვორნინგი ჰქვია, რაც მეგობრულ გაფრთხილებას ნიშნავს. იგი განთქმულ აღა ხანის თავლაშია ნაყიდი.

2. წლეულს მარტში იამაიკაში გამოვიდა მარკა, რომელზედაც ლუისია აღბეჭდილი.

3. ფეხბურთში „ვესტ ჰემ იუნაიტედის" გულშემატკივარია.

4. 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე ოქრო მოიგო, 1984 წელს ლოს ანჯელესისაზე ბრინჯაო.

5. ლოს ანჯელესის ოლიმპიადის შემდეგ ნახევარ მილიონ გირვანქას აძლევდნენ, პროფესიონალებში რომ გადასულიყო, მაგრამ უარი თქვა და კიდევ ოთხ წელიწადს იმოყვარულა.

6. მიუხედავად იმისა, რომ არცთუ სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს, ევანდერ ჰოლიფილდი ამბობს, რომ ყველაზე მეტად სწორედ ლუისის ბრძოლის ცქერა უყვარს.

7. ლენოქსის საყვარელი საჭმელი ვესტ ინდოურად შემწვარი წიწილაა. ამ კერძის ოსტატი დედამისი ვიოლეტი გახლავთ.

8. სეულის ოლიმპიადაზე, კანადის ოლიმპიური გუნდის წევრობისას, ერთხმად აღიარეს გუნდის საუკეთესო ხუმარად.

9. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრული ურთიერთობა აქვს ფრენკ მელოუნთან და პანოს ელიადისთან, საკუთარი თავის მენეჯერი ახლა თვითონაა.

10. ლუისი გახლავთ ყველაზე მძიმე მძიმეწონოსანთა ბრძოლის მონაწილე. წლეულს მისი შერკინება მაიკლ გრანტთან იმითაც იყო გამოსარჩევი, რომ ორივე მოკრივე 6 ფუნტსა და 5 ინჩის სიმაღლისა იყო, მათი წონა კი თითოეულისა 240 გირვანქას აღემატებოდა.

11. ლუისი სახალხოდ ერთადერთხელ გამოჩნდა აწ დანგრეულ უემბლის სტადიონზე, როცა ჭიდაობას გუნდ „ბულდოგებს" გამოუძღვა შოუს დაწყების წინ.

12. ჭადრაკის გარდა ლენოქსი თამაშობს კალათბურთს, ჩოგბურთს, ფეხბურთს და... ვიდეოთამაშებს.

13. ბავშვობისას მეხანძრეობაზე ოცნებობდა.

14. კრივიდან წასვლის შემდეგ კინოს ბიზნესში ჩართვა სურს.

15. მისთვის იდეალური ქალი არის ის, ვინც შიგნიდანაც ისეთივე სილამაზეს ასხივებს, როგორსაც გარედან.

16. როგორც მოკრივეთა უმრავლესობისთვის, მისთვისაც საკრივო კერპი მუჰამედ ალია.

17. 1996 წელს უნდა შეხვედროდა მაიკ ტაისონს.

18. საკრივო ფიქრი ერთი აქვს — მისტერ ტაისონი. ბრძოლას 2001 წლის გაზაფხულისთვის გეგმავს. რემატჩისთვისაც მზად იქნება.

19. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მწვრთნელი გამოიცვალა, გამვარჯიშებელი ყოველთვის ერთი ჰყავს — კორტნი შენდი.

20. დღეს მოქმედ ყველა წონის მოკრივეთა შორის ლუისზე დიდხანს ტიტულები შეინარჩუნეს ამერიკელმა ბერნარდ ჰოპკინსმა და მექსიკელმა რიკარდო ლოპესმა.

# ლენოქს ლუისი VS დავიდ ტუა

## საბჭოსა (WBC) და ფედერაციის (IBF) ქამრებისთვის

11 ნოემბერი. ლას ვეგასი

### ჩხუბამდელი ამბები






| ლენოქს ლუისი<br>37 მოგება, 1 წაგება, 1 ფრე | | დავიდ ტუა<br>37 მოგება, 1 წაგება |
|---|---|---|
| 35 | ასაკი | 27 |
| 113 კგ | წონა | 111 კგ |
| 196 სმ | სიმაღლე | 187 სმ |
| 213 სმ | წვდომა (ორხელგაშლილი) | 175 სმ |
| 112 სმ | გულისფიცარი | 124 სმ |
| 117 სმ | გულისფიცარი (შესუნთქულზე) | 130 სმ |
| 43 სმ | ბიცეპსი | 49,5 სმ |
| 47 სმ | კისერი | 48 სმ |
| 30 სმ | მუშტი | 33 სმ |
| 20 სმ | მაჯა | 21,5 სმ |
| 66 სმ | ბარძაყი | 76 სმ |
| 86 სმ | წელი | 97 სმ |

# დავითი და გოლიათი

## იქნება ტუა ლუისის ბუა?

**„არა,** ბატონო, მე მოკრივე არ გახლავართ. მხოლოდ ერთი უნდა მოვიქნიო და გავთიშო. მხოლოდ ნოკაუტით თუ გავიმარჯვებ, თორემ მსაჯებს და მაყურებელს ვიცი, ტვინში ეს ექნებათ ამოსვირინგებული: ტუა ლუისს ქულებით ვერ მოუგებს" — აი, რას ამბობს ახალი ზელანდიის მოქალაქე, წარმოშობით სამოელი და ლას ვეგასში მოვარჯიშე დავიდ ტუა, რომელიც დღეს WBC-ს და IBF-ის ვერსიით მსოფლიოს მძიმეწონოსან ჩემპიონს, ბრიტანელ ლენოქს ლუისს უნდა შეეცილოს ტიტულებს. უფრო სწორედ თქვენ, რომ გაიღვიძეთ და „სარბიელის" საყიდლად უახლოეს ჯიხურს მიაკითხეთ, ლას ვეგასის სასტუმრო და კაზინო „მენდალი ბეის" დარბაზში ყველაფერი უკვე დასრულებული იყო.

დღევანდელი ბრძოლის ტაქტიკაზე ბოლო დღეებში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. ლუისის მწვრთნელი ემანუელ სტიუარტი ამბობდა, რომ ყველაფერი მეტისმეტად მარტივად იქნება, ტუა ჩაიკეტება და ბრიტანელისთვის ერთი საბედისწერო დარტყმის მისაყენებლად მომენტის შერჩევას დაიწყებს. ამასობაში ლუისი შეუტევს, რადგან იგი ჩამოყალიბებული, მრავალმხრივი მოკრივეა:

„დავიდი ლუისისთვის მართლაც სახიფათო მეტოქეა. მას ორივე ხელით შეუძლია ძალიან ძლიერი დარტყმა. ამასთან გამძლეა, საოცრად დაკვირვებული და ფრიად ინტენსიური ჩხუბის გამხურებელი. საგანგებოდ აღსანიშნავია ტუას დაცვაც. ხშირად, გარშემო ყველას რომ ჰგონია მოწინააღმდეგის მოქნეული მოხვდებაო, ის დარტყმის რაღაცნაირად აცილებას ახერხებს, მაგრამ კრივი კრივია და მას თავისი კანონზომიერებანი ახასიათებს. კერძოდ, დიდი მოკრივე პატარას ყოველთვის ამარცხებს, ხოლო ლენოქს ლუისი არათუ დიდი, არამედ დიადი მოკრივეა. ეს განსაკუთრებით მას მერე გამოჩნდა, რაც ევანდერ ჰოლიფილდთან პირველი ბრძოლა ფრედ დაუსრულდა. მაშინ თავადვე მიხვდა, რომ საგანგებო ნიჭითაა დაჯილდოვებული და ჰოლიფილდთან მეორე ბრძოლაში დაამტკიცა, რომ უკონკურენტო ჩემპიონია."

ამ საკითხზე თავად ლუისიც იმავე აზრისაა: „ვაკვირდები სხვა მოკრივეებს და საკუთარ თავს ვეუბნები: ჰეი, მე ხომ დიადი ვყოფილვარ."

მაგრამ ჰოლიფილდთან ბრძოლის შემდეგ ლუისს, რომელიც სტიუარტის აზრით კრივის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს, დიდი გამოცდა აღარ შეხვედრია. ვის ეჩხუბა მას მერე? აპრილში მაიკლ გრანტს და ივლისში ფრანსუა ბოთას. პირველი უმწეო გამოდგა, მეორე კი ზანტი და საკმაოდ სუსტი დარტყმის შემძლე და ლუისმა ორივეს ორ რაუნდში მოუთავა საქმე.

ტუა, როგორც წინასწარ ჩანს, მათზე ძლიერია, ყოველ შემთხვევაში სტიუარტი ამბობს, რომ სამოელი ორი ძლიერი თვისებით გამოირჩევა: ჩაკეტვით ანუ თავდაცვით და დარტყმით. განსაკუთრებით მარცხენა ჰუკი აქვს ძლიერი.

„თუმცა ლენოქსი გაცილებით დიდი და გამოცდილია" — დასძენს მწვრთნელი.

ზემოთ ვთქვით, რომ ლუისს კარგა ხანია სერიოზული ბრძოლა არ გადახდენია. ასევეა ტუაც. 1999 წლის ივლისის შემდეგ იგი რინგზე ოთხჯერ ავიდა და მეტოქეებს ჯამში შვიდ რაუნდში მოუღო ბოლო. ამის გამო მისი მწვრთნელი, რონი შილდსი ასე ბრძანებს:

„დანაკლისი დარბაზში შევავსეთ: ასე რომ არ ყოფილიყო, დღეს ფრიად შეშფოთებული ვიქნებოდი."

ტუას კარიერაში ერთი ბრძოლა აქვს წაგებული, ამერიკელ მაიკლ გრანტთან. მსაჯთა მაშინდელი გადაწყვეტილებაც ერთობ საეჭვო გახლდათ. სამოელი არასდროს ყოფილა ნოკაუტში, არასდროს წამოდენია სისხლი და ასე შემდეგ, მაგრამ ლუისის წინააღმდეგ მაინც სხვა ბრძოლა ელის.

ბევრი ამბობს, თუ მას გამარჯვება უნდა, ბრიტანელი პირველსავე რაუნდებში უნდა გათიშოსო, თუმცა ბევრიც იმ ბრძოლებს იგონებს, სადაც ტუამ მოწინააღმდეგე მე-12 ან მე-11 რაუნდში რომ დაანოკაუტა.

მისი მენეჯერი, კევინ ბერი დღევანდელ ბრძოლაზე ასე ამბობდა:

„დავიდი მეტოქეს იმთავითვე დაუწყებს დარტყმას, რათა ორჯერ მეტი აქტიურობა აიძულოს, დაღალოს და შემდეგ დასცეს კიდეც. ბრიტანელს ხომ გამძლეობა აკლია."

ამაზე სტიუარტმა უპასუხა:

„მაგრამ ჯერ ტუამ ლუისის შეტევას, აპერკოტს და მარჯვენა ოვერჰენდს უნდა გაუძლოს. მერწმუნეთ, ლენოქს ლუისის წინააღმდეგობა დავიდ ტუასთვის მეტისმეტია."

„გამაჯვებისთვის მხოლოდ მკლავის ძალა და თმის უცნაური ვარცხნილობა არ კმარა. რინგზე დიდი წარმატების მისაღწევად ყველაფერი უნდა ჩააქსოვო. მე, როგორც მოკრივეს დიდი არსენალი მაქვს და მყავს ვაჟი. აი, რას გამოვდივარ." — დააგვირგვინა თავად ლუისმა.

**ტუტა სიხარულიძე**

## ოცი ამბავი

1. დაიბადა დასავლეთ ...
ერთციდა კუნძულ პალ...
სადაც სულ სამასი კაც...
ვრობს.

2. კრივში ვარჯიში რ...
სამ დაიწყო: მამამისმა შ...
რომ ჩხუბის კარგი უნარ...
ნდა.

3. 1992 წელს ბარს...
ოლიმპიადაზე ბრინჯაო ...
ვა.

4. იმავე წელს შეიქნა ...
სიონალი.

5. ხშირხშირად იცვლ...
ცხნილობას.

6. არ უყვარს წიგნების ...

7. ერთხანს ახალი ზე...
ის მოსწავლეთა სარაგბ...
ბში თამაშობდა.

8. აქვს სახლი სამხრ...
ლენდში და არის ახალი ...
ნდიის მოქალაქე.

9. ახალ ზელანდიაში ...
ერთი ჩასვლისას ...
პარეს. გასაღებს ყოველთ...
ნქანაში ტოვებს.

10. ჰყავს „ფერარი", 195...
„შევროლე" და 1966 წლ...
პალა".

11. ჭურჭლის მრეცხავ...
შაობდა ოკლენდის რეს...
„პან-პაციპიკში".

12. იქ მუშაობისას გაკ...
წებელა, რომელსაც დ...
თავის გამოგონებად თვ...
რომელსაც დღემდე ამზ...
„პან-პაციპიკში".

13. თავის თავს ჩვეუ...
ქრისტიანს უწოდებს.

14. მისი მენეჯერი 1984...
ლოს ანჯელესის ოლიმ...
ვერცხლისმედალოსანი კე...
რია.

15. მამას ქალალდის ფ...
უყიდა და საქმე აუწყო.

16. მამასთან სტუმრობ...
თავის ამჟამად ქოჩორა თ...
მპუნით იბანს.



17. ნოკაუტში არასოდ...
ფილა. ერთადერთხელ წა...
ლებით მაიკლ გრანტთან.

18. უყვარს მაგიდის ჩოგბ...
თამაში.

19. თხუთმეტი წლისამ...
ჩაიღავა უბეში, რათა მძ...
ნოსანთან ჩხუბის უფლებ...
ცათ.

20. მისი ოჯახი მაშინ გა...
რგდა ახალ ზელანდიაში, ...
დავიდი ათი წლისა იყო.



მარატ საფინი

# მარატს უნდა

**სანქტ პეტერბურგის ღია პირველობა. რუსეთი. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 800 000 $**

**აშშ-ის** ღია პირველობის ჩემპიონ მარატ საფინს ბოლო კვირეებში თავში დღედაღამ ერთადერთი აზრი უტრიალებს — კლასიფიკაციაში პირველი ადგილი.

„ძალიან მინდა, პირველი ჩოგანი გავხდე და ეს გაისად ან მერე კი არა, სწორედ წლეულს მოვახერხო. მაშინ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი ვიქნები, ვინც ამას მიაღწია და მეც ამაზე ვარ დაგეშილი" — არ დაუმალავს ჟურნალისტებისთვის თავისი გულის ნადები სანქტ პეტერბურგში პირველად განთესილ რუსს.

თუ საფინი უახლოეს ორ კვირაში, 20 წლისა და 10 თვისა კლასიფიკაციას სათავეში მოექცევა, ის ლეგენდარული ჯონ მაკინროის მიღწევას გააუმჯობესებს. შარისთავი ამერიკელი 21 წლისა და 15 დღის იყო, როდესაც 1980 წლის 3 მარტს პირველი ჩოგანი გახდა.

ამჟამად წლევანდელი შედეგებით რუსი მეორე ადგილზეა და მთავარ კონკურენტს, გუსტავო კუერტენს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება: „არ მოგატყუებთ, ყოველ დილით, პირველ ყოვლისა, ინტერნეტში ვნახულობ, ლიონში გუსტავომ როგორ ითამაშა. დარწმუნებული ვარ, ისიც გულდასმით ადევნებს თვალს ჩემს შედეგებს და ჩემზე არანაკლებ ისწრაფვის გამარჯვებისკენ".

ჯერჯერობით შედეგი საყაიმოა.ამ კვირაში „გუგაც" ლიონში და საფინიც სანქტ პეტერბურგში მეოთხედფინალში გავიდნენ. რუსმა მერვედფინალში ამერიკელი კრის ვუდრაფი გაანადგურა — 6:3, 6:1.

**მერვედფინალი:** **ევგენი კაფელნიკოვი (2, აშშ) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 6:1, 7:6 (7:3); ჯარედ პალმერი (აშშ) — სხენგ შალკენი (5, ჰოლანდია) 5:7, 6:3, 6:2; რაინერ შუტლერი (გერმანია) — დევიდ პრინოზილი (7, გერმანია) 6:2, 6:3; ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:2, 7:5.**

**ლიონის გრან პრი. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $**

**მერვედფინალი:** **გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:5, 7:6 (7:4); ანდრე აგასი (1, აშშ) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:3, 6:2; ტომას ენკვისტი (3, შვედეთი) — ჟან-ფრანსუა ბაშლო (საფრანგეთი) 6:3, 6:7 (3:7), 6:4; ჰიშამ არაზი (მაროკო) — მარკ ფილიპუსისი (6, ავსტრალია) 6:3, 3:6, 7:5; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 3:6, 6:3, 6:4; არნო კლემანი (საფრანგეთი) — ფრანკო სკილარი (5, არგენტინა) 3:6, 6:2, 6:3; პატრიკ რაფტერი (8, ავსტრალია) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 7:5, 6:2.**

**ავთანდილ სვანიძე**

# მსოფლიო ჩემპიონების გარეშე

**ასე** თუ გაგრძელდა, ქალების სეზონის დამაგვირგვინებელ „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატზე შეიძლება საქართველოს პირველობიდანაც უხმონ ვინმეს — ბოლო ორ დღეში ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" ასპარეზობა ერთბაშად ოთხმა ჩოგბურთელმა იუარა.

ტურნირის ორგანიზატორებს ნამდვილი დარტყმა დებმა უილიამსებმა მიაყენეს, რომლებმაც ერთი დღის შუალედით შემოთვალეს თამაშზე უარი.

პირველი სერენა იყო: „კანადაში აგვისტოში მიღებული ფეხის ტრავმა შემდეგ აშშ-ის ღია პირველობაზე გამიმიზეზდა. პირადმა ექიმმა მითხრა, ცოტაც და ძვალი გაგებზარება, დასვენება გჭირდებაო. ამის ნაცვლად, ჯერ ოლიმპიადაზე ვითამაშე წყვილებში, მერე — ტოკიოში და, შედეგად ბოლო ხანებში ფეხის მდგომარეობა გამიუარესდა. ძალიან მინდოდა თამაში, ტურნირი ხომ ნიუ იორკში უკანასკნელად ტარდება, ჩემს იმედგაცრუებას სიტყვებით ვერ გამოვთქვამ".

გუშინ, ზედ კენჭისყრის ჩატარების წინ უკვე უფროსი უილიამსი განუდგა ტურნირს. აშშ-ის ღია პირველობის, უიმბლდონისა და ოლიმპიადის გამარჯვებულმა მიზეზად ანემიის მსუბუქი ფორმა დაასახელა.

„ვინუს უილიამსთან უკვე რამდენიმე დღეა, ხშირი კონტაქტი გვაქს, მისმა ექიმმაც დაგვიმოწმა ავადმყოფობის ამბავი. ვინუსი ბოლო წუთამდე აყოვნებდა უარის თქმას, იქნებ ჯანმრთელობა გამიუმჯობესდესო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა" — განაცხადა WTA ტურის თავკაცმა ბარტ მაკგუაიერმა.

აშშ-ში სუპერვარსკვლავის სტატუსის მქონე დები უილიამსების არყოფნა ჩემპიონატზე ბილეთების გასაღების საქმეს უეჭველად დაეტყობა. მით უმეტეს, რომ ნიუ იორკში ვერც ფრანგი ლამაზმანი მარი პირსი და გერმანელი ანკე ჰუბერი ითამაშებენ, მიზეზი ისევ ტრავმებია.

„მხრის მყესების ანთება სექტემბრიდან მოყოლებული მაწუხებს. ბევრს ვვარჯიშობდი და ვმკურნალობდი, მაგრამ ტურნირისთვის მზად მაინც არ ვარ. იმედია, მომავალი სეზონის დასაწყისისთვის მოვრჩები" — ეს მარი პირსის სიტყვებია. რაც შეეხება ჰუბერს, მას მაჯა სტკივა.




სერენა უილიამსი მსოფლიოს გამოაკლდა

ზემოხსენებული ვარსკვლავების გამოკლებამ ტურნირში მონაწილეობისთვის ფრანგებს — ჟული ალარსა და სანდრინ ტესტიუს, 17 წლის ბელგიელ კიმ კლაისტერსსა და ამერიკელ ვეტერან ემი ფრეზერს გაუხსნა გზა.

შეგახსენებთ, რომ „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატში 16 საუკეთესო მოთამაშე და 8 წყვილი მონაწილეობს, საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარია. გაისად კი ტურნირი ნიუ იორკიდან მიუნხენში გადაინაცვლებს.

**ავთანდილ სვანიძე**

**კენჭისყრის შედეგები**

| | |
|---|---|
| მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) | ჟული ალარი (საფრანგეთი) |
| ნატალი ტოზია (6, საფრანგეთი) | ემი ფრეზერი (აშშ) |
| კონჩიტა მარტინესი (4, ესპანეთი) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) |
| ანა კურნიკოვა (7, რუსეთი) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) |
| ჩანდა რუბინი (8, აშშ) | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) |
| მონიკა სელეში (3, აშშ) | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) |
| არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) |
| ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) |

აფროსნობა

# ჩახედე ვეშაპს თვალებში




რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»

**ფოტო** რეგატის ამჟამინდელ მხიარულ განწყობას ასახავს. იქ, სადაც „ტაიმს კლიპერ 2000"-ის ერთნაირი ზომაწონის 8 იახტა, კლიპერებად წოდებულნი მიცურავენ, ყოველმხრივ დიდებული ამინდია. აღმოსავლეთიდან თბილი ქარის ღონიერი ქროლა ზღვაოსნებისთვის ერთობ ხელსაყრელია. ცაზე ღრუბლის ფთილები იშვიათი სანახავია, მზე ჩახჩახებს, ხოლო ღამით რომანტიკული მთვარის ხილვაც შეუძლიათ. ასეთ დროს არავინ ფიქრობს პირქარზე, ოკეანის ზვირთებზე, წვიმასა და სხვა უბედურებებზე. ყოველ იახტაზე მყოფი „ტაიმსის" მემატიანენი ერთიმეორეზე ნათელ სურათებს ხატავენ. „გლაზგოელ" მანდილოსანს ბოლო დღეებში ორი სიტყვაც არ დაუწერია იმაზე, სკოტური იახტა ბოლო რომ მიდის და ლიდერთან ოთხასიოდე საზღვაო მილს აგებს. სხვა რამისკენაა მისი ყურადღება მიპყრობილი — 8 ნოემბერს ვეშაპს წასწყდომია და მის ნაღვლიან თვალებში ჩაუხედავს. გარდა ამისა: „ამხანაგები თითქოს თავიდან გავიცანი — იწერება კეტრინ სმითი — დავაპირებ, რომელიმეს რაღაც ვთხოვო და თითქოს უკვე მეთხოვოს, სურვილი შესრულებულია. ღამე კიდევ გადასარევი სანახავია, იახტა ცხვირით ტალღაში ნაზად რომ ეფლობა, აფრა ბუშტივით დაბერილია და ქვემოთ ზღვას ფოსფორულად ანათებს, ზემოთ კი ვარსკვლავნი ბრწყინავენ." სმითი ცალკე თავს მფრინავ თევზებს უძღვნის, რომლებიც მცირე ოდენობით გემბანზე აღმოუჩენიათ და უმალ ტაფაზე გადაუტანიათ. ახალგამომცხვარ პურთან უსაშველოდ გემრიელი იყოო, ასკვნის სმითი, ხოლო მისი კოლეგა ლიდერ „პორტსმუთიდან", საკვების თემას განავრცობს და ეკიპაჟში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს გადმოსცემს. გამოკითხვის თემა საყვარელი კერძია, ხოლო პასუხი ათასგვარი, შემწვარი წიწილიდან თხილიან ნაყინამდე.



იახტების განლაგებაში არაფერი შეცვლილა. „პორტსმუთი" ლიდერობს, „ბრისტოლი" 11 მილამდე მიუახლოვდა, „ჯერსი" და „ლივერპულიც" შორს არ არიან. ჰავანაში პირველობისთვის, სავარაუდოდ, ეს ოთხეული იბრძოლებს.

**დავით გულუა**

**II ეტაპი. ვილამურა — ჰავანა. 10.ნოემბრის ვითარება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | „პორტსმუთი" | 2152 | 0 |
| 2. | „ბრისტოლი" | 2163 | 11 |
| 3. | „ჯერსი" | 2177 | 25 |
| 4. | „ლივერპული" | 2180 | 28 |
| 5. | „პლიმუთი" | 2239 | 87 |
| 6. | „ლიდსი" | 2307 | 155 |
| 7. | „ლონდონი" | 2397 | 245 |
| 8. | „გლაზგო" | 2528 | 376 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე (საზღვაო მილებში), მესამეში — დაშორება ლიდერთან.*

ხელბურთი

# სხვებს ერთი ერგოთ, ესპანელებს ორი

**დღეს** სახელბურთო ჩემპიონთა ლიგა გაუდგება გზას. 16 საუკეთესო ვაჟთა გუნდი ოთხ ჯგუფშია განაწილებული. თითოეულში ორი განთესილია და ორიც „ბრმა" კენჭისყრით მოხვედრილი.

ფავორიტებად, ტრადიციულად, ესპანური კლუბები ითვლებიან — ბოლო გამარჯვებული „ბარსელონა" და ორიოდე კვირის წინ ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მისი გამამწარებელი „პორტლენდ სან ანტონიო". ოთხგუნდიან ტურნირში ესპანელთა გარდა უნგრეთის „დუნაფერი" და ხორვატიის „ჯამბო" მონაწილეობდნენ. თანამემამულეთა გადამწყვეტ შეხვედრაში „პორტლენდი" თავიდანვე ფლობდა უპირატესობას, ტაიმიც (16:12) და მთელი მატჩიც ოთხბურთიანი სხვაობით (28:24) მოუგო ტიტულიან მეტოქეს და სალიდერო ტახტზე მისი ადგილი დაიკავა. თუ რამდენი ხნით, ამას ლიგის გათამაშების ბოლოს შევიტყობთ. ჩემპიონთა მეკარე ალეხანდრო ბულიგანი და გამთამაშებელი, ბელარუსი ლეგიონერი მიხაილ ლაკიმოვიჩი საუკეთესოებად სცნეს, ხოლო ყველაზე მეტი — 15 გოლი ჩაიწერა საკუთარ ანგარიშზე „ბარსას" ბომბარდირმა რაფაელ გუიხოსამ.

ჯგუფური ტურნირი შუა დეკემბრამდე გასტანს, ასპარეზობა კი გაზაფხულზე პლეი ოფის თამაშებით დასრულდება.

*A* **ჯგუფი:** „ბადელ ზაგრები" (ხორვატია), „პივოვარნა" (სლოვენია), „რედბერგ სლიდსი" (შვედეთი), „ანკარა" (თურქეთი).

*B* **ჯგუფი:** „ბარსელონა" (ესპანეთი), „დუნაფერი" (უნგრეთი), „გდანსკი" (პოლონეთი), „მონპელიე" (საფრანგეთი).

*C* **ჯგუფი:** „კილი" (გერმანია), „გოგ გუდმე" (დანია), „ბრაგა" (პორტუგალია), „პალამანო" (იტალია).

*D* **ჯგუფი:** „პორტლენდ სან ანტონიო" (ესპანეთი), „რუნარ სანდეფიორდი" (ნორვეგია), „ლოვსენი" (იუგოსლავია), „ბანიკი" (ჩეხეთი).

ქალებს თექვსმეტი საუკეთესოს გამოვლენამდე ერთი ნაბიჯი დარჩათ. წინასწარ ადგილდაბევებულ რვა წამყვან კლუბს ორრაუნდიანი შერჩევის შემდეგ ამდენივე დაემატება და ისინიც კაცების მსგავსად გაითამაშებენ პირველობას. დღეს და ხვალ განმეორებითი შესარჩევი მატჩები გაიმართება. პირველი შეხვედრებიდან მხოლოდ ერთი დასრულდა მოულოდნელი შედეგით: რუსეთის ხუთგზის ჩემპიონმა, ვოლგოგრადის „აკვამ" საფრანგეთის ნაკრების რვამოთამაშიან „მეცს" საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად სძლია — 25:20. დღევანდელ საპასუხო მატჩში წარმატებას უფრო მაღალრეიტინგიან ფრანგთა ჩემპიონს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა ხუთბურთიანი დეფიციტის დაძლევა არც ისე იოლი იქნება.

**გია ახალაძე**

**დასაწყისი წინა „სარბიელში“**

სიდნეის აუზში დამძიმებული გული თავისი ვერცხლის მედლით ცოტათი გამოგვიკეთა წყალბურთელმა რევაზ ჩომახიძემ. ცოტათი იმიტომ, რომ ის მედალი ჩვენ კი არა, შენს თანამემამულეებს არგია, რადგან ჩომახიძე სიდნეიში რუსთა სახელს იცავდა. მაგრამ რა ექნა კაცს, საქართველოში რომ დარჩენილიყო, ის მედალიც უკან დარჩებოდა და სიდნეის ოლიმპიური თამაშებიც. ჰოდა, ახლა ის გვიხარია, რომ ჩომახიძე, ძველი თბილისელი ბიჭი, ჩვენებურია, თანაც მსოფლიოს წყალბურთის ლიდერთაგანი და ისიც, რომ ოლიმპიური წყალბურთის ისტორია ისევ ქართველებთან თუ ყოფილ სქართველებთან ერთად იწერება.

ერთი სიტყვით, უქართველებოდ რუსთა ნაკრების საქმე წასულია. რუსთა ნაკრებში საბჭოთა ნაკრებსაც ვგულისხმობ, რადგან ის ავადსახსენებელი ქვეყანა, გინდა თუ არა, საბჭოეთთან ასოცირდება.

ავადსახსენებელი რომ არ ყოფილიყო, მის წინააღმდეგ არც ნაირგვარი გამოსვლები გაიმართებოდა, მათ შორის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებამდე რამდენიმე დღით ადრე უნგრელთა დიდი შფოთიანობაც, რაც საბჭოთა ტანკებმა ჩაახშეს. ამიტომ, მაშინ უნგრეთის და საბჭოთა კავშირის ომი მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე წყალბურთელებმა გააგრძელეს. მაშინ ისინი ნახევარფინალში ეძგერნენ ერთმანეთს და ხელჩართული, სისხლისმღვრელი ბრძოლა გამართეს. იმ ამბის თვითმხილველი არც შენა ხარ და არც მე, ამიტომ გავიხსენებ თავად მონაწილეთა მონათხრობს, რომელიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიამბეს მაშინდელი საბჭოთა ნაკრების კაპიტანმა პეტრე მშვენიერაძემ და უნგრელთა გუნდის მოთამაშე იოჟეფ ოლჩვარმა, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეგობარია და ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი დელეგაცია მისი ფირმის („კვილა სპორტი“) მიერ შეკერილი საალლუმო სამოსით წარსდგა. მათი ნაამბობი გაჭრილი ვაშლის გულივით ჰგავდა ერთმანეთს და ახლა სიდნეიში სხვა თვითმხილველებიც ზუსტად მათებურად აღწერდნენ იმ საშინელ ბრძოლას წყალში.

— უნგრეთის ნაკრების წევრებთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში ვებრძოდი რუსებს. მათთან ერთად ქართველებიც იყვნენ. რა თქმა უნდა, წყალში ვიბრძოდით, ლამის სისხლისმღვრელი ბრძოლები გვქონდა, იქიდან ამოსულები კი ერთმანეთს ბოდიშს ვუხდიდით და მეგობრებად ვრჩებოდით — გვიამბო იოჟეფ ოლჩვარმა.

სიტუაციას არც პეტრე მშვენიერაძე ართულებს და ისიც დაახლოებით ასე იხსენებს მელბურნულ ბრძოლებს, მაგრამ ისტორიული ფაქტები უარესს ლალადებენ. მაშინ საბჭოთა ნაკრებში ყველაზე მეტად ჩვენებურები, პეტრე მშვენიერაძე და ნოდარ გვახარია გამოირჩეოდნენ. ისინი გუნდის საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ. მშვენიერაძემ მეტოქეთა კარში 11 ბურთი გაიტანა, გვახარიამ — 4, მაგრამ ნახევარფინალში უნგრელები ისეთი გავეშაპებულები გამოვარდნენ სარბიელზე, რომ საბჭოთა ნაკრებს ველარც გვახარიამ უშველა და ველარც მშვენიერაძემ. ამბობენ, ეს წყალბურთი კი არა, გლადიატორთა ბრძოლა იყოო. აუზი სისხლით შეღებილა და როცა ანგარიში 4:0 იყო უნგრელთა სასარგებლოდ, მსაჯებმა ბრძოლა შეწყვიტეს და გამარჯვება უნგრელებს მიაკუთვნეს, საბჭოელები კი აუზიდან პოლიციელთა დაცვით გამოვიდნენ, მერე კი ბრინჯაოსთვის პაექრობაში იმარჯვეს.

ახლა, სიდნეიში უნგრელთა და საბჭოელთა, უკაცრავად, რუსთა გზები ფინალში გადაიკვეთა. უნგრელებმა მშვიდობიანად, იოლად მოიგეს (13:6), ალბათ იმიტომ, რომ მანამდე რუსებმა ესპანელებთან ნახევარფინალურ ძალზე მძიმე მატჩში, დამატებით 16 წუთიან დროში გატანილი ოქროს გოლით მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება, რამაც მათ დიდი ენერგია წაართვა.

უნგრელები ჩემპიონები გახდნენ, თანაც მრავალი წლის მერე პირველად, საერთო ჯამში კი მეშვიდედ, რითაც მათ თავიანთივე ოლიმპიური რეკორდი გააუმჯობესეს.

ასე იყო თუ ისე, სასიამოვნოა, რომ

**კუკის ნატერფალზე**

# რუსის ქალებზე გადარეული კაცის ჩანაწერები

## ეჰ, ნატალია, ნატალია! წყალწყალა ამბები შენთვის

ქართველმა კაცმა, თბილისში გაზრდილმა და აქვე წყალბურთელად ჩამოყალიბებულმა ჩვენებურმა ჩომახიძემ, სიდნეის „აკვატიკ ცენტრშიც“ დაამტკიცა, რომ დიდ წყალბურთში დიდი ამბები უქართველებოდ არ ხდება. იგი სიდნეის აუზში საუკეთესო ბომბარდირთა შორის იყო და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს წყალბურთელადაც შერაცხეს. მაგრამ რომ არა ოლიმპიური თამაშების ვერცხლისმედალოსნები ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია (რომი, 1960), ბრინჯაოსმედლოსნები ნოდარ გვახარია (მელბურნი, 1956), მიხეილ გიორგაძე (სეული, 1988) და სხვები, მათ შორის ქართული წყალბურთის ფესვებზე აღზრდილი პეტრე მშვენიერაძე, მისი შვილები ნოდარი და გიორგი, ასევე მსოფლიოს უძლიერესი წყალბურთელები, ალბათ არც ჩომახიძე იქნებოდა.

ახლა კი, ახალი ქართული წყალბურთი, ისე, როგორც სხვა მრავალი სახეობა, ჩვენთან სულს ლაფავს და დამძიმებულ გულს წარსულის გახსენებითა და ექსჩვენებურების წარმატებებით ვიხალისებთ.

ჰო, აქ, „აკვატიკ ცენტრში“ კიდევ ერთი ექსჩვენებური, ხრისტინა ფალასანიდი გამოდიოდა — შენი აღსაზრდელი, ვინც საქართველოს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი სინქრონულად მოცურავეა, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მან სიდნეიში დესპინა თეოდორიდესთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაში XIII ადგილი დაიკავა, მაშინ კი, როცა ჩვენებური იყო, სპორტის ამ ულამაზეს სახეობას საქართველოში კარგი დროება ედგა — შენი დამსახურებით, რა თქმა უნდა!

გახსოვს, ქართველებს სინქრონული ცურვა თქვენ, მოსკოველებმა გააცანით. როცა თბილისში, ახლანდელი „ლაგუნა ვერეს“, იმ დროს ლენინურ კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის გახსნის აღსანიშნავად თეატრალიზებულ სანახაობა წარმოადგინეთ. გახსოვს 1983 წელიც? მაშინ სსრ კავშირის თასის პირველ გათამაშებას თბილისმა უმასპინძლა. შენ მოსკოველ თანაგუნდელებთან ერთად ჩამოხვედი და ჯგუფურ ასპარეზობაში გაიმარჯვე. იმავე ჯგუფურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც იყავი და ჩვენი ბავშვების დაოსტატებასაც ხელი მიჰყავი.

სულ რაღაც წელიწადნახევარში ჩვენი გუნდი საბჭოთა კავშირში, და არა მხოლოდ იქ, ერთ-ერთ უძლიერესად იქცა, მისმა წევრებმა საკავშირო ჩემპიონატებში არაერთი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს ამ სახეობის სამივე დისციპლინაში. ხრისტინა ფალასანიდიმ ევროპის იუნიორთა პირველობაზე მოპოვებული ოქრო-ვერცხლი ქალთა შორის კონტინენტის ჩემპიონობით დააგვირგვინა. მას ზურგს უმაგრებდა ევროპის იუნიორთა პირველობაში გამარჯვებული მაისურაძეც.

ჰოდა, თითქოს ჩვენს სინქრონულ ცურვას ულრუბლო ზეცა ჰქონდა, მაგრამ ფალასანიდი საბერძნეთში გაგვითხოვდა, შენც შენს აღსაზრდელს მიჰყევი, ქვეყანაც აგვერია და ახლა ამ სახეობაში უშენოდ რაღაცას ვცოდვილობთ, უფრო სწორედ, ჯერჯერობით წყალს ვნაყავთ.

ეჰ, ნატალია, ნატალია!..

სიდნეის აუზში დამძიმებული გული იმ რუსმა ქალებმაც გაგვიხალისეს, როცა წყალში სასწაული გვანახეს.

მანამდე ჩინელებმა წყალზე ურთულესი ფიგურების ქარგვითა და პლასტიკურობით გამაკვირვეს. იტალიელებმა გიჟური რიტმით დალაგებულად და შეხმატკბილებულად იბრძოლეს, ესპანელებმა ისე გადახლართეს და გადაჭდეს ხელ-ფეხი, რომ ვიფიქრე ველარ გაიხსნებიან-მეთქი, იაპონელებმა რთული და ორიგინალური პროგრამა იუველირის სიზუსტით ისე წარმოადგინეს, რომ უკეთესი ველარც წარმომედგინა. მაგრამ გამოვიდნენ რუსები და... აბა, რა გითხრა, ნატალია, არც კი ვიცი. უბრალოდ, მათი გამოსვლა ენით აუწერელი იყო. მათ იაპონელებს დაუპირისპირეს ორი მათივე იარაღი — „იაპონური დაფდაფები“, როგორც პროგრამის მუსიკალური გაფორმება და „ამომავალი მზის ქვეყანაში“ შობილი საბრძოლო ხელოვნება კარატე, რომლის ილეთებიც წყალში ცეკვად წარმოადგინეს.

წარმოგიდგენია, ხუთივე მსაჯმა ოლგა ბრუსნიკინასა და მარია კისელიოვას არტისტიზმში უმაღლესი შეფასება, 10-10 ქულა გაიმეტა.

მსგავსი რამ ისტორიას არ ახსოვს, თუმცა, ეს ჩემზე უკეთ შენ იცი. არადა, მსაჯთა ბრიგადაში იყო იაპონელიც, კანადელიც, იტალიელიც, ფრანგიც, ამერიკელიც, რომელთა ქვეყნის წარმომადგენლები ბრუსნიკინასა და კისელიოვას უპირველესი მეტოქენი იყვნენ. მსაჯებმა რუსთა გამოსვლა ტექნიკაშიც ისევე ათიანებით შეაფასეს. გამონაკლისი მხოლოდ ერთი იყო — იაპონელი, მაგრამ ისიც ხომ ადამიანია?

ამბობდნენ, მსაჯთა ასეთი გულუხვობა მომავალში წარმოუდგენელია, რადგან თვითონ უკეთ ასპარეზობაა შეუძლებელიო.

აი, ასეთი დიდი ამბები იყო სიდნეის პატარა წყალში.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**სიდნეი – თბილისი**

**ავტორის ფოტოები**



ოლგა ბრუსნიკინასა და მარია კისელიოვას „ბალეტი“ წყალში





# ქალებმა ყველაფერი იციან

**...მზარ ...ანაიშვილი**

**ისტამბოლიდან**






**ვიხსენებ** ოცი წლის წინანდელ სტამბოლს, „მეგაპოლისის დედოფალს" — ცა და მიწა. ვიხსენებ ბოლო მოგზაურობას, რომელიც ამ ხუთიოდ წლის წინ მოეწყო — წინსვლა შეუიარაღებელი თვალითაც შეინიშნება. სხვა ყველაფერთან ერთად კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ სპორტის მართვისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საქმეში ბევრი რამის გადმოღება, ვიტყოდი, სწავლაც კი შეიძლება თურქებისგან. თურქეთის სპორტში დიდი ფული ტრიალებს. აქაურმა სპორტის ლიდერებმა ისწავლეს სპორტისთვის ფულის მოზიდვის ტექნოლოგია, აამუშავეს სპონსორთა ინსტიტუტი, სრულად იყენებენ სპორტული ბიზნესის შესაძლებლობებს. მოკლედ, თურქეთთან მჭიდრო სპორტული თანამშრომლობის დამყარება ჩვენთვისაც მოსახერხებელი და მომგებიანია, მით უმეტეს, როცა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიმართ თურქეთში კეთილგანწყობა აშკარად იგრძნობა.

კიდევ ორი დღე და მსოფლიოს 34-ე საჭადრაკო ოლიმპიადა ისტორიის კუთვნილებად იქცევა, მაგრამ 34-ე მხოლოდ ვაჟებისთვის, ქალთათვის იგი რიგით მე-19-ეა. მოჭადრაკე ვაჟები ჰამილტონ-რასელის, ხოლო ქალები — ვერა მენჩიკის თასისთვის იბრძვიან. ორივენი ერთად, ქულათა ჯამით კი, ნონა გაფრინდაშვილის თასის მოსაპოვებლად.

დავუბრუნდეთ RUMELI HALL-ს, სადაც თავის მორიგ მატჩში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა გუნდი ფილიპინელებს, ხოლო ქალები უნგრელებს შეხვდნენ.

ორივე მატჩი პრინციპული მნიშვნელობისა იყო, ქალები გრძნობდნენ ჰოლანდიელების სუნთქვას და რუსების მიახლოების საშიშროებას. ვაჟებს კი ტურნირში მოსახვედრად სრული მობილიზება და დიდი ანგარიშით გამარჯვება სჭირდებოდათ.

მაია ჩიბურდანიძემ და ნინო ხურციძემ მატჩის დაწყებიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ ყაიმები დააფიქსირეს. ნანა იოსელიანი გამარჯვებისთვის იბრძოდა, მაგრამ იმ უპირატესობის რეალიზაცია, რომელიც მას გააჩნდა, დროსაც ითხოვდა და მაღალ ტექნიკასაც. ნანას ორივე მოჭარბებულად ჰქონდა და ბოლოს გაიმარჯვა კიდეც. 2:1 ქართველთა სასარგებლოდ.

„გერმანელი" ქეთინო კახიანი ჩინელ ჟუნთან შავი ფიგურებით დებიუტიდან თანაბარი პოზიციით გამოვიდა. იგრძნობოდა, რომ არც მსოფლიოს ჩემპიონი იყო მაინცდამაინც განწყობილი საბრძოლველად. ჯერ ერთი, სატურნირო მდგომარეობით ამის აუცილებლობა არ იყო, მეორეც, ის უკვე ზედიზედ მერვე პარტიას თამაშობდა და კიდევ — ინტერნეტში მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ ძალები ხომ შემოსანახია... ყაიმი.

მეორე დაფაზე აშკარა უპირატესობა გერმანელის მხარეს იყო, მესამეზე კი — ჩინელისა, მაგრამ გერმანელი მსოფლიოს თასის დღევანდელ მფლობელთან, სიუ იუჰუასთან ზავს დასჯერდა, ჩინელმა კი მესამე დაფაზე გამარჯვების ქულა მოიპოვა და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მატჩიც მოიგეს — 2:1.

საქართველოს ნაკრებთან სტატუსკვო შენარჩუნდა. როგორც ჩანს, ჩვენი ქალები შეგუებულნი არიან იმას, რომ ამჯერად ვერცხლზე მეტს ვერ მიიღებენ, ჩინელები კი მშვიდად არიან — ოქრო მათ თითქმის განაღდებული აქვთ.

ვერცხლისთვის ჩვენი უახლოესი მდევარი შეიცვალა — ჰოლანდიელებმა ტემპი ვერ შეინარჩუნეს და რუსებმა სომხების მშრალი ანგარიშით დამარცხების შემდეგ მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. ახლა საქართველოს ნაკრებს მათგან ქულანახევარი აშორებს.

ფილიპინების სახით ვაჟთა ნაკრებს საკმაოდ კერკეტი კაკალი შეხვდა. დიდოსტატ ეუგენიო ტორეს თავკაცობით ისინი რეიტინგით 37-ე არიან, ხოლო ელისტაში ოლიმპიადა 35-ე ადგილზე დაასრულეს. რომ არა წინა ტურში მარცხი ამერიკელებთან, ფილიპინელები ათეულის შორიახლოს ტრიალებდნენ.

გია გიორგაძე პირველ დაფაზე ფილიპინელთა გუნდის ლიდერს ყაიმზე შეუთანხმდა, უფრო სწორად, ფრეს ფილიპინელმა დიდოსტატმა მიაღწია. მესამე საათის მიწურულს გამარჯვებები იზეიმეს ბადურ ჯობავამ და თამაზ გელაშვილმა. ორივემ დაუძაბავად, ლაღად „გადაითამაშა" მეტოქეები და ჩვენი გუნდი უკვე ორი ქულით დააწინაურა. მოგება უნდა ეზეიმა სტურუასაც, მაგრამ ზურაბმა ერთ მომენტში ყურადღება ოდნავ მოადუნა და ფილიპინელს საშუალება მისცა, სასურველი ყაიმისთვის მიეღწია. „ალბათ, დაღლილობის ბრალია, თორემ მისი გაშვება როგორ შეიძლებოდა. ნახევარი ქულის ჩუქება გამოვიდა" — ამბობს საერთოდ სიტყვაძუნწი ზურაბი და არ მალავს, რომ ძალიან განიცდის. ისე კი სტურუამ ტურნირზე ჩვენი ვაჟებიდან ყველაზე მეტი, 10 პარტია ითამაშა, აქედან რვა ზედიზედ და გუნდს ყველაზე მეტი, შვიდი ქულა შესძინა.

ამ ტურში ზურაბ აზმაიფარაშვილის უთამაშებლობა ნამდვილად ობიექტური მიზეზით, ფიდეს 71-ე კონგრესის მუშაობაში მონაწილეობით იყო განპირობებული. და კიდევ ერთი სასიამოვნო ინფორმაცია — დღეს აზმაიფარაშვილი ევროპის საჭადრაკო კავშირის ბიუროს წევრად აირჩიეს.

სათამაშო დარბაზში, როგორც წესი, ყოველდღე შეხვდებით ფიდეს ყოფილ პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესს — ის კვლავაც საჭადრაკო ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. ამ დღესაც აქ იყო. ბუნებრივია, ხშირად ყოვნდებოდა იმ რიგთან, სადაც მისი თანამემამულეები ჩვენებს ხვდებოდნენ. „ასეთი ანგარიშით არ უნდა წაგვეგო, თანაც თქვენები ულიდეროდ თამაშობდნენ. ბოლო ორ დაფაზე ნულებს არ ველოდით. საერთო ჯამში ფრე იგებმებოდა" — მითხრა, როცა ამ მატჩის კომენტარი ვთხოვე.

| ბუშინ. XIII ტური |
|---|
| ვაჟები |
| საქართველო — ბულგარეთი 3,5:0,5 |
| ქალები |
| საქართველო — ყაზახეთი 2,5:0,5 |

გამორჩეულად ბრგე და ახოვანი, გამორჩეულადვე კეთილი და ალალი, ცხოვრებაში და საქმეში უღალატო, მუდამ წრფელი და ვაჟკაცური სიტყვითაც და ქცევითაც, ნამუსიანი და თავდაუზოგავი ყველაფერში, რისი გაკეთებაც მოასწრო — სპორტსმენობისას საკალათბურთო მოედანზე და შემდგომ სამოქალაქო, ერმინდელ საქმიანობაშიც...

მეგობრები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა

**გოჩა აბულაშვილი**

და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს





ოლე ეინარ ბიორნდალენი

„გაათრიეთ ეგ თარსი აქედან! ეგ უვიცი დიდი-დიდი გაზეთების გამყიდველად თუ ივარგებს!" — ეს წინაკანარევი ფრაზა 1988 წელს წამოსცდა ... ნორვეგიის ბიატლონისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს გისლე ფენეს. „თარსი" და „უვიცი" ბიატლონისტი კი ზუსტად ათი წლის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. და არ იკითხავთ ვინ იყო მაშინ ოლე ბიორნდალენის მწვრთნელი? სწორედ რომ გისლე ფენე. თოთხმეტწლიანი კარიერის განმავლობაში ოლე ეინარმა მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ოლიმპიური ოქრო, მსოფლიო თასი (ორჯერ), თასის თოთხმეტი სხვადასხვა ეტაპი...

— თავისი ტიტულებით ბიორნდალენი მხოლოდ სვენ ფიშერს ჩამორჩება, მაგრამ დიდი გერმანელი თავის უკანასკნელ სეზონს ატარებს, ნორვეგიელი კი ჯერჯერობით არ აპირებს აქტიური სპორტიდან წასვლას.

დღეს შვედეთის ქალაქ კირუნიაში დაიწყება ექვსი ერის რიგით მესამე ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ ავსტრიის, შვედეთის, ბელარუსის, გერმანიის, რუსეთისა და ნორვეგიის ეროვნული გუნდები. ნორვეგიელთა კაპიტანი, ტრადიციისამებრ, იქნება ოლიმპიური ჩემპიონი ჰალვარდ ჰანევოლდი, მის გარდა კი გუნდში ირიცხებიან ოლე ეინარ ბიორნდალენი, იენს აგე რიისე და ფროდე ანდრესენი.

ნორვეგიის ნაკრების ადმინისტრატორმა ლენდენ იონსენმა ულაპარაკოდ მოგვცა ბიორნდალენის მობილური ტელეფონის ნომერი, ოღონდ გვთხოვა, თუ შეიძლება სასაუბროდ თხუთმეტი წუთი იკმარეთო.

# უვიცი ჩემპიონი ტრონჰეიმიდან

# Go, Ole, Ole!

**— ოლე ეინარ, გამარჯობათ, საქართველოდან გაწუხებთ.**

— დიახ. გისმენთ. რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

**— 11 ნოემბერს ექვსი ერის პირველობა იწყება, რომელშიც ტრადიციულად თქვენი ნაკრებიც მონაწილეობს. როგორია განწყობა?**

— ცხადია, საბრძოლო. თქვენ რა, სხვა პასუხს ელოდით? ისე, თავს მშვენივრად ვგრძნობ და მსოფლიო თასზე სულ ცოტა ეტაპის მოგებას ვაპირებ. შარშანდელი სეზონი არც-თუ კარგად ჩავატარე და წლეულს მხოლოდ მსოფლიოს თასზე საბოლოო გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ. რა თქმა უნდა, ეს იოლი არ იქნება. ბიატლონში ისევე, როგორც სპორტის ბევრ სხვა სახეობაში მონაწილეთა საერთო დონე შედარებით გათანაბრდა და ჩემი აზრით წლეულს, შვიდი-რვა სპორტსმენი მაინც იბრძოლებს ჩემპიონობისთვის.

**— ვინ მიგაჩნიათ მთავარ კონკურენტებად?**

— გერმანელები და რუსები. როგორც გავიგე წლევანდელი სეზონი უკანასკნელია სვენ ფიშერისთვის, ვფიქრობ, იგი ყველანაირად შეეცდება რაც შეიძლება ძლიერად ჩაატაროს, მისი მართლაც რომ, ბრწყინვალე კარიერის უკანასკნელი სეზონი. ტრადიციულად სახიფათონი არიან ფრენკ ლუკი და რიკო გროსი, კარსტენ ჰაიმანი კი, ალბათ ბოლოს და ბოლოს შეეცდება კარიერაში პირველი ეტაპის მოგებას. რუსეთის ნაკრებიდან კი პირველ რიგში მინდა ავღნიშნო როსტოვცევი. პაველი ბრწყინვალედ ისვრის და ცოტაც რომ ფიზიკურად მომძლავრდეს, უეჭველად მოიგებს ორ-სამ ეტაპს. მის გარდა რუსებს ჰყავთ მსოფლიო ჩემპიონატისა და მსოფლიოს თასის ჩემპიონი დრაჩოვი, რომელიც, მართალია, უკანასკნელ დროს მთლად სტაბილურად არ ასპარეზობს, მაგრამ მაინც ძალზედ სახიფათოა. დანარჩენი სპორტსმენებიდან კი პირველ რიგში მინდა აღვნიშნო თასის შარშანდელი მფლობელი ფრანგი რაფაელ პუარე და ავსტრიელები როტმანი და გრედლერი. პუარე, ჩემი აზრით, ბიატლონის ისტორიაში ყველაზე გაწონასწორებული და სტაბილურია, თანაც მისი წონის გათვალისწინებით საკმაოდ სწრაფიცაა. რაც შეეხება როტმანსა და გრედლერს, ფროდე ანდრესენის შემდეგ, მე ისინი მსოფლიოში უსწრაფეს ბიატლონისტებად მიმაჩნია. სეზონის განმავლობაში შეიძლება სხვამაც „გაისროლოს", მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის სწორედ ჩემს მიერ ჩამოთვლილი სპორტსმენები იბრძოლებენ.

**— თქვენ არ გიხსენებიათ ნორვეგიელები...**

— ჩვენი ვარაუდით ვერც ერთ ეტაპს ვერ მოვიგებთ. ეს ისე, ხუმრობით, სინამდვილეში კი უბრალოდ არ მინდა დავთარსო ჩემი მეგობრები და გარკვეულწილად საკუთარი თავი. საშინელი თარსი ვარ და არ მინდა რაიმეს წინდაწინ თქმა. უბრალოდ ყოველ ეტაპზე ისე უნდა გამოვიდეთ, თითქოს ეს ეტაპი უკანასკნელია ჩვენს კარიერაში.

**— 14-წლიანი კარიერის განმავლობაში ვერა და ვერ გახდით მსოფლიო ჩემპიონი.**

— ნუ მიწყენთ, მაგრამ ტრაფარეტულ შეკითხვაზე ამდაგვარადვე გიპასუხებთ — ყველანაირად ვეცდები, რომ ბოლოს და ბოლოს გავხდე მსოფლიო ჩემპიონი. კი მაგრამ, სხვა არაფერი გაინტერესებთ?

**— როგორ არა. მაგალითად თქვენი პირადი ცხოვრება.**

— დაბადების თარიღსა და ადგილს ინტერნეტშიც ნახავთ. სხვა რა?

**— ბოლოხანს ბევრს საუბრობენ თქვენსა და ნატალი სანტერზე...**

— მერე რას ამბობენ?

**— რას და სულ მალე იტალიელი სპრინტერი ოლეს მეუღლე გახდებაო.**

— ცოლად მოყვანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის, რომ მე და ნატალი უკვე თითქმის ორი წელია ერთად ვართ, ალბათ, გარკვეულწილად იძლევა ამის თქმის საბაბს. ჩვენ შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის და ბევრი საერთო გატაცებაც გვაქვს.

**— მაგალითად?**

— ორივეს გვიყვარს ველოსპორტი და ფეხბურთი. გარდა ამისა, მეც და ნატალიც ჯგუფ „როლინგ სტოუნზის" დიდი ფანები გახლავართ. აი, მსახიობებისა და ფილმების არჩევისას კი ჩვენი შეხედულებები საპირისპიროდ განსხვავდება. მე მომწონს დეტექტივები და რობერტ დე ნირო, ნატალის კი ცხოვრებისეული ფილმები და ბრედ პიტი.

**— ძნელია თუ არა ვარსკვლავობა?**

— ვარსკვლავები ბიორნ დელი და ტორე ანდრე ფლო არიან. განსაკუთრებით კი დელი. ასევე ძალზე პოპულარულები არიან ბენტე მარტინსენი და კეტილ-ანდრე ამოდტი. მე კი უბრალოდ სტაბილური და ჩემს სახეობაში ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო ვარ (იცინის).

**— რას გრძნობდით, როდესაც შარშან ჰოკლუკაში დიდებული გამარჯვების შემდეგ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ეთერში რიკი მარტინის ცნობილი სიმღერა „Cup of Life" გაუშვეს, რომლის მისამღერშიც ისმის სიტყვები „Go, Ole, Ole"?**

— სლოვენიელები არ უჩივიან იუმორის გრძნობის უქონლობას. ეს ისე, ხუმრობით. სინამდვილეში კი ძალზე მესიამოვნა.

**ზურაბ თალაკვაძე**



# ეს ვინ იყო? ჯო!

9 ნოემბერი

**ბოსტონი — ოტავა 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 პავლატი 17'46 (6); 1:1 ტორნტონი 33'40 (8); 2:1 ბელანჟე 57'30 (1)

**ბუფალო — აილენდერსი 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 ტიტნიკი 3'53 (3); 2:0 ანდრეიჩუკი 38'45 (4); 3:0 ჰეცელი 49'34 (1)

**კოლუმბუსი — სან ხოსე 5:2**

2:1 1:1 2:0

0:1 ფრიზენი 6'48 (4); 1:1 ანდერსონი 9'21 (5); 2:1 ობენი 13'21 (3); 2:2 ბრედლი 26'54 (1); 3:2 დაინინი 31'09 (3); 4:2 რაიტი 44'20 (3); 5:2 გრანდპიერი 53'17 (1)

**ფილადელფია — ედმონტონი 2:0**

0:0 1:0 1:0

1:0 განიე 32:21 (4); 2:0 რანჰეიმი 49:05 (3)

**ლოს ანჯელესი — ვანკუვერი 2:0**

0:0 0:0 2:0

1:0 შტუმპელი 45'18 (6); 2:0 პალფი 48'55 (9)

**ვაშინგტონი — რეინჯერსი 3:5**

2:1 0:2 1:2

1:0 სიმონი 12'03 (1); 1:1 კამენსკი 15'47 (5); 2:1 ბონდრა 15'53 (6); 2:2 იორკი 22'04 (4); 2:3 ფლერი 38'12 (12); 2:4 მლადაჩი 41'39 (6); 3:4 ნიკოლიშინი 55'29 (5); 3:5 ფლერი 59'32 (13)

**კოლორადო — სენტ ლუისი 3:3**

1:0 0:2 2:1 0:0

1:0 ფუტი 9'3 (1); 1:1 ტარჯონი 26'31 (5); 1:2 ტარჯონი 36'21 (6); 2:2 მესიე 43'50 (1); 2:3 ლოუ 47'00 (1); 3:3 საკიკი 52'15 (5)

ჩემპიონატის ორი საუკეთესო გუნდის და, ბევრის აზრით, თასის დაუფლების რეალური კანდიდატების — კოლორადოსა და სენტ ლუისის სეზონში პირველ დაპირისპირებას ყველა მოუთმენლად ელოდა. მოლოდინი გამართლდა, ფავორიტებმა გაახარეს თაყვანისმცემლები და სეზონში ერთ-ერთ საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. უაღრესად დაძაბული თანაბარი ბრძოლა გაიმართა. წონასწორობაც ხან აქეთ იხრებოდა, ხან — იქით. მესამე მეოთხედში კი გაცხარებულმა კოლორადოელებმა ტემპს უმატეს. ისინი არც მაშინ გატყდნენ, როცა რიდ ლოუს მოედნის შუაგულიდან გადაგდებული შაიბა პატრიკ რუას ბავშვური შეცდომის შემდეგ მათ კარში აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, ჯო საკიკის ჩინებული გარღვევის შემდეგ „ევეელანშმა" მაინც მიაღწია თავისას — მეტოქეთა ზონაში შესულ კოლორადოს კაპიტანს უბიძგეს, მაგრამ მაინც შეინარჩუნა წონასწორობა, მცველიც მოატყუა და ისე გაისროლა, რომ რომან ტურეკი არც განძრეულა. ოვერტაიმში კი საკიკმა ლამის გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — მისი დარტყმული შაიბა ბორტმა აისხლიტა, მერე მეკარეს მოხვდა ფეხზე და კარის ხაზზე გასრიალდა. „კარგი პირველი, დიდებული მეორე და ნორმალური მესამე პერიოდი ჩავატარეთ. ყოველ შემთხვევაში, კოლორადოსთან შარშან უფრო გვიჭირდა" — თქვა სენტლუისელთა თავკაცმა ჟოელ კენევილმა და იქვე საკიკის განსაკუთრებული გოლიც გამოარჩია.

**სამველ ლარიბიანი**

# ზოგის ხეც მაღალია



რა ბედნიერებაა! მახსოვს, თბილისის „დინამოს“ სტადიონი რომ გაიხსნა, ბიჭები ახლომდებარე 14 სართულიანი სახლის სახურავზე ავძვერით, მაგრამ მოედანი არ გამოჩნდა. ლიბერეცელები კი დახეთ რა იოლად აგვარებენ საქმეს: მათ „სლოვანს“ უეფას თასზე ხომ „ლივერპული“ ხვდებოდა. ტრიბუნაზე 6 800 მაყურებელი იჯდა ანუ ნემსის ჩასავარდნი ადგილი აღარ იყო და ამიტომაც ზოგი ხეზე აძვრა. იქიდან ყველაფერი ხელის გულივით ჩანდა.



# ლამაზ - MONEY

წყვილების ჩოგბურთი, თანაც მშვენიერი მანდილოსნების შესრულებით ფრიად თვალსაამური და კისკასი სანახაობაა. ვისაც ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ ფილადელფიაში, ადვანტას პირველობაზე მოთამაშე მარტინა ჰინგისისა (წინა პლანზე) და ანა კურნიკოვას ვარსკვლავდუეტის აი, ამ სურათს დააკვირდეთ.

# ვეფხვის ლომის წილი



REUTERS ვალდერამადან

მსოფლიოს უპირველესი მეგოლფე ტაიგერ ვუდსი ამჟამად ესპანურ ვალდერამაში იმყოფება, სადაც სხვა გამორჩენილ კოლეგებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის. კუნთების შეთამაშებისა თუ ძნელი დარტყმის წინ ასჯერ გაზომვის მომენტში „ვეფხვის“ თავში ერთადერთი აზრი ტრიალებს: მოიგებს ტურნირს, ჯილდოდ 1 მილიონ მწვანეს მიიღებს და სეზონში საპრიზოებით 10 მილიონის ზღვარს გადააბიჯებს. მძლეთამძლე ტაიგერის გარდა აქამდე სხვა მეგოლფეს ამის ნახევარიც არ ღირსებია ერთ წელიწადში.




REUTERS დჰაკადან

# ოცნებაო ჩემო ძველო

ისე როგორ იქნება, კაცი ცხოვრებაში ერთხელ დჰაკას ბანგაბანდჰუს სტადიონის ტრიბუნაზე არ ჩამოჯდეს. მაგრამ თუ მაინც მოხდა სასწაული და ეს ოცნება ვერ აიხდინეთ, აი, ფოტო — ამოჭერით და სასთუმალთან გაიკარით. მასზე სწორედ დჰაკას ბანგაბანდჰუა აღბეჭდილი, თან ბანგლადეშისა და ინდოეთის კრიკეტის ნაკრებთა ტესტ მატჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალის დროს, როდესაც ციდან ბანგლადეშელი პარაშუტისტი დაეშვა, ხოლო ტრიბუნაზე რატომღაც შრილანკას დროშაა გაშლილი.

სხვათა შორის, ბანგლადეშმა ტესტ — სტატუსი ახლახან მიიღო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge